

ახეული

ლიტერატურული ჟურნალი
№2, 2017



„იმედი
უნდა შევარჩეო
მოსაფრენ მერცხლებს“



ზიზვედად მუსთაველის ნაკვადუვზე გვ.29



„ანაულის“ სტუდიაში



ნაპაზ
ინანიუვილის
სახელოვის
„ანთი
პოთინოვის“
კონკუნის
კვანდაკვანდ


ჩვენს ინანიშვილს სახელობს ლიტერატურული კონკურსი



* * *

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხართ, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი



ელისო წიკლაურის ნამუშევრები



ანეული

№ 2. ივნისი. 2017 წელი

ლიტერატურული ფუნდანი

ბიბლია გულფანი – 100	
თამარ ჩანაბაშვილი მირზა გელოვანს	3
„ამ სიყვარულმა მდიდარი პოეზია შეაქმნევინა“ ... – ინტერვიუ ციცილო გაბიდაურთან	4
პბტტა	
ბინ ბაბიჩიძე მე მოკვდი	9
პბტტა	
მინ მინი	14
„ანეულის“ სტუმარი	
ლილია ქიხოშვილი-სახლეთესისიშვილი ერთი დაუვიწყარი დღე სკოლაში	18
(124-ე საჯარო სკოლის პედაგოგისა და მოსწავლეების შემთხვევა: გულნაზ კაკაბაძე, თამარ კალანდაძე, მარინე მამარლაშვილი, ანი მირაშვილი, ლელა ჯანჯიბუხაშვილი, ლიკა ნარგიზაშვილი, გვანცა სვანიძე, ანა ლომიძე, ნინო უგრესელიძე, ნუკი პეტრიაშვილი)	20
ბტტტაუბტტა პალესტინაში	
თამარ მინაძე პირველად რუსთაველის ნაკვალევზე	29
პბტტა	
მანანა ბაძაძე	32
მინ ხოფაჩი	33
ლიტერატურული კბტტა	
ლილია ქიხოშვილი-სახლეთესისიშვილი „ახალგაზრდობა, აწ კი თქვენ“	35
პბტტა	
ნიხა თხინვალი	42
ნიხოლოზ ფანიჩიძე	43
თათინა ჩივაძე	45
ქატოელი ალბინიზმის მაცნაოდან	
ნივან ჯაფარიძე ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის ისტორია	46
წკბტტა	
ბბტტა ბბტტა ტარიელ ხარხელაურის ჭეშმარიტი პოეზია	51
ლილია ქიხოშვილი სახელმწიფო სიკვდილის არსი	54
თბტტა	
პბტტა ბბტტა წერილები – თარგმანა ქეთი კოკოზაშვილმა	56
მბტტა ბბტტა ხბტტა ხოტბა ფერეიდუნშაჰრისა, სპარსულიდან თარგმანა ნომადი ბართაიამ	59
ბტტტა	
თამარ მინაძე თბტტა ბბტტა: „ჩემი მუზა საქართველოში დარჩა“	60
პბტტა	
ბბტტა ბბტტა თბტტა... 13 ივნისი	64
„ქართველი ასულის შურისძიება“ – მოგზაურის თვალთ დანახული საქართველო	68
პბტტა	
ბბტტა ბბტტა	69
ლილია ქიხოშვილი	70
თამარ მინაძე	71
ბბტტა ბბტტა დღეს	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლელია ქიტოშვილი –
სასლტის უცხოელი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ სვალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

კომპიუტერული რედაქტორი

გონა სოფიაშვილი

გაყენებული: ენციკლედის რედაქციის რედაქციის რედაქციის


ხელახლის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-ფოსტა: aneuli@mail.ru

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი



მირზა გელოვანს



თვით ლექსმა მისცა სიცოცხლე პოეტს,
მისი წართმევის ვისა აქვს ნება,
როცა შვიდფერი საუფლოს სტოვებს,
პოეტიც მაშინ ულექსოდ კვდება.
ო, ყველა პოეტს ღმერთმა აშოროს,
დასწყევლოს დღენი ქვეყნად გაჩენის,
რომ გასაჭირში ედგას სამშობლო
და ლექსი ჰქონდეს გადასარჩენი.
რომ მის სულს სწვავედეს სიმწარის ხვატი,
ათოვდეს ლურჯი ოცნების სივრცეს,
ნუ გაუჭირდეს სამშობლოს ისე,
პოეტმა ლექსი მტრის ტყვიას მისცეს.
შენ კი ამგვარი გქონია ხვედრი,
ბევრიც საუბრობს ახლა შენს ბედზე,
იქნება დაჭრილ ლექსებს ეძებდი,
როცა ყაყაჩომ იფეთქა მკერდზე.
ეგ ცუდად როდი გენიშნა პოეტს,
ომში ხომ მხოლოდ ლაჩარი კენესის.
როცა ღრუბლებმა სივრცე დატოვეს,
იპოვეს მკვდარი მირზა და ლექსი.
ასე კვდებოდნენ გმირები ძველად,
არ თმობდნენ მამულს სიცოცხლის ფასად.
ამისთვის გმადლობ, ო, ბედისწერავ,
რომ არავის კლავ პოეტის მსგავსად.
ამისთვის გმადლობ, ო, ბედისწერავ,
ამაში მაინც აქვს პოეტს ბედი,
რადგან ამ ქვეყნად თავის გაჩენას
ამართლებს ყველა, პოეტის მეტი...
თვით ლექსმა მისცა სიცოცხლე პოეტს,
მისი წართმევის ვისა აქვს ნება,
როცა შვიდფერი საუფლოს სტოვებს,
პოეტიც მაშინ ულექსოდ კვდება.

„ამ სიყვარულმა მდიდარი პოეზია შეაქმნევინა“... – მირზას საფლავიდან ჩამოტანილი იები

თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრა ციცილო გაბიდაური



თიანეთში დაიბადა და გაიზარდა. პროფესიით ეკონომისტი და ჟურნალისტი. ერთხანს ტელე-რადიოდეპარტამენტშიც მუშაობდა. მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე კი შემთხვევით მოხვდა, რაზეც თავადვე გვიამბობს... უკვე 29-ე წელია პოეტ მირზა გელოვანის მემორიალურ სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობს. აქ ბევრი კარგი ტრადიცია აღდგა.

წელს მირზა გელოვანის დაბადებიდან 100 წლისთავია. ეს თარიღი, პოეტის ცხოვრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი, მუზეუმთან არსებული ნორჩ შემოქმედთა კლუბის ცხოვრება ჩვენი საუბრის მთავარი თემა გახდა. – ციცილო გაბიდაურის პერსონა.

– დავიბადე თიანეთში, ექვსნი ვართ მე და ჩემი დები. იმის გამო, რომ დედა ძალიან შრომისმოყვარე ქალია და მამა მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობდა თბილისში, არასდროს არაფერი მოგვკლებია. სამეზობლო და სანათესაო კარგი გვყავდა და გვყავს დღესაც; შესაბამისად, კარგ გარემოში გავიზარდე. ბავშვობიდან ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება დედაჩემის მკაცრი გაფრთხილება: ქუჩაში რომ ფული იპოვოთ, სახლში არ მოიტანოთ და ჩვენც, მსგავს შემთხვევებში (პირდაპირი მნიშვნელობით), ვეუბნებოდით სკოლის პედაგოგებს და ისინი პოულობდნენ ადრესატს. ეს, ცხადია, მართლაც ამას არ ითვალისწინებდა, უფრო დიდი დატვირთვა ჰქონდა.

მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და ასე ვზრდით შვილებს. მამას დიდი სამეგობრო ჰყავდა. მოსკოვს დაქვემდებარებული მაღაზიის გამგე, ძმაკაცი იყო, ამის გამოც იყო ალბათ, კვების პრობლემა არასდროს გვქონდა.

მასწავლებელი ახალი წლის საღამოები, როცა მეზობლები ჩვენთან შავი ფქვილის ჯამბით ხელში, თეთრ ფქვილზე გასაცვლელად მოდიოდნენ, საახალწლოდ ნამცხვარი რომ გამოეცხოთ. ცხადია, დედა გაცვლაზე უარს ამბობდა: ერთი ჯამი რა სახსენებელიაო და ტკბილეულსაც სთავაზობდა, იქნებ არა აქვთ და ბავშვებს წაუღონო. თან იხსენებდა, ახალგაზრდობაში მდიდარი ოჯახის შვილი რომ იყო და მშობლების ჩუმად, რამდენი მეზობლის გული გაუხარებია თითო სათლი ფქვილით. კაბა და ფეხსაცმელიც ბევრჯერ უჩუქებია თანატოლი გოგოებისთვის.

ახლა 89 წლისაა, ახლაც ასეთი გულიანია და იტყვის ხოლმე, მდიდარი მამიშვილობით არასდროს მიმეტიჩრიაო. ჰოდა, როცა ღარიბ შეყვარებულს გაჰყავდა ცოლად (მამაჩემს), ჩემთვის რა მქონდა, მაგრამ ხომ გავივით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაინც სხვის დასახმარებლად მიმიწვედა გულიო.

ჩვენც მეტ-ნაკლებად ვვავართ დედას. თუ ოდესმე, მასთან გულისტკენა გამომიხატავს, ვინმეს მიერ, ჩემი გაკეთებული სიკეთის დაუნახავობაზე, მეტყვის ხოლმე, ეგ შენი კი არა, ღმერთის წყალობაა მაგაზე და ნულარ იტყვიო.

ახლა, როცა ზაფხულობით დასასვენებლად სოფელში ჩამოდის, მეზობლები სოფლის პროდუქტს უანგაროდ სთავაზობენ. სიამაყითა და სიხარულით ამბობს, რა კარგი სამეზობლო მყავს, ღმერთმა უშველოთ, სიკეთეს ათმაგად მიბრუნებენო!

– სკოლის პერიოდი...

– სკოლის პერიოდი ყოველთვის კარგად მახსენდება. ძალიან კარგი მოსწავლე ვიყავი, ფრიადოსანი, თუმცა „შატალოებზეც“ დავდიოდი. მაშინ მსგავსი ამბები შედარებით იშვიათობა იყო. სხვის გადასარჩენად მთელ კლასს ტყუილიც გვითქვამს. თანაკლასელმა ისტორიის გაკვეთილის სწავლა ვერ მოასწრო და მაინცდამაინც ის გამოიძახა მასწავლებელმა. არ ვიცო! რატომო? ვერ გავიგეო. ჩვენც აყვევით, კი, როდელი იყოო. მასწავლებელი მიგვიხვდა, ისტორიას რა დიდი გაგება უნდოდა და მე ვიჩვენებთ სეირსო!

სათითაოდ გამოგვიძახა და ყველას, ჩვენი უარის პასუხად, 2-იანები ჩამოგვიმწკრივა. დიდი ამბავი მოჰყვა

ამას, მშობლები დაიბარეს. ისტორიის მასწავლებელი ძალიან განათლებული და საყვარელი ქალი იყო, მაგრამ არ დათმო და არ გვაპატია. ძვირად დაგვიჯდა ჩვენი სულელური ტყუილი. ძლივს გავქაჩეთ ჩვენი 2-იანები (მაშინ ყველაზე დაბალი ქულა) 5-ანებამდე, მეოთხედის ბოლოს მაინც არ დაგვიწერეს „ფრიადი“. მერე კი დაკატბეთ ჩვენი ურთიერთობები და დამსახურებულადაც შეგვაფასეს.

– რამდენიმე პროფესია გაქვთ, მათ შორის ჟურნალისტიკა... რატომ? რა გიტაცებდათ ყველაზე მეტად?

– მართალია, ეკონომისტიც ვარ, ეს „მაშინ“ ძალიან საჭირო და ავტორიტეტული ფაქულტეტი იყო, მით უმეტეს, თუ ჰუმანიტარული განათლებაც გქონდა. 80-იან წლებში ჟურნალისტიკა ძალიან მოდური სპეციალობა იყო და მეორადი ფაქულტეტი დავამთავრე. წლების განმავლობაში ტელე-რადიოდეპარტამენტში ვიშუშავე. ბნელ მანტიძესთან და ეთერი ჩილაჩავასთან მუშაობამ, დიდი გამოცდილება შემძინა. ახლა ჩემი შვილი – რუსუდანი აგრძელებს ჩემს პროფესიას და ძალიან მომწონს.

სხვათა შორის, თვითონ აირჩია. მე ჩემი შვილების არჩევანში არ ვერევი, ამ მხრივ მათ სრული თავისუფლება აქვთ, თუმცა მაინც მითანხმებენ რაღაც საკითხებს. მიხარია, რომ ამ მიმართულებით წავიდა. ის მათემატიკოსია და ახლა მაგისტრატურაში ჟურნალისტიკის განხრით სწავლობს. ბევრს კითხულობს, ძალიან ნიჭიერია, შრომისმოყვარე და ძლიერიც.

– 28 წელია მირზა გელოვანის მემორიალურ სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობთ. გაიხსენეთ, პირველად რომ მოხვედით ამ მუზეუმში...


– კი, 29-ე წელია, პოეტ მირზა გელოვანის მემორიალურ სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობ.

თავიდან ძალიან გამიჭირდა. ყველგან შეიძლება წარმომედგინა ჩემი თავი, მაგრამ მუზეუმში არასოდეს. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

წლების წინ (გასულ საუკუნეში) გავიგე, რომ თიანეთში „კარაქმრეწვის“ სათავო ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი იყო გამოცხადებული და ჩავერთე კონკურსში. მოხდა ისე, რომ იქ დირექტორად სხვა დაინიშნა. მე კი შემომთავაზეს: მუზეუმის დირექტორის ადგილზე კიდევ ერთი ვაკანსიაა, ისე ძალიან მოგვეწონე, სწორედ თქვენნაირი ხელმძღვანელი გვჭირდება და კონკურსგარეშე დაგნიშნავთო.

ცხადია, უარი ვთქვი, სხვა სამსახურისთვის ჩავედი აქ, მუზეუმი ყოვლად წარმოუდგენელი იყო და განაწყენებული თბილისში დავბრუნდი. ამის შემდეგ განვლო 5-მა ლამაზმა თვემ და გავთხოვდი თიანეთში. მუზეუმში კვლავ ვაკანსია იყო და დამნიშნეს დირექტორად.

არც მაშინ მინდოდა, მაგრამ ბევრი უარი აღარ მითქვამს. მიუხედავად ჩემი მრავალმხრივი განვითარებისა, განვიცდიდი, რომ საპუზეუმო სფეროში არაფერი ვიცოდი.



მოკლე ხანში კულტურის სამინისტრომ, მოსკოვის კულტურის ინსტიტუტში (ახლა უნივერსიტეტია) 2-თვიან კურსებზე მიმავლინა სასწავლებლად. ძალიან საინტერესო ლექტორები გვიკითხავდნენ ლექციებს.

მოვიარეთ მოსკოვის თითქმის ყველა მუზეუმი, შევისწავლე პრაქტიკული მუშაობაც და დავბრუნდი მირზას მუზეუმში. არანაკლებ საინტერესო იყო იმდროისათვის საქართველოში, თბილისში ჩატარებული 3 და 5-დღიანი ლექცია-სემინარები. ვესწრებოდი ყველაფერს, რომ დამეხვეწა ჩემი მუშაობა და მივალწიე კიდევ. თუმცა ახლაც არ ვთვლი, რომ ყველაფერი ვიცი, თუ სადმე მიმიწვევენ, დღესაც ვსწავლობ მე თვითონ და ვასწავლი, ვისაც ეს აინტერესებს.

უნდა აღვნიშნო, რომ თიანეთში ძალიან კარგი ადამიანები დამხვდნენ: ფატი შუშანაშვილი (კულტურის განყოფილების გამგე), ალაზა ხაიაური (მეცნიერ-მუშაკი), თამილა მარაული (ფონდების შემნახველი), ელიზბარ მგელიაშვილი (ფოლკლორისტი), დარეჯან არჩემაშვილი (ექსკურსიამბდოლი), რომლებთან ურთიერთობაც მიიღობდა მუზეუმში მუშაობასაც და უცხო გარემოსთან შეგუებაშიც მიწყობდა ხელს.

დღეს ეს ადამიანები აღარ მუშაობენ მუზეუმში, ალაზა ხაიაური და ელიზბარ მგელიაშვილი გარდაიცვალნენ, ხელმძღვანელობაშიც სხვა თაობა მოვიდა.

მუზეუმში მანამდეც ვიყავი, როგორც რიგითი დამთვალეირებული. ცხადია, ძალიან მომეწონა, მაგრამ, როცა დირექტორი გავხდი, წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, რა უნდა მეკეთებინა. სამუზეუმო საქმიანობა საინტერესოა, მაგრამ თუ საქმე არ იცი – ძალიან რთული.

აქ ბევრი კარგი ტრადიცია აღვადგინეთ. შემოვიკრიბეთ პოეზიის მოყვარული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები. გავაფართოვეთ ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი. დავიწყეთ პოეზიის თიანური საღამოების ჩატარება. სიმბოლოურია, რომ ჩემი პირველი ღონისძიების, პირველი მონაწილე, იმდროისათვის სკოლის მოსწავლე, ახლანდელი თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლელა ქიტეშაშვილია. ის და სხვა ნიჭიერი მოსწავლეები გავაერთიანეთ ჩვენს ლიტერატურულ სალონში.



ლონისძიებთა მთლიან ციკლს დავარქვით „მთაში გაბნეული მარგალიტი. ყველას თავისი საქმე ჰქონდა და აქვს დღესაც, ნაწილი ექსპედიციებში დავდიოდით, ან უბრალოდ მეზობლად მცხოვრები ბებია-პაპებისგან ვაგროვებდით ამ მარგალიტებს, ნაწილი პოეზიის საღამოს ამზადებდა და ასე მოვედით დღევანდლამდე. ვატარებთ პოეზიის საღამოებს, ვხვდებით გამოჩენილ ადამიანებს, ვთანამშრომლობთ სკოლებთან, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან და მუზეუმში ვიღებთ მირზას პოეზიის თაყვანისმცემლებს.

– პოეტის სასიყვარულო ისტორიებიდან გამომდინარე, მირზა გელოვანის ფსევდონიმ „მირზას“ სხვადასხვა ვერსია არსებობს... რომელი მიგაჩნიათ უფრო სარწმუნოდ?

– მირზა გელოვანის ფსევდონიმის შესახებ შემიძლია, ასეთი რამ გითხრა. რეზო გელოვანს (მისი ნამდვილი სახელი ხომ რეზოა), თიანეთში, პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლისას, თანაკურსელი, სიღამაზით განთქმული, მარიამ ცალუღელაშვილი შეუყვარდა.

ამ დროს რეზო 17 წლის იყო, მარიამი – 16-ის. მართალია, ქალიშვილი არ იყო მისადმი გულგრილი, მაგრამ როდესაც ვაჟმა ცოლობა სთხოვა, ქალმა ტრადიციების დაცვა შეასწავა. რაც ითვალისწინებდა: რეზოს ოჯახის უფროსი ასაკის წარმომადგენელთა მისვლას, ქალის სახლში და ოფიციალურად ხელის თხოვნას. სითამამით ცნობილი რეზო, იმდენად მორიდებული იყო უფროსებთან მიმართებაში (როგორც ცნობილია, დედას თქვენობით მიმართავდა), რომ თვითონ ვერ გაბედა ოჯახში სიყვარულის გაჟღავნება და მეზობელს, ამავე დროს, საუკეთესო მეგობარს, შალვა სისაურს სთხოვა დედამისთან შუამავლობა.

როგორც მოგვიანებით შალვა იხსენებდა: იმდენად მოკრძალებული ურთიერთობა ჰქონდათ ჩემს მშობლებს მირზას მშობლებთან, რომ მე ბალდი, ასეთ რამეს,

დედამისს როგორ გავუბედავდიო, რაზედაც მირზა შემომწყრაო. და როგორც მივხვდი, მირზა და მარიამი ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენო.

ერთხელაც კლასი შევედი და რას ვხედავ, მირზას შუბლზე ხელი შემოუდვია და რაღაცას წერსო. რომ შემიშნა, ფურცლის დამალვა დააპირა, მე დავტაცე და რას ვხედავ, გაუვსია ნაწერით, ნაჯღაბნით ერთი გვერდი: „მირ-მარ“, „რეზო-მარიამი“, „მარო-რეზო“, „მარ-მირ.“... ბოლოს „მირზა“ ეწერა. რა არის-მეთქი. აღარ დამიძალა და მითხრა: მართალია, მარიამი ცოლად არ მომყვება, მაგრამ ჩემი ფსევდონიმი ჩვენი სახელების ინიციალების შერწყმით ამის შემდეგ მირზა იქნებაო.

მარიამი გათხოვდა ქუთაისში. ამ დროს მოგზაურობის მოყვარული მირზა ორჯონიკიძეში შეიტყობს სატრფოს გათხოვების ამბავს და იქედან უგზავნის ლექსს-შედეგს „მწყემსის მუქარა“, რომელსაც თავდაპირველად „ჩემი მუქარა“ დაარქვა.

ფსევდონიმის შესახებ დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია. სხვაც ბევრი უტყუარი მასალა ადასტურებს ფსევდონიმის ამგვარ წარმომავლობას.

– ყვავილი ია მირზა გელოვანის სიმბოლო იყო. თბილისიდან გაგზავნილ ამანათში იის კონაც იდო... ეს იები თინა მაქსიმელაშვილმა გაუგზავნა ფრონტზე... მას შემდეგ ჯიბით დაატარებდა იების კონას...

„მარცხენა გულის ჯიბეში ქართული იები მაქვს (სათუთად გახვეული უბის წიგნის ფურცლებში. თინამ გამომიგზავნა ისინი თბილისიდან). კრწანისში თუ კოჯორზე, ოქროყანაზე თუ დიდმის დიდ ველზე უნდა იყვნენ მოკრფილნი“... – წერდა მირზა.

გავისწეროთ ლექსის „ნუ მწერ“ დაწერის ისტორია... რატომ არის გაგვრცელებული ჭორები მირზა გელოვანის სასიყვარულო ამბებთან დაკავშირებით... იგი სიღამაზით გამოირჩეოდა და გასაკვირი არ არის, რომ მრავალ ქალს მოსწონებოდა... და მაინც, ვინ იყო მისი რჩეული?

– გეთანხმებით, მირზა, გარდა თავისი გარეგნობისა და მომხიბლობისა, თითქმის ყველაფრით გამოირჩეოდა თანატოლებისგან. იყო ძალიან ნიჭიერი, ინტელიგენტი, უყვარდა კითხვა და ლამაზი საუბარი იცოდა. ნაკლებად იყენებდა საუბარში ჟესტიკულაციას. მეგობრების წრეში ხშირად კითხულობდა საკუთარ ლექსებს და ამით, მსმენელის ყურადღებას იქცევდა. ამის და შესაძლოა, ვაჟკაცობის, თუ სხვა რაინდული თვისებების გამოც იყო, რომ ირგვლივ მყოფი ქალბატონების სიყვარულს იმსახურებდა.

ერთ-ერთ წიგნზე მუშაობისას, მქონდა ბედნიერება, პირადად გამეცნო მირზას ლექსის მუზა, უღამაზესი ქალბატონი, პოეტ ალაზნა ხაიაურის და – სარა ხაიაური, რომელსაც მიუძღვნა ლექსი „თეთრი მიწა“. ეს იყო წმინდა, უმანკო, ხელშეუხებელი სიყვარული.

სხვათა შორის, „თმები შოლტები“ ხაიაურის ოჯახის ქალების ტრადიცია იყო და უნდა ვივარაუდოთ,

რომ „მე თქვენი თმები დამაბრუნებენ“, სტრიქონების ადრესატიც სწორედ ეს ხევსური პედაგოგი ქალბატონი სარა ხაიაურია, რომელიც 76 წლის ასაკშიც არაჩვეულებრივად ლამაზი იყო და მომხიბვლელად გამოიყურებოდა (დღეს ეს ქალბატონი აღარაა ცოცხალი და მომიტვეოს უფალმა, თუ წლების შემდეგ ასე შევეხე მის სათუთ სულს).

„რჩეულის“ ამორჩევა მართლა ძნელია, ამაზე კამათი შორს წაგვიყვანს, მაგრამ საყოველთაოდაა ცნობილი მირზასა და ნინო ახვლედიანის სიყვარულის ამბავი, რომელიც ჯარში წასვლამდე გაიცნო შოვში და ძალიან ლამაზი რომანი თვით ნინა ახვლედიანმა დაწერა, რომელიც „ასფურცელა და ოქროსთმინას“ სახელითაა ცნობილი.

მირზას სიყვარულს ზოგნი თვითონაც იბრალებდნენ და ზოგნი სხვას აბრალებდნენ. ნონა ლასხიშვილზეც უთქვამთ, თინაზეც მომისმენია, რომელმაც იები გაუგზავნა მირზას და, მგონი, პოეტური ბუნების ადამიანისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისიც გულისჯიბით დაატარებდა და ლამაზ წერილებს აგზავნიდა საქართველოში, ოჯახში, ამის თაობაზეც წერდა. მას მოუცლევლობის გამო ბევრი ვერ უგზავნიდა წერილებს და ხშირად თინა პასუხობდა. მანამდე თბილისში მათი ურთიერთობა მხოლოდ კარგი დამური მეგობრობით შემოიფარგლებოდაო“, – ასე იხსენებდნენ მეგობარი ქალები.

როგორც უკვე აღვნიშნე, დიდი ხანია მუზეუმში ვმუშაობ და მირზას მრავალი თაყვანისმცემელი მინახავს მის კვარზე მოსული, მირზაზე ტკბილ-მოსაუბრენი, ისეთი განცდით ყვებოდნენ, რომ არაა გამორიცხული, თითოეულ მათგანში შეყვარებული აღმოეჩინა მსმენელს. მირზაც ალბათ მუდმივად იყო შეყვარებული, მაგრამ ვისზე? ეს, ყველაზე უკეთ ალბათ მან იცოდა. მთავარია, რომ ამ სიყვარულმა მდიდარი პოეზია შეაქმნევინა...

რაც შეეხება ლექსს „ნუ მწერ“, ნამდვილად მიუძღვნა თინას, ეს ინიციალებიდანაც ჩანს. ამას ალბათ ლექსოლოგები და მირზოლოგები უკეთ გვეტყვიან. ერთი რამ უდავოა, მირზას არ უყვარდა ზერელედ რაიმეს წამოძახება, თავისი ლექსებით აუცილებლად რაიმეზე მიგვანიშნებდა.

– **მირზა გელოვანის 100 წლის იუბილეა. რა გაკეთდა მუზეუმში და რას აპირებთ კიდევ ამ თარიღთან დაკავშირებით. რამდენად იგრძნობა ქვეყანაში პოეტის იუბილე?**

– წელს მირზა გელოვანის დაბადებიდან 100 წლისთავია. მუზეუმი წელს გამართული, ახლად გარემონტებულ შენობაში შეხვდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. შენობა, სადაც გაიზარდა დიდი პოეტი, ისტორიულია. ეს სტატუსი გასულ

წლებში მიანიჭა კულტურის სამინისტრომ, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლელა ქიტესაშვილის და რაიონის დეპუტატის ზაქარია ქუცნაშვილის ხელშეწყობითა და დახმარებით გარემონტდა.

მუზეუმი „აიპ მუზეუმების გაერთიანებაში“ (ხელ-ლი ნუნუ წიწაკიშვილი) და 100 წლისთავთან დაკავშირებით ერთობლივი გეგმა შევიმუშავეთ. გავაკეთეთ მოძრავი ფოტოგამოფენა. პროექტის მიხედვით მოვაწყეთ გამოფენები სკოლებში, ვატარებდით ლექცია-საუბრებს, რაშიც დიდი დახმარება რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა გაგვიწია. უნდა აღინიშნოს სკოლების მომზადება და დაინტერესება. ეს ორმხრივი თანამშრომლობა მეტად ნაყოფიერი გამოდგა. სულ ჩავატარეთ 12 ფოტოგამოფენა და 32 ლექცია-სემინარი. 2 მარტს კი მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის ლიტერატურულ სალონში აღვნიშნეთ პოეტის დაბადების დღე.

მუზეუმში, როგორც ვითხარით, ფუნქციონირებს ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი, რომელშიც რაიონების სკოლების მოსწავლეები არიან გაერთიანებული. მათთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მირზასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში. მუზეუმი ასევე მონაწილეობდა მირზას სახელობის ბიბლიოთეკაში გამართულ საიუბილეო საღამოში. ტელევიზიით „ერთ-სულონება“ გადაიკა სიუჟეტი მირზა გელოვანზე, სადაც მუზეუმის ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბებმა მიიღეს მონაწილეობა.

ზაფხულში თიანეთში იგეგმება გრანდიოზული საიუბილეო საღამო. ამის შესახებ წინასწარ ეცნობება მირზას პოეზიის ყველა თაყვანისმცემელს. მზადდება და ამ წელს გამოიცემა საიუბილეო წიგნი მირზაზე.

– **მირზა გელოვანის გადმოსვენება ჭიანჭურდებია. როგორც ჩანს, არის დამაბრკოლებელი ფაქტორები, ასახელებენ იმას, რომ სასაფლაოს შენება ან გახსნა ბელორუსიის კანონმდებლობით აკრძალულია. ეს არის ძმთა სასაფლაო და მირზა გელოვანის ნეშტის იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელიაო...**





– გადმოსვენებაზე ვერაფერს გეტყვით. წელს, 8-9 მაისს, ბელორუსიაში, მირზას საფლავზე იმყოფებოდა თიანელი ქალბატონი, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობს მოსკოვში და ველოდებით მის ჩამობრძანებას. ვფიქრობ, ბევრ საინტერესო ამბავს ჩამოგვიტანს.

სხვათა შორის, ეს ქალბატონი მირზა გელოვანისა და მისი სახლ-მუზეუმის დიდი გულშემატკივარია. მან გასულ წელსაც მონაზულა მირზას საფლავი და, სიმბოლურად, საფლავის მიმდებარედ დაკრეფილი იები ჩამოგვიტანა, რომლებიც მუზეუმში ინახება. ბევრი კარგი იდეა გვაქვს განსახორციელებელი, ერთ-ერთი – დიდი პოეტის სამუდამო განსასვენებლის მონაზულებაცაა, რაშიც რაიონის ხელმძღვანელობის დახმარების დიდი იმედი გვაქვს.

– გვიამბეთ ოჯახზე, შვილებზე... მართლაც, ბრწყინვალე გოგონებზე – დებ ზვიადაურებზე... რას საქმიანობენ?

– მაქვს ჩვეულებრივი ქართული ოჯახი, მყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი. მეუღლე მათემატიკოსია, მუშაობს თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად. უფროსი ქალიშვილი თამარი სწავლობს მაგისტრატურაში, წელს ამთავრებს ჯიპას პიარის განხრით... მუშაობს განათლების სამინისტროში (სსიპ-ში) სპეციალობით. სოფიკომ დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შემდეგ მაგისტრატურა და მიენიჭა გარემოს მედიცინის აკადემიური ხარისხი, მუშაობს კლინიკა „კურაციოში“.

რუსუდანს აქვს ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში, ასევე აქვს მეორე სპეციალობა კულტურის მენეჯმენტი. ამჯერად სწავლობს მაგისტრატურაში მედიკომუნიკაციის განხრით.

სტაჟირებას გადის ტელეკომპანია „იმედში“. ჩემი შვილები მღერიან სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლში „დეკა“ (ხელ-ლი დავით რატიანი) ასევე,

„თბილისის გოგონათა გუნდში“ (ხელ-ლი ომარ ბურდული). არის ასეთი ანსამბლი „დები ზვიადაურები“, სადაც მხოლოდ დები: თამარი, სოფიკო და რუსუდანი მღერიან, თან ძალიან კარგად. რუსუდანი კომპოზიტორია, წერს სიმღერებს. პირველად, მეუფე თადეოზის ლექსზე შექმნა სიმღერა. მას შემდეგ ბევრი ნაცნობი და უცნობი ავტორი აამღერა. ოჯახში, ჩემი მეუღლე და მისი დებიც მღერიან, როცა ვიკრიბებით, კარგი მოსასმენია მათი შეხმატკილვა.

– ჰობი?

– რაიმეთი განსაკუთრებული გატაცება არასოდეს მქონია. ისე, მოგზაურობა მიყვარს და ვმოგზაურობდი ხოლმე, ახლა ნაკლებად მცალია ამისათვის.

– მუზეუმთან ნორჩ შემოქმედთა კლუბი არსებობს... ვინ არიან მისი წევრები?

– მუზეუმის ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი, აქ, ჩემს მოსვლამდეც არსებობდა. მე უბრალოდ ახალი სული ჩაუდგი. მისი წევრები ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც არიან.

ყველას ვაწვევრიანებთ, ვისაც შემოქმედებითი ნიჭი და უნარი აქვს. მათი რიცხვი 800-ზე მეტია. ისინი, ძირითადად, რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან. მრავალი ახალგაზრდა წერს ლექსებს, ჩანახატებს. მრავალი კარგი პოეტი აღმოვაჩინეთ და სტიმული მივეცით. ზოგი გვემატება, ზოგი პირიქით, დროის უქონლობის გამო ვერ გვეკონტაქტება და ავტომატურად გვაკლდება. ბევრი წლობით მეგობრობს ჩვენთან. ვეხმარებით სტუდენტებს საკურსო თემების მომზადებაში მირზა გელოვანზე. გვყავდა დიპლომანტიც, რომლის კონსულტანტი მე თქვენი მონა-მორჩილი გახლდით და რომელმაც მაღალ დონეზე დაიცვა თემა. ვამზადებთ ლიტერატურულ შეხვედრებს, ვმართავთ პოეზიის საღამოებს.

დიდი საღამოებისთვის სცენას კულტურის სახლი გვითმობს და ასე ურთიერთთანამშრომლობით ვაღწევთ კარგ შედეგს. პოეზიის ერთ-ერთ საღამოში 68 მოსწავლე-ახალგაზრდა მონაწილეობდა, ეს კი საჯარო სკოლებთან კარგი თანამშრომლობის შედეგია.

ძირითადად, მაინც 10-15 ბავშვიანი ჯგუფების მონაწილეობით ვატარებთ სხვადასხვა საღამოს.

ვაწყობთ ექსპედიციებს სოფლებში, დაბაში. თვითონ ბავშვებსაც აქვთ სურვილი და ახალ-ახალი იდეებით მოდიან მუზეუმში.

გვაქვს პროექტი მოხალისეთათვის, რომლებიც ექსკურსიების დროს, თვითონ უძღვებიან მუზეუმში მოსულ დამოვალიერებელს და აწვდიან მათთვის საჭირო ინფორმაციას.

მათ ძალიან უყვართ მირზა და მისი მუზეუმი, გვეხმარებიან ეზოს მოვლა-პატრონობაში. ამ რამდენიმე დღის წინ, მუზეუმების გაერთიანებამ ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბის წევრები ერთდღიანი შემეცნებითი ექსკურსიით დააჯილდოვა. მრავალი საინტერესო ღონისძიება იგეგმება მომავალშიც.

ბია ბაბხიძე



მე მოკვდი

ჰო, გუშინ მოკვდი.

როგორ? აი, ასე – ერთ მშვენიერ დღეს, უბრალოდ, ავდექი და მოკვდი. ამ თემაზე რეპორტაჟი, ან ნიუსი რომ გამეკეთებინა, მაშინ წესით, დავწეკი და მოკვდი-მეთქი, უნდა დამეწერა, რადგან ფეხზე მდგარი სიკვდილი მაგრად ტეხავს – შეიძლება თავი ჩამოარტყა რამეს, ხელი მოგყვეს უხერხულად დ.ა.შ. მაგრამ რას იზამ? ეგრეა დადგენილი წესი და ვერ გადახვალ!

მოკლედ, წესია ასეთი, რომ უნდა დაწერო: – ავდექი და მოკვდი. ან იმ „ერთი მშვენიერი დღისა“ არ იყოს, რომელ დღესაც ხშირად არც თუ ისე მშვენიერი ამბები ხდება, მაგრამ ასეთი წესია და ვერ შეცვლი. ჰოდა, ეს მოთხრობაც (ნოველა, ჩანახატი, თუ რაღაც, რა მნიშვნელობა აქვს) ასე დავიწყე: – ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და მოკვდი!

მაგარი სიბრიყვეა და მაგრად ტეხავს. არა, გამართლება შეიძლება ფრანოთ, რომელსაც უეჭველი იტყვიან პანაშვილებზე და დაკრძალვის დღეს – ტანმა უგრძნო, წამოიწია, მაგრამ... ეჰ! წამია წუთისოფელი. აბა, აბა, არაფერი არაა ცხოვრება. წვალობ, შრომობ, წამოწევი და... ფაფუუ! ეეჰ, კაი კაცი იყო საწყალი! საწყალები ჩვენ ვართ, თორე იმას აწი რაღა უჭირს! დ.ა.შ. როგორც ხედავთ, ამ ფრაზებში გამამართლებელი, მხოლოდ პირველია. დარწმუნებული ვარ, ოდესმე ბრიტანელი მეცნიერები დაადგენენ, რომ ადამიანების რაღაც პროცენტი პანაშვილებზე და დაკრძალვებზე მხოლოდ იმიტომ დადის, რომ ამ ფრაზებიდან ერთ-ერთი მანც თქვას.

ხო, ფრიად საინტერესო იქნება, მაგრამ მაგაზე ალბათ სხვა ვინმე დაწერს – მე ხომ გუშინ ავდექი და მოკვდი.

მოკლედ, თუ რაღაც ისეთს, გმირულს არ ჩალო-ჩობ, ფეხზე მდგარი სიკვდილი მაგარი ცუდი რამეა. უამრავ უხერხულობას გიქმნის შენც და იმასაც, ვინც პირველი გიპოვის. აი, დაწოლილი კი სულ სხვა პონტია. ზეწარს გაასწორებ, ბალიშს შებუბლავ, თავი რბილად რომ დადო. თუ ცხელა, თხელ გადასაფარებელს გადაიფარებ, თუ ცივა, თბილად შეიფუთები

საბანში. გინდა ჩართული ტელევიზორის ფონზე მოკვდები და გინდა გაშლილ წიგნს დაიდებ გულზე. მოდი და ახლა ისიცა ვთქვათ, რატომ მოკვდი.

ერთის შეხედვით, არაფერი ისეთი. არც რაიმე ლეტალური შედეგის დამაყენებელი დაავადება მქონდა, არც შხამიანი თევზის ფხა გადამცდენია და არც მორიგ „პანმელიაზე“ „დაუსტუკებია“ გულს. თანამედროვე სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ჯანმრთელი ვიყავი. ნუ, რა თქმა უნდა, ხანდახან ცვივდებოდი, ხანდახან თავი მტკიოდა, ხანდახან ფეხის კუნთი გამეკვანძებოდა, მაგრამ ეგ სიმპტომები დღეს, 21-ე ნამდვილად აღარ შედის მიქელ-გაბრიელის შეიარაღებაში. ბრიტანელი მეცნიერების კვლევებზე დაყრდნობით, თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება ყოველ დღე გვამცნობს, რომ მიქელ-გაბრიელი მილიტარისტული ქვეყნების მსგავსად, ყოველდღიურად ახალ-ახალი იარაღით ავსებს თავის არსენალს და, სავარაუდოდ, ამ საქმისთვის საკმაოდ დიდი ბიუჯეტიც აქვს. ჩემი აზრით, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ მის ლაბორატორიებში, ნობელის პრემიის ლაურეატებზე არანაკლები დონის მეცნიერები მუხლჩაუხრელად ქმნიან სხვადასხვა სახის ვირუსებს, ბაქტერიებს, თუ ნებისმიერი ტერორისტისთვის სასურველ იარაღს. გაჭირვების, ანუ მეცნიერების მხრიდან იდეების ნაკლებობის შემთხვევაში, მიქელ-გაბრიელი ისეთ ძველ, აპრობირებულ მეთოდებს მიმართავს, როგორც მიწისძვრა ან ცუნამია (ეულებანი კარგა ხანია არ შემხვედრია).

პრინციპში, რამდენს გელაპარაკებით, ეს ამბები არ იცით, თუ რა? თქვენც უსმენთ საინფორმაციო საშუალებებს და თვალყურს ადევნებთ ბრიტანელი მეცნიერების კვლევებს, მაგრამ...

აი, ეს საინტერესო სიტყვა „მაგრამ“!

მთლად ეგრეც არ ყოფილა, როგორც აქამდე კაცობრიობას ეგონა. დიახ, ეგონა, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ იქეთ წასული ბევრი ყოფილა, უკან დაბრუნებული და ზუსტი ამბის მომტანი კი – არავინ.

დამერწმუნეთ, რომ ეს ასეა, მაგრამ ამაზე მერე ვისაუბრებ. ახლა კი დავუბრუნდები იმ ფრიად საჭირბოროტო საკითხს, თუ რატომ მოკვდი.

როგორც ვითხარით, რაიმე მძაფრი მიზეზი ნამდვილად არ მქონია. უბრალოდ, დავიდალე.

გაგიკვირდათ? დიახ, ჩვეულებრივად დავიდალე – მოლოდინისგან, შიშისგან, წარსულისგან, აწმყოსგან და გაურკვეველი მომავლისგან; გადაუდგმელი ნაბიჯებისგან და იმ ნაბიჯებისგანაც, რომ არ უნდა გადამეღვა. კი, ხმამაღლა ვამბობ, რომ არაფერს შეეცვლიდი, ისევ ისე ვიცხოვრებდი-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ ძირითად პრინციპებს ეხება. აი, წვრილმან რაღაცეებს კი – სასტიკად არა. მაგალითად, იმ დღეს იმ გოგონას გვერდს არ ავუკლიდი. იქ არ წავიდოდი, სადაც წავედი და უამრავი ასეთი რამ. დავიდალე იმაზე ფიქრით, რა მოხდებოდა რომ... დავიდალე სხვის ცხვირთან დამთავრებული ჩემი თავისუფლებით, ხალხის აზრით, სტანდარტებით, რომლებიც ხშირად გინდა, რომ დაარღვიო. რომ არ შემიძლია უბრალოდ დავდე და ხმამაღლა ვიყვირო – ააააააა!!!! რომ არ

შემიძლია გავაკეთო ის, რაც მინდა და აუცილებლად უნდა გავაკეთო ის, რისი გაკეთება თუნდაც მეზარება. დავილაღე იმისგან, რომ არავინ და მათ შორის მეც, თითქმის არაფერს არასდროს ვარქმევთ თავის სახელს. დავილაღე ამ ყველაფრისგან, ძალიან დავილაღე.

რაო, ხომ არ გეცნობათ? კი? ჰო, ასეც ვიფიქრე. მაპატიეთ, რომ ცოტათი გული დაგწყვიტეთ, რადგან თქვენს ადგილას მეც ამ ნაცნობი მიზეზების ნაცვლად რაიმე უფრო ჩახლართულს, აი, აგატა კრისტის დეტექტიურ ისტორიას, გოეთეს ან დოსტოევსკის მგრძობიარე ტრაგიკულ მელოდრამას, ბოლოსდაბოლოს, ამერიკული „ბოვეიკის“ სცენარს დაველოდებოდი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერი გენიალური უმარტივესიაო. აქ ჩემი ინტელექტუალური მონაცემების და საშუალოზე ოდნავ მაღალი ინფორმირებულობის სამარიაჟოდ შემეძლო დამეწერა ფრაზა: – წყლის ერთ წვეთში მთელი სამყაროა წარმოდგენილი-მეთქი, მაგრამ არ დაწერე. მეზარება (აი, სიმარტივის გენიალობის კიდევ ერთი კამკაშა მაგალითი).

ჰოოო, დავილაღე და გადავწყვიტე, მოემკდარე ვიყავი. მაგრამ სულ ბოლომდე არა. სულ ბოლომდე სიკვდილი მაგრად ტეხავს და, ჩემი აზრით, არც ღირს. აბა, რა პონტია სულ ბოლომდე სიკვდილი? ფაფუუ... და ვსიო? არა ძმაო, ეგ ნაღდად არ მაწყობს. ამიტომ ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა (აუუ, რა მაგარი ფრაზები გვაქვს ქართველებს!), ყველაზე კარგი გამოსავალი – დროებითი სიკვდილი ვიპოვე.

ბუნებრივად ჩნდება ორი შეკითხვა:

1. თუ არსებობს მსგავსი პრეცედენტი?

2. ეს ჩემი გადაწყვეტილება ვისთან იყო შეთანხმებული?

რაც შეეხება პრეცედენტს: ცხადია, არ მოვეყვები მძინარე მზეთუნახავის, ან ბოროტი ჯადოქრისგან გაქვავებული რაინდების ამბებს. არც „კლინიკური სიკვდილის“ შესახებ ვისაუბრებ, რადგანაც ეს მაგალითები თემას რაღაცით კი უახლოვდება, მაგრამ მაინც სულ სხვაა. თანაც, გამომდინარე იქიდან, რომ მე არანაირი იძულება არ მქონია, როგორც ზემოთ ნახსენებ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ ჩემი დასაწყობით იყო გამოწვეული, არც მძინარე მზეთუნახავი და არც ბოროტი ჯადოქარი არაფერ შუაშია. უბრალოდ, შეგახსენებთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც თქვენც ძალიან ბევრჯერ გითქვამთ: კურორტზე ორ კვირაზე მეტი არ შემიძლია გავჩერდე. მერე მწყინდება! აი, ზუსტად ეგ შემთხვევაა აქაც. მე ხომ დასვენებას ვაპირებდი? ჰოდა, იმ კურორტზე, რომელიც ყველამ ვიცით მითებიდან, ზღაპრებიდან, თუ სხვა წყაროებიდან, ორ კვირაზე მეტ დროს მეც ვერ გავატარებდი. რა თქმა უნდა „ორი კვირა“ ამ შემთხვევაში დროის ათვლის პირობითი ცნებაა, რადგან იქ, ზევით დროის ათვლის აბსოლუტურად სხვა სისტემა მოქმედებს. აი როგორ არის დროის შკალა დაყოფილი და ერთ იქაურ დღეს ჩვენს სისტემაში რამდენად კონვერტირდება, ნამდვილად არ ვიცი.

რაც შეეხება შეთანხმებას, აქაც საკმაოდ მარტივადია საქმე.

იმან, ვისაც ხელეწიფება აბსოლუტურად ყველაფერი, ყოველგვარი თხოვნის, აჯას, ან განცხადების გარეშეც ძალიან კარგად იცის, რაც მინდა. თანაც, ყველამ ვიცით, რომ ძალიან გულმოწყალები და ამიტომ იქ ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერები საერთოდ არ არსებობს. ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ როცა მოვინდომებდი, უკან დამაბრუნებდა.

ეს სკეპტიციზმიც დავძლიეთ? ჰოდა, ძალიან კარგი.

და კიდევ ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც კინალამ დამავიწყდა. რაც შეეხება დაკრძალვას, ორმოცს, საკურთხებს, ხელადაში შესავსებ ღვინოს და ა. შ. ეცადეთ, წესიერად გააკეთოთ, თორემ ხომ გითხარით, ბოლომდე არ მომემკვდარე ვარ და თავის დროზე ყველას გავცემთ საკადრის პასუხს. და არ გავიგონო ფრაზა: – გაემაროს! რა სისულელეა? რა უნდა აკმაროს? ე.ი. გამოდის, რომ მე უნდა ვიყო ბოლო მკვდარი მის ცხოვრებაში და ის უნდა იყოს პირველი, ვინც ჩემს შემდეგ მოკვდება? მაპატიეთ, მაგრამ ეს ნუგეში კი არა, წყევლაა. ამიტომ ეგეთი გაუაზრებელი ფრაზები არ გავიგონო!

აქ იმასაც დავამატებ, რომ არ ვაპირებ იმ რიტუალების აღწერას, რომლებიც სიკვდილის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება და განსაკუთრებით მთავარი ცერემონიალის განხილვას. არ ვაპირებ, რადგანაც მწერლების 80 პროცენტს ასე თუ ისე აღწერილი აქვს საკუთარი გარდაცვალება, დაკრძალვაზე მისული ხალხი და მათი განცდები. ასევე არ მეგულება ადამიანი, ვისაც თუნდაც ერთხელ არ ეფიქროს ამ მეტად საჭირობოროტო საკითხზე. ცხადია, ფიქრობენ ქელების სუფრაზე, ღვინოს საიდან ჩამოიტანენ, რამდენი სახის თევზი იქნება, ლოქო ქინძმარში აუცილებელია და.ა.შ. ამიტომ ამაზე ნამდვილად არ გავამახვილებ ყურადღებას.

უბრალოდ, ხაზი მინდა გავუსვა ერთ ფაქტს, რომლისთვისაც ყველას მიგიქცევიათ ყურადღება: – დაკრძალვაზე მოსული ადამიანების უმრავლესობას, მიუხედავად გულწრფელი მწუხარებისა, მაინც საკუთარი პრობლემები აწუხებთ – საუბრობენ ტელეფონით; მოსაუბრეს ეუბნებიან, რომ ახლა ახლობლის (ან ძალიან ახლობლის) დაკრძალვაზე იმყოფებიან. ხანდახან გარდაცვლილის სახელსაც ახსენებენ და ეს მეტწილად გარდაცვლილის ცნობადობაზე დამოკიდებული. შეიძლება მოსაუბრესთან მაინცადამაინც დიდი და გადაუღებელი საქმე არ ჰქონდეს, მაგრამ იმაზე ხაზგასმა, რომ დაკრძალვაზე და, მითუმეტეს, ვინმე ცნობადის დაკრძალვაზე იმყოფებიან, მათ იმიჯს რაღაც საფეხურით მაღლა სწევს.

მაიცა, მაიცა, ძალიან გაგუტით, არა? მეც ეგრე მგონია. აღარ გვინდა ეს მარიაჟობა და ჯობს ისევ მთავარ თემას დავუბრუნდე.

მაშ ასე, ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რომ ძალიან დავილაღე. ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა (ცხადია, ბევრი ვიფიქრე), იმ ფიქრის დროს დასვენების ათასი ვარიანტი განვიხილე. პრინციპში რა ათასი, სულ სამი ვარიანტი მქონდა. პირველი იყო, რომ წავსულიყავი სადმე სეიშელის, ან ბაკამის კუნძულებზე. შეიძლებო-

და მალტა, ნიცა, მონაკო და ა. შ. მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გამო, ეგ ვარიანტი დაახლოებით რვა წუთში გამოირიცხა. ის რვა წუთი კი ვოცნებობდი, თუ როგორ დავისვენებდი მშვენიერ გარემოში (კი ბატონო, რაც ახლა გაიფიქრეთ, ისიც შედის მშვენიერ გარემოში) და უაზროდ ვილიმებოდი. მეორე ვარიანტი იყო სოფელში წასვლა და იქ კარგა ხნით დარჩენა. მაგრამ პრაქტიკული თვალთ დანახული სოფლის იდილია გაცილებით უფრო მწარე აღმოჩნდა, ვიდრე ქალაქის რუტინა და, წარმოიდგინეთ, აქაც ფინანსური საკითხები წამოტივტივდა (აბა, იქ ჭამა, შეშა, ელექტროენერგია და ა.შ. ხომ მჭირდებოდა?). მესამე ვარიანტი იყო კარვის აკიდება და სადმე მთაში, ან ტყეში გაქცევა. თავიდან ეს იდეა ძალიან მომეწონა, მაგრამ წვიმა, ელჭექი, სეტყვა და, მოკლედ, ცუდი ამინდი რომ წარმოვიდგინე, გამაბჟუალა. თანაც, რამდენი საკვები უნდა წამელო? ახლა არ დამიწყოთ, ითევზავებდი, ინადირებდი და ისე გაიტანდი თავსო. სისულელეა ეგ! ასე რომ, ეგ ვარიანტიც გამოირიცხა.

ჰოოო, გადავწყვიტე, რომ მოვმკვდარვიყავო! (აუუ, ამ „მოვმკვდარვიყავო“ ხო გამიწყალა გული, მაგრამ როგორც შეამჩნიეთ სპეციალურად არ ვიყენებ სიტყვა „გარდაცვალება“. რატომ? აი, ისე! ამ შემთხვევაში, პროსტა არ მევასება. სხვა დროს შეიძლება გამოვიყენო, მაგრამ დღეს არა).

მეც ავდექი და მოვკვდი. ცხადია, წინასწარ მოვემზადე. ვალები გავისტუმრე (რაც მახსოვდა და რისი გასტუმრებაც საჭიროდ ჩავთვალე). დარჩენილი ფულით რამდენიმე დღე ვიქეიფე და მოვკვდი.

არანაირი შეძახილი, არანაირი პოზა. ჩვეულებრივად მოვკვდი. მართალი გითხრათ, ეგეთი რაღაცები იმიტომ არ გავაკეთე, რომ როგორც იცით, სულ ბოლომდე სიკვდილს არ ვაპირებდი და მერე, როცა დავბრუნდებოდი, მაგრად გამიტყვებოდა. აი, დაახლოებით ისე, ბრძოლაში წასვლის წინ რომ შესძახებ – სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ! მტერს შევაკვლები! და რამდენიმე დღის მერე ბუჩქებში ნაძრომიანები, ჩამოხეული ტანსაცმლით, თმებზე შერჩენილი ფოთლებით, მშვიერ-მწყურვალნი, დატიტყნილი ხელებით და ჭუჭყიანი ფრჩხილებით რომ შეიძურწები სახლში.

თავიდან არაფერი განსაკუთრებული განცდა არ დამუფლებია.

იმ მუსიკის თანხლებით, ყველამ რომ იცის, ის ცნობილი გვირაბიც გავიარე. ლამაზ მდელღოზეც გავედი და ირგვლივ მიმოვიხედე. მართლა მაგარი ადგილი იყო. ზომიერი სითბო და სიმშვიდე. – ვაა, რა მაგარია, – გაიფიქრე და იმ ჭიშკარს დაუწყე ძებნა, სადაც თეთრებში ჩაცმული თეთრწვერა მოხუცი მეგულებოდა. რამდენჯერმე მიმოვიხედე. არაფერი მსგავსი. არც მდინარე სტიქსი ჩანდა სადმე. გამახსენდა, რომ ფული აღარ მქონდა (ხომ გითხარით, ბოლო კაპიკებამდე დავხარჯე-მეთქი) და ქარონი რომ ვერ დავინახე, გამეხარდა. რამდენიმე წუთი კიდევ ვიდექი, მერე ავდექი და წინ წავედი.

ეს „წინ წავედი“ პირობითია იმიტომ, რომ გვირაბიდან გადმოვფრინდი თუ არა, გვირაბი გაქრა. რამაც შეუძლებელი გახადა, მეთქვა, სად იყო „წინ“

და სად „უკან“. დაახლოებით ისე, როგორც კოსმოსში, სადაც ვერ განსაზღვრავ, რომელია ზევით და რომელი ქვევით.

ბევრი ვიარე, თუ ცოტა, კარგა ბლომად ხალხი შევნიშნე. ზოგი წამოწოლილიყო და უსტკუნდა, ზოგი სუფრას მიჯდომოდა, ზოგი სეირნობდა და ზოგიც რაღაც თემებზე ერთმანეთში კამათობდა.

ნელ-ნელა და ფრთხილი ნაბიჯებით მივუახლოვდი. უცებ ერთმა, რომელსაც საკმაოდ დიდი ყანწი ეკავა ხელში გამიღიმა და ხმამაღლა დამიძახა – მოდი, მოდი, ნუ იზანტები და ეს ყანწი გამომართვი. შენი მოსვლის და ჩვენი დახვედრის სადღეგრძელოა.

ნაბიჯებს ცოტა ავუჩქარე. მივედი, ყანწი ჩამოვართვი, პირველი სიტყვა „გამარჯობათ“ ვთქვი და თან სადღეგრძელოს თქმა, ჩემი პერსონის პრეზენტაციით დავაპირე, რომ იმან, ვინც მომიპატიჟა, ღიმილით შემაწყვეტინა – არ გინდა, ვიცით. ვინც ხარ და ისიც, რის თქმას აპირებ. ჩვენ აქ ყველაფერი ვიცით. ნურც იმ თეთრებში ჩაცმულ, თეთრწვერა მოხუცს ელოდები, არ მოვა, სხვა საქმე აქვს და ჩვენ მაგას არ ვეკუთვნივთ. აი, ესაა სულ მთელი „ზეციური საქართველო“, როგორც ახლა შემოვიდა იქ, ქვემოთ მოღამში. აქაა ყველა, ვინც ოდესმე მომკვდარა. ჰო, ისიც ვიცით, რომ სიტყვა „გარდაცვალება“ ამ პონტში არ გევასება – და ხმამაღლა გაიცინა. მიდი, მიდი დალიე და დანარჩენს მერე ავიხსნით.

მეც კარგა გვარიანად დაბნეულმა რაღაც ჩავიბუტბუტე, აი დაახლოებით ისე – გაგვმარჯს და კარგთ ვიყთ (კორექტურა არ გეგონოთ, ჩემზე კარგად იცით, რომ ჩაბუტბუტებით ნათქვამი ეს სიტყვები, ზუსტად ასე ჟღერს) და ის ყანწი დავლიე.

ღვინო მეცნო. ჩავფიქრდი და შევეცადე გამეხსენებინა, ვისი მარნისა იყო. იქვე მდგარ, საკმაოდ რბილ სკამზე ჩამოვჯექი. ჩემს გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა თავი მოაბრუნა და მითხრა – ნუ წვალობ, ეს ღვინო შენი ქელეხისაა. ოკამის ქარხნიდანაა ჩამოტანილი. ნამდვილი შამპანურის მასალაა. სალოლ, კარგი ძმაკაცები გყოლია. იმათ მოიტანეს 500 ლიტრი. ორმოცისთვისაც დარჩება – მითხრა და ფხალი გადაიღო.

– ახლა მომისმინე და გეტყვი რა ხდება, – მომართა თამადამ. – ყველაფერს ნამდვილად ვერ მოგიყვები, სამ დღეში შენც გექნება მეშვიდე გრძნობა და ყველა ინფორმაცია თავისით ჩაგეყრება თავში. დაახლოებით ისე, ფილმში „მეხუთე ელემენტი“ რომაა, ლილუ რომ სწავლობს დედამიწას. მანამდე კი ზოგად ამბებს მოგიყვები, ეს სამი დღე უაზროდ რომ არ იტანტალო. პირველ რიგში გეტყვი, რომ აქ არც ქარია, არც წვიმა და არც თოვლი, თუ შენ არ მოგინდება. გინდა წვიმაში ხეტიალი?

პრობლემა არაა. გაიფიქრებ და გინდა თქემი წამოვა, გინდა ყუყუნა.

– ყუყუნა წვიმა მოვიდაა, – წამოყო თავი სუფრის კუთხეში ჩაძინებულმა მოხუცმა კაცმა, თვალები უაზროდ მოგვაგლო და ისევ ჩათვლიდა.

– ეს გადამრევს. თუ თვალების დახუჭვა უნდა, გავიდეს სადმე ტყეში და იყოს იქ. აბა, ძილით აქ არავის სძინავს. პროსტა, საჭირო არაა. ეჰ, ეტყობა,

იქ სულ ერთი კარგი გამოძინება ენატრებოდა. ჰო, თხილამურებზე მოგინდებდა სრიალი, ეგეც შენი ნებაა. მოკლედ, რაც გინდა, ყველაფერი თან გაქვს, თანაც ისე, რომ სხვას არ აწუხებ, – ამის თქმა იყო და ათიოდე მეტრში საოცარი სისწრაფით სპორტულმა კატერმა ჩაგვიქროლა.

– თომასი და მარტა, – ჩემ გვერდით მჯდომმა კატერს თვალი გააყოლა და ცხელი მჭადი მოტეხა. – უჰ, უჰ, უჰ, ცხონებაა, – ნეტარებით თქვა მან და კარგა მოზრდილი ლუკმა გადაყლაპა.

– სახლი თუ გინდა, გექნება, მაგრამ რაში გჭირდება? ხომ გეუბნები, ქარი არ შეგაწუხებს და წვიმა. წამოგორება თუ გინდა, ან ტელევიზორის ყურება, განმარტოვდი და უყურე. თუ გინდა სახლიც აიშენე. პრობლემა არაა. მეც მაქვს, ეგევე იქეთაა, მაგრამ რად გინდა? 30 წელიწადი იქნება, რაც არ ვყოფილვარ, – მითხრა და იქეთ გაიხედა, სადაც სავარაუდოდ მისი სახლი უნდა ყოფილიყო.

– რაც შეეხება ადგილს, მოკლედ რომ გითხრა, მთელი დედამიწა აქაა. გლობუსი ხომ გაქვს ნანახი? – ექნება, როგორ არ ექნება. გლობუსი იმ ინკვიზიტორს არ ჰქონდა ნანახი, ჯორდანო რომ დაწვა, თორე ამას როგორ არ ექნება, – გაიცინა ჩემს გვერდით მჯდომმა და ამჯერად საიდანლაც გაჩენილ თონთოლა ხაჭაპურს მისწვდა.

– თან საქმე, – თქვა ჩემმა განმანათლებელმა და ჭიქები ოკამის ღვინით ააესო. – ამით ჩვენს დანატოვრებს გაუმარჯოთ. ჭკუით ყოფილიყვენ, – თქვა, ღვინო ნება-ნება დალია და ისევ მე მომიბრუნდა – იმაზე, რომ აქ დროებით ხარ, ბოლოს ვილაპარაკოთ. ჰო, რაზე გაგჩერდი? ჰო, მთელი დედამიწა აქაა. ზუსტად ისე, როგორც იქ და ყველას თავისი ზეციური სამშობლო აქვს. არსებობს ზეციური მოზამბიკი, ზეციური ბრაზილია, ამერიკა და შენ წარმოიდგინე, ზეციური ხანტი-მასის ავტონომიური ოლქი. როცა გინდა, მაშინ დაათვალიერებ. კი, მართალი ხარ, წესით, ინდიელებს პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ ამერიკელებთან, ძველ ეგვიპტელებს არაბებთან. მაგაზე არ იფიქრო. ეგ საკითხიც მოგვარებულია.

იმან, – საჩვენებელი თითი ზევით ასწია და თვალებით თმების ქვემოდას მალლა აიხედა, ეგ ყველაფერი თავის დროზე მოაგვარა. რეზინასავითაა ზეციური დედამიწა. ყველა თავისუფლად ეტევა და ვისაც ვინმეზე რაიმე ბოღმა აქვს, საერთოდ ვერ ხვდება. არ არსებობს არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი. უბრალოდ, არის ერთი ადგილი, სადაც ის მოუსვენარი ტიპები არიან შეყრილები, რომლებსაც თავის დროზე უაზრო იდეები აწუხებდათ. განდიდების სურვილით შეპყრობილი და უბრალო, რიგითი მანიაკები. მკვლელები, მოძალადეები და ათასი ჯურის ვირიშვილები. მოკლედ რომ ვთქვა, ყველა ტვინგადაბრუნებული იმ შემოღობილშია მოთავსებული და, აი, ის თეთრწვერა და თეთრებში გამოწყობილი მოხუცი, მაგათ დარაჯობს. დათვალიერებას რომ დაიწყებ, შეგიძლია იქაც შეიჭყიტო. მაგარი კაიფია. სულ ერთმანეთს ეჯიჯლინებიან, ეჩხუბებიან, კედელ-კედელ დადიან. იციან, რომ აქ აღარაფერი ეშუქრებათ, მაგრამ მაინც ეშინიათ. არა რა, მაგათი გამოსწორება

არ იქნება. მოკლედ რომ გითხრა, კარგად გაერთობი.

– ისიც შეგიძლია რომელიმესთან „სვიდანია“ მოითხოვო, – ჩაერთო მის გვერდით მჯდომი, შუა ხნის კაცი, – მოითხოვო და ამბები მოაყოლო, მარა არ ღირს. სულ იტყუებიან. თავიანთ თავს იმას (ზევით ააპარა თვალი) ადარებენ. მაგათ ამბებს სხვები მოგიყვებიან უფრო ზუსტად და დაწვრილებით, მარა ცოტ-ცოტას მაინც ყველა იტყუება. არ შეუძლიათ საკუთარი თავი სრული სიზუსტით დაგანახვონ. მწერლებივით არიან. ყველა ხომ მთავარ გმირში თავის თავს ხედავს და იმ თვისებებს აძლევს, რის ნაკლებობასაც თვითონ განიცდის. ეგაა რა, ყველა ადამიანი საკუთარ თავზე ლაპარაკისას, მწერალია! ასეა ეს. – მორჩი ფილოსოფიას. ფილოსოფია რომ მინდოდეს, პლატონთან გადავირებენ, ან კანტთან. ენის და დროის ბარიერი არ არის. როგორც კი გაიფიქრებ, მადაგასკარზე მინდაო, მაშინვე იქ გაჩნდები, პარიზი გინდა? აგერაა ბატონო, ლას-ვეგასი? მიბრძანდით და ისიამოვნეთ, – მთხრობელმა ჩაახველა. ჭიქები კვლავ ღვინით შეივსო.

– აჰა, შენ ქალები და ნარკოტიკები გაინტერესებს? ეგეცაა. ქალების საქმე ჩვეულებრივად. უნდა მიხვიდე, ენალიზო და თავი მოაწონო. პუტანკებიც არიან. ნარკოტიკების მოყვარულები და პუტანკები ახლო-ახლო ცხოვრობენ. რა მულამია, ვერ გავიგე, მაგრამ ასეა და ჰე... – მცირე პაუზა ჩამოვარდა. ყველა თავისას ფიქრობდა და წარმოიდგინეთ, ყველა ილიმდა. – პაჰ, პაჰ, პაჰ, შილა შემოვიდა, შილა! – დაიძახა თამადამ. – ვააა, ყოჩაღ ძმაო. გადმოძხედა მეზობელმა, – შენ უნდა თქვა, ხალხი დავტოვეო. მალადეც! – ამით კიდევ ერთხელ გაგიმარჯოს, – მითხრა თამადამ და დალია. – ახლა რაც შეეხება შენს უკან დაბრუნებას. – მე გავფაციცდი, – პირდაპირ გეტყვი, – გაწევა მან და გამაბჟუალა! – როცა მოგინდება, მაშინ დაბრუნდები. აქ ყველა ეგრე ვართ – დროებით და მივიღვართ ხოლმე, ოღონდ იმ ადგილს, საიდანაც წამოვედით, ვერიდებით. გვინდა ახლა ჩვენ ისევ ის პრობლემები, რაც დავტოვეთ? გვინდა ის ფაციფუცი, რასაც გამოვექეცით? არა, თუ გინდა, ისევ იქ მიხვალ, მაგრამ შეიძლება ველარც გიცნონ, შეიძლება ისეთი სიტუაცია დაგხვდეს, რომ მაგრად დაგწყდეს გული. იყო ეგეთი შემთხვევებიც და სამივე ძალიან მალე გულდაწყვეტილი დაბრუნდა. ამიტომ ხარ მართალი, სიტყვა „გარდაცვალება“ რომ არ გევასება. კი შეგიძლია დაბრუნება, მაგრამ... ეჰ, საბოლოოდ მაინც სიკვდილი გამოდის. – თამადამ ტუჩები მოიწმინდა და გაქრა.

– მე ვიცი, სადაც წავიდა, – თქვა ჩემმა მეზობელმა, – სად? – ვკითხე მე.

– კილიმანჯაროს მთაზე. ყოველთვის, როცა რაღაც გაახსენდება, იქ ადის. უყვარს ძალიან ლეოპარდთან თამაში. აბა, გაგიმარჯოს! – დალია, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და ჩუმად ჩაილაპარაკა: – ყოჩაღ ძმაო, ყოჩაღ! იშვიათია ახლა ეგეთი ხალხი.

მიხვდი, რომ საკუთარ ქელეს ვესწრებოდი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დავრჩი. სახლიც ავაშენე, თქვენებური საზომით საკმაოდ უცნაური. ჰაერში დაკიდებული, მარჯვნივ ზღვის და მარცხნივ

მთის ხედით. ერთხელ კლეოპატრა მყავდა სტუმრად და ერთხელ მასაის ტომის ქალი. კლეოპატრას არც ისე დიდი ცხვირი ჰქონია და ქალწული იყო. ცნობისთვის გეტყვით, რომ აქ ყველა ქალწულია. მთელი მსოფლიო მოვიარე. ჰიტლერსაც ველაპარაკე და ჩინგიზ ხანსაც. არა რა, იქ უნდა იყვნენ, სადაც არიან. სუფრა კი ყოველთვის გაწყობილია. ხან აღდგომაა, ხან ბარბარობა, ხან ვისი საკურთხი მოდის, ხან ვისი სიკვდილიდან ესა და ეს წელი... ტელევიზორსაც ვუყურებ ხოლმე. ნაცნობები არ მინახავს. ვერიდები და ეტყობა, ისინიც მერიდებიან. მართალიცაა. დავიწ-

ყებთ ძველი ამბების გახსენებას, აგვიჩუყდება გული და შეიძლება მაშინვე დაბრუნება მოგვინდეს. არადა, მანდ უკვე ბევრი რამ შეიცვალა. ამიტომ ვერიდებით ერთმანეთს. მოკლედ, ვარ აქ ჩემთვის და კიდევ ერთი – ის რომ იციან, რაღაც წერილებს, ტანსაცმელს, პირსაპარსს და ათასგვარ სისულელეს რომ ატნივენ, აღარ გამოატანოთ. აქ არავის არაფერი არ სჭირდება. თქვენზე კი ყველაფერი ვიცით. აბა, კარგად იყავით. მომავალ შეხვედრამდე. არ გეტყვით, იმიტომ, რომ მაინც არ შეგხვდებით. ასე რომ, მშვიდობით.

რევაზ ინანიშვილის ხსოვნის საღამო სკოლაში



თბილისის მე-18 საჯარო სკოლის დარბაზში IV^ბ კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, სკოლის დირექციის და მშობელთა მხარდაჭერით, რევაზ ინანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება „სიკეთის ნამცეცები“ გაიმართა (კლასის დამრიგებელი ხათუნა ხუგაშვილი).

ღონისძიების მიზანი იყო წიგნიერების ამაღლება, მწერლის შემოქმედების შესახებ ცოდნის არეალის გაფართოება, ტექსტებთან შემოქმედებითი დამოკიდებულების გამომუშავება, მხატვრული კითხვის უნარჩვევის ხელშეწყობა.

ბავშვებმა გააცოცხლეს მწერლის შემოქმედება, მისი რამდენიმე მოთხრობა, ღონისძიება ქართული ცეკვებით, სიმღერებით გააფორმეს, მწერლისადმი მიძღვნილი ლექსები, მოგონებები წაიკითხეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: რევაზ ინანიშვილის მეუღლე – როზა ინანიშვილი, შვილიშვილი და შვილთაშვილები. ჟურნალ „დილის“ რედაქტორი დოდო წიგწივაძე და მისი თანამშრომლები.

მოსწავლეები სიგელებით და ჟურნალ „დილის“ მაისის თვის გამოცემით დაჯილდოვდნენ.

საღამოს განმავლობაში ბავშვები მოგზაურობდნენ იმ საოცარ გარემოში, რევაზ ინანიშვილის შემოქმედება რომ ჰქვია.

სტუმრებმა დაულოცეს სავალი გზა მომავალ თაობას...

მათი პედაგოგი და კლასის დამრიგებელი ხათუნა ხუგაშვილი თითოეულ სიტყვას, ფრაზას, მოთხრობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება... მან ისე გააცნო რ. ინანიშვილის შემოქმედება პატარებს, მთელი ცხოვრება გაჰყვებათ მის მიერ ნაჩუქარი დღეები... ფიქრები... მწერლის მიერ გაშლილი სივრცე...

საღამოზე ბავშვებმა წაიკითხეს რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი მაკა ბლიაძის ლექსი:

„სანთელი ჩემი სიტყვაა,
მოგონებების სინათლე.
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმებია,
ახლალა თავს რომ იმართლებს...
ციმციმა ფერად ქცეული
მონატრებაცა იმატებს...
ნიაკო, მეგობრობისა სადღევრძელო
ცად მიმართე.
მთვარის ასული ერთხელაც
გაზაფხულდება, იმართებს...
სადაც იქმნება მუსიკა,
სევდის თანამეინახე...
გულო, რამდენი მზეშინა
აქამდე შემოინახე...
დაბრუნავს მწერლის ფიქრი და
ბრუნდება დიდი სიმართლე:
სანთელი ჩემი სიტყვაა,
მოგონება კი სინათლე“...





შენ იცი...

შენ ახლა ჩემი ყველა გზა იცი,
 (ყველა გზა რაღაც ახალს მასწავლის).
 შენი ფიქრების გამზადე ღირსი
 და ღირსი შენი თავგადასავლის.
 ადრე ცხოვრებას ვალაღლა ვთვლიდი,
 ბედს კი ვეკიდე სადა საყურედ...
 და შენთან ყოფნა არ ვიცი რითი,
 არ ვიცი, როგორ დავიმსახურე.
 და მაინც რა ვქნა, რა უყო სევდას,
 გულზე რომ მაყრის ეჭვის ყინულებს...
 სევდას, რომელიც ზოგჯერ სულს ლევს და
 მერე კვლავ ჩემი ტანჯვით იბრუნებს.
 შენ ახლა ჩემი იცი ყველა გზა,
 ჩემს ყველა ბილიკს სერავ ბრჭყალებით.
 სასაყვედუროდ სიტყვას ვერ დავძრავ,
 ხვალამდე ასე თუ გეყვარები.
 ჩვენ რას გაგუძლებთ, რასაც დრო იტანს,
 ან რას ვიპოვით, რასაც დრო ეძებს...
 რადგან წარსული ტკბილი გრძნობიდან
 მხოლოდ ლექსები რჩებათ პოეტებს.

* * *

როგორ მეშინია ტკივილის
 და იმის,
 ვინც ტკივილს მაყენებს...
 დაკარგვის.
 ვერ ვიცლი
 ცვილივით
 კანიდან
 კივილის ნარჩენებს.

ხვედრი

მე უნდა ვზილო ეს ჯვარი მარტომ –
 მძიმეა...
 სიცოცხლე სუსტი, გავიდა რაც დრო –
 სიმია,
 მაგრამ იმ ორ გვრიტს, ღმერთმა რომ
 მანდო –
 იმედად,
 ჩემი სხეულის მარცვლები საზრდოდ
 სჭირდება.

* * *

მწვანე თვალების ბლონდებით
 შუქს მინთებს ყოველ მწუხრს.
 ასე, შორიდან – ვლონდები,
 ასე, შორიდან – წუხს.
 მაგ გულმა გულზე მიმიბა,
 ვიცვალე ფერი, ზნე...
 უკვე სულ სხვანაირი ვარ –
 ისგამოვლილი მე.

შეხე, გაზაფხული...

შეხე, გაზაფხული დამდგარა!
 ნელ კვირტებს ერევა ქარი ვერ.
 გავბედე და გულში რადგანაც
 ნუშის აფეთქება გავივლე –
 ცოდვა-ბრაღიანად ვიქეცი,
 სრულიად უბრალო მგზავრიდან...
 ამ სოფლის მოღრეცილ-მიღრეცილ
 ხნულის ბოლო მწკრივსაც გავიტან;
 ჩავწვები ხნულებში, ფესვს მშვიდად
 გავიდგამ მთისძირა წყარომდე,
 ჩემი სიფრიფანა ფესვიდან
 ბაბუაწვერები ამოვლენ.
 მომწყვეტ და უფლისთვის გამხელილ,
 ფარვანის სულივით ფარფატა –
 სიყვარულს, უსიტყვო ნაღველით,
 ამოისუნთქავ და გამფანტავ,
 რომ ჩემით გაივსო სამყარო,
 თვალებში უჩემოდ ჩამდგარი,
 ყოველ წელს თავიდან მახარო –
 შეხე, გაზაფხული დამდგარა!

ყინვის ზეწარზე
 ქანცმილეულ დარდად ვლაგდები,
 მერე ამ მუქი მოზაიკით –
 ცხოვრების რუკით,
 ყუჩდება მკერდში ცრუ სიმშვიდე,
 როგორც ლანდები
 სავსე გვირაბში დანახული
 იმედის შუქი.
 თებერვლის ბოლო გაოცება –
 სიშორით მარტის
 მათებს მეც და
 გულგრილობის სიცივით მთოშავს
 და ჩემთვის, ჩუმად ვმარჩიელობ –
 ვყავდი – არ ვყავდი...
 ჩემში თოკივით იგრიხება –
 მორჩა – არ მორჩა...
 თოვლის ფიფქებს კი,
 სველ თმაზე რომ ცელქად ხატავენ
 თებერვლის მჩატე აგონიას –
 უხმო რეკვიემს,
 ვუშვერ წამწამებს,
 ფიფქებივით მიმომფანტავი
 ტკივილი ფსკერზე ჩამიბრუნდეს...
 გადაგეჩვიო.
 ცას ისევ ვეძებ,
 ისევ ვეძებ, თუმცა კი ვიცი,
 თავზემთ უნდა ავიხედო,
 უბრალოდ, ერთხელ,
 როგორც ახლახან,
 რამდენიმე მზიანი დღის წინ –
 იმედი უნდა შევჩვიო
 მოსაფრენ მერცხლებს.

* * *

წლობით ნაგროვებ სითბოს გავცემ
 და ვიხარჯები,
 შენ ისევ მავსებ სიცოცხლით და
 ლექსით მოსული,
 აღარც სისხლი ხარ და არც ხორცი...
 სული ხარ ჩემი,
 სულში პატარა კუნძული მაქვს
 და იქ ვლოცულობ.

დღეები გასწვისდა
 საჩემო და სწვისგან
 გახსნილ ბარათებად.
 არაფრით თავდება
 ღამე, განათევი
 ფიქრში –
 ანათემა.
 ხდება დაბინდული,
 თვალებს რომ მილულავ,
 როდესაც თენდება,
 სევდიან მოტივით
 თვალის სინოტივის
 მკერდზე დაწვეთება.
 ეკლები, ხორცს რომ გტკენს,
 სუნთქავენ, ცოცხლობენ
 რადგან უნებურად,
 დროით შებურვილი,
 თვლემს სამი სურვილი,
 ვერასრულებული.
 საეჭვოდ წყნარები,
 დედალი ქარები –
 თვალეში ეკლები,
 სულში საცეცებით
 ხორცს მიმიზეზებენ
 სხვა სულისკვეთებით.
 თვალეებს ხრის ფიქრები,
 როგორც გარინდება
 შემდგომ მისალმების.
 ბედს (მოურიდებლად)
 აღარ ვურიგდები,
 აღარც ვეთანხმები.
 ველარ ვთმობ ამ იმედს –
 ჯერ კიდევ რაიმე
 იქნება საჩემო...
 ტკივილით ნაშენი,
 ვინ იცის, რამდენი
 მაქვს აღმოსაჩენი!

* * *

ცხოვრება დამემართა –
 დავიბადე...
 ვსწავლობ ბედისწერის გაკვეთილებს.
 თუმცა ასე გაგრძელება არ ივარგებს...
 თავიდან დაწყებას – არ ვაპირებ!

ჰორტენზია

არასდროს მომწონდა არც სუნით, არც ფორმით,
თუმცა, რა წესია –
მომართვეს... საჩუქარს არ შეეფერება
რამე პრეტენზია!
ყვავილს მჩუქებლისგან თან მოჰყვა ხოტბა და
ახსნა-პოეზია,
ადრე დაუხატავს თურმე ცნობილ მხატვარს
მთელი კოლექცია,
(გვარს ველარ იხსენებს, მაგრამ საუბარი,
ვფიქრობ, მონეზია)
და ჰოლანდიაში ლაღად გადაშლილი
ჰორიზონტებზეა.
ახლა მოკრძალებით ჩემს ოთახს ამშვენებს
სათბურის ვერსია...
ზამთარს შეფარული ვნებად გაზაფხული –
ლურჯი ჰორტენზია.

* * *

სულ უფრო ხშირად,
რომ ვაყოლებ მზერას დანიისლულს,
სხვა ქვეყნებისკენ გეზაღებულ
გუნდებს ფრთოსნების,
ვერ ამიხსნია,
ეს – სურვილი წამძღვეს წასვლის თუ
ისე მომბეზრდა ეს ამბავი –
სიამოვნებით
მივასვენებდი ფერგაცრეცილ
ფსკერზე ზარდახშის
ჩემს წილ ცხოვრებას,
ჩემი წილი ჯოჯოხეთითაც...
ეჯიბრებოდნენ ადრე ფოთლებს
ქარში ფარფატში,
ახლა მკლავები
ფოთლებივით მცვივა მხრებიდან.
მცვივა მხრებიდან
ფრთები, როგორც სითბო სახიდან
და მხოლოდ ხსოვნას
შერჩენია სისხლის წვეთებად –
რა სანატრელი –
შენს თვალებში მზერის ჩახიღვა,
რა სასურველი –
შენი სიზმრად შემოხეტება.

* * *

და მაინც... რატომ
მინდა ისევ გაუსაძლისად,
ძარღვებში თრთოდეს მირკანი და
ყინვით გადაბმულ
დღეებს გულგრილად
არ ფარავდეს თოვლით აპნისი,
ფერდობზე ნუში აფეთქებდეს
თეთრად გაზაფხულს.
ისევ ამღვრევდეს თვალში ფერებს
დარდის მოლბერტი,
ისევ ვითმენდე, გულში თმენით,
როგორც ვითმენდი,
შენს დაღლილ მკლავზე რომ მიფენდე
სიზმარს მოთენთილს
და თმას მვარცხნილედ
ალერსივით მშვიდი თითებით...

* * *

აღბათ არ მინდა ასე ვეწვამდე...
შენ ჩემს მზერაში ირეკლები –
ვიფარავ თვალებს,
რომ მეც ისევე არ ამტკივდე,
როგორც ჯვარცმამდე
ქრისტეს –
თვალებში არეკლილი ხის მძიმე ჯვარი.

* * *

ღამეები, უძილობით დაგრეხილი,
ჩემს სულეთთან დაემბდა კავშირს.
ასე უცხო, უცაბედი ქარტეხილით
გიყურებდი დამტვრეულს და დაშლილს.
მე მელოდი... და თვალები ამეხილა,
უცებ მივხვდი... შეგხედე და... გავშრი –
შენ იდექი ქუჩისპირას, როგორც ხილის
მოპარვაზე წასწრებული ბავშვი.

ლარნაკი

იღვა ლარნაკი ბროლის იერით
და იყო სავესე სიცარიელით.
ის სახსოვარი იყო დედისგან,
უტრიალებდნენ ბზარებს კედლისკენ.
ბზარებს ხედავდა მხოლოდ კედელი,
ასე მდუმარედ მრავლისმეტყველებს...
იღვა ლარნაკი და იშვიათად
დებდნენ ყვავილებს, ქალს რომ მიაართვეს.
იღვა თავისთვის, ზოგჯერ მტკრიანიც
კი ამშვენებდა ფორტეპიანოს.

თოვლი

მსუბუქად აფენს
დედამიწაზე
ქათქათა ზეწარს,
რომ მზისკენ დახრილ
ღერძზე პირალმა
წამოწვეს ზეცა...

* * *

განმეორებადი,
წრიული რუტინა
დღეს მარადიულის
ერთ წრესაც ასრულებს...
ფიქრი აიოლებს
და გადის უძილო
ღამე,
ალიონით
ყელგამოლადრული.

უნდა წავიდე

ისე მიყვარხარ –
უნდა წავიდე!..
ყოფნაც არყოფნის
ხდება ტოლფასი,
რადგან, რომც გსურდეს,
ვერ ამარიდებ
იმქვეყნიური ბინდის
მონაზვნებს.
ხომ მაინც გაგვეყრის
ეს დრო – სამიწე,
შენც ჭაობისფერ
ჩიტებს მომასევე
და ფრთებმოტეხილ
ლექსებს დამიწერ,
უეცრად შეშლილ
შემოდგომაზე.
თან გავიყოლებ
სიზმრებს ოდინდელს
ისევე, როგორც
შიშს ამჟამინდელს
და შეჩერება
აღარც მოგინდეს,
ისე ნატიფად
უნდა წავიდე...

ბოღბის ზარები

მთელი ცხოვრება ვატარებდი სულში
ფანტომებს,
ერთი წკრიალით რომ განდევნეს ბოღბის
ზარებმა.
ამქვეყნიური სიამისგან მინდა განდგომა,
რომელიც შენი არსებობით ჯერ
მეკრძალება.

მეც თურმე ვზრდიდი უფლის მარცვალს,
ცოცხალს ნიადაგ,
თუმცა ხან ოდებს ვეტრფოდი და ხან
სატირიკონს,
ცრემლით ვალობდი ცისფერ სხეულს –
ფხვიერ ნიადაგს,
რომ იმ მარცვლიდან ცირცელის ხე
ამოზრდილიყო.

მსუბუქად ვაღებ მძიმე კარებს და იქ
შევივარ,
სადაც დაიწყო დაბნეულმა სულმა ირაო.
ისევ ვმარცხდები, ისევ ვიბრძვი და ისევ
მიყვარს –
ნიშნავს, რომ მიწის სუნთქვაში ჯერ
ვმონაწილეობ.

და ტკივილები რომ აღვივებს – უფლის
მარცვალი,
ჩემში იზრდება, არ იზიდავს უცხო მიწები.
უკან ვბრუნდები, ეს ნიშნავს, რომ გზები
გავცვალე...
ზოგჯერ არც ვიცი, ვიცხოვრე თუ ახლა
ვიწყები.

რალაც დამალულს, რალაც უთმელს, რალაც
გამხელილს
ჩამოვიბერტყავ – გულის მომწყვლელს და
გამომშიგვენელს
და ყრუ კედლებში გამოჭრილი ღია
სარკმელი,
მზის უკანასკნელ სხივთან ერთად, მეც
შემომიშვებს,

იქ, სადაც ლოცვა მელოდება და მეტანია.
რომ დასრულდება ან ეს გზა და... ან ეს
ზღაპარი,
ჩემს ამქვეყნიურ არსებობას მოვინანიებ
და უკანასკნელ ნავსაყუდელს თავს
შევაფარებ.

„ანეულის“ სცენარი

ერთი დაუვიწყარი დღე სკოლაში

(მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლა)



1927-28 წლებში დათარიღებულ ლექსში ვკითხულობთ:

„მე დღეს შეგსრული ორმოცდაშვიდის.
თრთოლვით და ეჭვით ვზომავე განვილილსა:
ნეტა თუ მივეც ხარკი ამკრეფსა,
ნეტა თუ იკმარს უკვე მიძღვნილსა?..
მაცათ, არ მინდა... ადრეა წასვლა –

მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“, – ეს სტრიქონები ქართული პროზის გამორჩეულ წარმომადგენელს, ქართული სიტყვის მოდარაჯესა და დამცველს მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის; რაოდენ ნიშანდობლივია ვრცელი ლექსის ამ პატარა ნაწვევებში გაჟღავნებული მისი თავმდაბლობა, ჯერ არ თქმულის გათქმის სურვილი, „ადრე წასვლის“ რაღაცნაირი, გულისმწიფკნელი შიში და დარდი... ლექსის ეს ნაწვევები მისი სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლაში გამართულმა ლიტერატურულმა საღამომ გამახსენა, რომელიც ამა წლის 23 მარტს, ჟურნალ „ანეულის“ ლიტერატურული გაერთიანების წევრების საპატივსაცემოდ გაიმართა.

სკოლის პედკოლექტივი, მოსწავლეები, დირექცია, მშობლები ქებისა და მოწიწების ღირსნი არიან, რადგან დერეფნები, საკლასო ოთახები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა... საგულდაგულოდ მოვლილ-დაწვრი-ალბებულია, იატაკი – გასიკისიკებული...

განწყობას ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართველისთვის – გამორჩეულად... ამისთვის

სათანადოდ უზრუნიათ; პირველი სართულის დერეფნის ხელმარცხნივ, კელიდან საოცარი სითბოთი შესრულებული ფოტოსტენდი გვეგება წარწერით – „ჩვენ ვმეგობრობთ „ანეულთან!“

ყველა სართულის დერეფნის კედლებიდან შემოგვეყურებენ ქართველი მწერლების პორტრეტები, ნაწვევები მათი შემოქმედებიდან, ფრთიანი გამოონათქვამები... წესით, თითქოს არ უნდა იყოს გასაკვირი, მაგრამ ყველასთვისაა ცნობილი (ამაზე წერს მედია, საუბრობენ განათლების მუშაკები), რომ ბოლო ოც წელზე მეტია, რაც სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას სათანადო ყურადღება აღარ ექცევა... ამ თემაზე საუბრებმა ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო...

ამ ამბავს შეგუებულნი, უჩვეულოდ გაოცებულ-გახარებულები მივუყვებოდით კიბეებსა და დერეფნებს მე-3 სართულისკენ. ჩვენი მასპინძლები – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები – ქალბატონები: იზო სამუშია, ცისმარი ყურაშვილი, სკოლის დირექტორი (ამავე სკოლის აღზრდილი) მადონა მუმლაძე, სტუმრები: თამარ შაიშმელაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ჯუბა დებელი.

ცოტა ხანში გვიერთდებიან: ამ სკოლის აღზრდილი ნინო ქუთათელაძე, ლალი ჯაფარაშვილი, რევან ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები: მაკა სეფაშვილი, ლელა თოთაძე.

ვიდრე ფეხს შევდგამდეთ ლიტერატურის კაბინეტის მზის შუქითა და სიყვარულით სავსე ვრცელ ოთახში, ისევ მიხეილ ჯავახიშვილს მინდა მოვუხმო, მისთვის სანუკვარ – ჩვენთვის მრავლისმთქმელ მოგონებას:

„...მამაჩემი თვითონაც მიწის მუშა იყო და სურდა მისი შვილი მიწას არ მოსწყვეტოდა. მე არაფერი მკითხა და 1893 წელს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიმაბარა. მანამდის ახლანდელ ლორის რაიონში ხუთი წელიწადი დავეყავი რუსულ სკოლებში და დედა-ენა საყველ-პუროდლა მახსოვდა.

14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა. იმ ერთ წელიწადს ზეპირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და ჩვენი სკოლის გახსნის გამო მის მიერ ნათქვამი სიტყვაც, რომელიც ქართული ორატორული ოსტატობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია.

სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში ერთხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ.

წინ მასწავლებელი თელო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გავიარე და ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ, / დღე გათენდა დიდებისა, / თოფ-იარაღი აისხი, / დრო მოდის გამარჯვებისა“...

წინ ილია გამოგვეგება. გარს შემოვეხვეით და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაცემული შევცქეროდი. მეგონა, ახოვანი ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუატანის 57 წლის კაცი იდგა – სრული, პირსავსე, ჭაღარაშერული. ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერე წინ გავვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი ჩასჩურჩულა:

– აბა, ბრათაშვილის ლექსი წამიკითხე, – მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო. წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

„მორბის არაგვი არაგვიანი, / თან მოსდახიან მთანი ტყიანი“...

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვინმარე, ილიამ გაიცინა. არც სხვები ჩამორჩნენ. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი.

ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვილაცამ უთხრა ჩემზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე წერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

– მართლა? აბა, შენ იცი, – მითხრა ილიამ, ვინმლო არ შეგვარცხვინო...

ილიას დღეობებში ზედიზედ ოთხჯერ ვიყავი. 1896 და 1897 წელს ჩვენს გუნდს ორდენოსანი სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. მე პირველ ხმას ვამბობდი, ის კი მოდახილსა“...

ამონარიდი ცოტა ვრცელი გამოვიდა, თუმცა ვფიქრობ, ღირდა ამის გახსენება, მით უფრო, რომ კაბინეტში შესულებს კედლიდან „ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი გამოცემის გარეკანის მხატვრობის დიდი მოცულობის ასლმა ნაცნობივით შემოგვხვდა; ნახატი სკოლის მოსწავლის შესრულებული იყო.

საკუთარი საფიქრალი აღარ გვახსოვდა, გულდასმით ვათვალიერებდით გემოვნებითა და საქმის ცოდნით მოწყობილ ოთახს; რას არ ნახავდით აქ – საოცარი სიმწვანით ახასხასებულ ქოთნის ყვავილებსა თუ ძველებურ დაღესტნურ თუნგს – გვირილებით, მწერლების პორტრეტებს, კედლის გაყოლებაზე ჩვენი თუ სკოლის პედაგოგების ლექსებით მოფარდაგებულ სივრცეს... ნარცისებს, თეთრ მიხაკებსა და მინდვრის ყვავილებს შორის მსხლომი პედაგოგ-მოსწავლეები გაფაციცებით შემოგვეცქერნენ...

ჩვენს მყუდროებას, ხანდახან, სკოლის ზარის ჩვეული, მონოტონური ხმა არღვევს... ჭერიდან კი, გაგიკვირდებათ და, – ჭერიდან საქართველოს რუკა ჩამოგვეყურებს... შემაფრთოლა, – რას უბნობს, რას გვემუდარება, თანაც რატომღაც ზემოდან ჩამომცქერალ-დაფიქრებული...

გაოგნებას ვერ ვასწრებთ, რომ – აქეთ წამობრძანდითო და ყველას გვერდით ოთახში გვეპატიჟებინ; – სად? – „კარცერ ლუქსში“!

წარმოვიდგინე იქვე, სავარძელში მჯდომი გურამ ღოჩანაშვილი როგორ ჩაჰკირკიტებს მოთხრობის განახლებულ ვარიანტს, რომელსაც ისევ ისე ჰქვია – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“...

მეგზურობას უფროსკლასელი ნუკი პეტრიაშვილი გვიწევს, გვიყვება „კარცერის“ იდეისა და დაარსების შესახებ, გვაჩვენებს საექსპოზიციო მასალებს – ილიაზე, აკაკიზე, ტატოზე, ვაჟაზე... გ. ლეონიძეზე, რ. ინანიშვილზე, გ. ჩოხელზე, გ. რჩეულიშვილზე...

ნაცნობი, ულამაზესი ღიმილით შემოგვეყურებს მარიტა (ლიკა ქავჭავაძის ფოტო), ფუფალას ქოლგა, სოკო ნათურით და კიდევ ბევრი რამ... – ჰოდა, ჰა ბურთი და მოედანი, გამოიხურე კარი და ჩაიძირე სხვადასხვა ეპოქის წიგნების ავტორების პერსონაჟებთან ერთად ადამიანური ურთიერთობების არცთუ სასიამოვნო მორევში, აქედანაც ისწავლე ცხოვრება, ადამიანების ხასიათები, სიყვარულისა და სიძულვილის რაობა...



ღონისძიება გრძელდება, სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ლექსთა თქმაში ენაცვლებიან, საუბრობენ ლიტერატურაზე, თანამედროვე სკოლის თანამედროვე სპეციფიკაზე, მოზარდებზე... შესანიშნავად მღერიან: ნუკი პეტრიაშვილი გიტარის თანხლებით და ლიკა გვილავა – ფანდურით, სხვადასხვა კლასის მოსწავლეები მოკრძალებით კითხულობენ საკუთარ ლექსებსა და ჩანახატებს... დასასრულისკენ სიყვარულით გადავცემთ სამასსოვრო წიგნებსა და „ანეულის“ ნომრებს...

გადის გარკვეული დრო და ივანე ჯავახიძე პირობას ასრულებს: მადონა მუმლაძეს, იზო სამუშიას, ცისმარი ყურაშვილს, ნუკი პეტრიაშვილსა და თამარ შაიშმელაშვილს იწვევს რადიოგადაცემაში „ჩვენი საგანძური“;

შემოსულმა ზარებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ღირექციის, პედაგოგიკის არჩეული გზა სწორია – უფროსილდებიან იმ ტრადიციებს, რომლითაც სკოლა დღემდე მოვიდა, იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც თაობების აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანეს...

124-ე საჯარო სკოლა ღირსეულად ატარებს მიხეილ ჯავახიშვილის სახელს; ეროვნული მუხტი ის ფასეულობაა, რომელმაც სკოლა და „ანეული“ დაამეგობრა, რომელმაც გადააწყვეტინათ, რომ ჟურნალს, შეძლებისდაგვარად, მატერიალურად დახმარებოდნენ. მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ მეტად საშურ საქმეში.

გაეცანით ამ სკოლას, მის შესანიშნავ პედაგოგიკურს, მოსწავლეებს, მშობლებს (მუდმივად გვერდით რომ უდგანან სკოლას), ღირექციას, რათა თქვენც გაითანგოთ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის უსაზღვრო სიყვარულით, გახდეთ მისი თაყვანისმცემლები, ქომაგნი!..

დიდი მადლობა ყველას ღირსეული დახვედრისათვის!

გთავაზობთ ამ სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემოქმედებას.

ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი

* * *

ჩავითავქვევე და ის იყო, ახლა რაც არის: კარგიც და ცუდიც, ძუნწიც და უხვიც. კეთილი დედაც, გულბოროტი დედინაცვალიც. უკვე ნაცნობიც, შეუსწავლელიც, გადაღეჭილი, ნაწყველ-ნაკურთხიც, მომნიჭებელი იმედის და ჩამძირავი სასოწარკვეთის, ბრიყვთა ზეობის, მიამიტთა გულუბრყვილობის, დანაშაულთა არ შეცნობის და მუდმივი მონანიების დრო, ხანი, ერა, პერიოდი, როგორც გენებოთ, ის, ჩვენ, რომელსაც ასე მწარედ ვებლაუჭებით, სადაც წრის გარეთ გასულები ვკარგავთ ორბიტას. ამდენი ხანი ვიბოგინეთ, ანუ „ვიცოცხლეთ“ მაინც გულწრფელად გავიკვირვებთ – უი, მოვიდა!

* * *

გეფიცებით, დაგავიწყებთ მუხნარს, ბნელი ტევრის საიდუმლო ჩქამს, ის ტირიფი, ცახცახით რომ სუნთქავს და პატარა გუბურასთან დგას.



ბეტონქვეშ ჩაგუდული მიწა

ჩანახატი

არსებობენ სიტყვები, რომლებიც შეგძრავენ გულის სიღრმემდე, ავიშლიან ფიქრებს, ავიფარფატებენ, მათ ფრაზებზე შემოგასკუბებენ და გაგიტაცებენ შორს, შორს, უკიდვანოდ... მეც ბეტონქვეშ დაგუდულ თბილისის მიწას გავეცალე, გავერიდე და მწერლის საოცრებათა სამყაროს შევერიე. წვიმა წამომეწია შხაპუნა... მადლიან დედამიწას მიაშურა, რომელიც „დააჭებს ხახასა, ჩახაპავს და ჩახაპავს, გაფუვდება, გაფუვდება და დალებება. წამოვა ლორთქო ბალახი. წამოყინჩავს თავს ყანაცა“...

არ შეიძლება ამ, მადლიანი ქართულით ნაწერმა სტრიქონებმა დიდი გალაკტიონი არ გაგახსენოს.

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში.“

მადლობა უფალს, რომ ჩვენთან დღესაც მღერიან, დღესაც ქართული მიწის სადიდებელს აღავლენენ.

შრილებენ სოფლის ნიავეთან ერთად ჯადოსნური ფურცლები...

ლამის გასრესილ ბალახზე უცნაური ფიქრებით გაუცნაურებული, გულაყუჩებული, დიდი სიყვარულით დამძიმებული გარჯით დამტკბარი და დაღლილი ვაჟკაცი, საოცარი სითბოთი სავსე თვალებით შეჰყურებს თავზეწამოდგარ ცოლს... განა მარტო ცოლს, შვილსაც (რომელიც მალე მოეგვინება წუთისოფელს).

უფალმა მრავალგზის გაგვხადოს ამგვარი მშვენიერების მხილველნი ჩვენს მადლიან მიწაზე.

შრილებენ ფურცლები...

ჩქერში ჩამდგარ გიჟ გოგიას „მდინარის ნიაქარი სახეში სცემდა – გემრიელი, ტენიანი, უღალატო... წყალში ჩაღვრილი მზის ბრჭყვიალა

ათინათები მის სიმარტოვეს ჯადოსნური სილამაზის ალყაში აქცევდა“.

ვიხეტიალე, ვიხეტიალე ბუნების სურნელებით გამთბარ სტრიქონებში. „არსადაა ბეტონი, ცივი, არაფრისმთქმელი, რომლის ქვეშაც მიწა არ აკვნესდება.“

არ აკვნესდებაო ბრძანა ავტორმა... არადა ალბათ აკვნესდა. ვერც ცივმა და არაფრისმთქმელმა ბეტონმა ვერ შეაჩერა მისი კვნესა.

კონფლიქტის ზონა...

ჩვეულებრივი ბიბინა ბაღა და ბოსტანი ჩვენი მამების, პაპების და პაპის-პაპების ნალოლიავეები.

ვხედავ ბებერი ცაცხვის ქვეშ წამომჯდარ რობინზონს. პატარა ბავშვივით ატირებულს, რომელსაც თავისი წინაპრების ნაწვავ-ნადაგი კარმიდამო არ ეთმობა.

შტაბი – ბოსტანი...

იარალი – მამის ნაქონი სანადირო თოფი...

ზის ჯიუტად, არავის ყურს არ უდგებს...

ეს ბოსტანი მართლა ბოსტანია, თუ რამე ბოსტანზე უფრო მეტი?!

უფრო მეტი...

ალბათ, ის ერთი ციდა წითელი „ტუფლია“ ჩვენი ტანჯული ქართული სხეულიდან მოგლეჯილი, რომლის გადასარჩენად ღირს სიცოცხლის გაწირვა. ასეთი ადამიანები არსად მიდიან, არ გვემორდებიან... მათი ფეხები ხომ ღრმად მიდის მიწაში, ფეხვებად მიიქსაქსება, ხელები ტოტებად ესხმება, ზედ ფოთლები აუშრივდება და ხის ტანზე გულწითელა ჩიტად წითელი, ერთი ციდა ტუფლი დაუსკუპდება.

მართლაცდა, ჩვენ რა წაგვაქცევს...

ნეტავ, როდის გმინავს მიწა უფრო სასოწარკვეთით, როცა ბეტონქვეშაა ჩაგუდული, თუ როცა გადამთიელის უხეში ჩექმა თელავს, როცა მავთულხლართიანი ბოძი ერჭობა ღრმად სულსა და გულში?!

ბეტონქვეშაც იგრძნობს ჩვენი მადლიანი მიწა ალბათ მისი სათაყვანებელი შვილის გაბედული ნაბიჯების ხმას და გული სიამაყით აევსება.

მაგრამ... რა ვუყოთ დიდ ტკივილს თვალისწარმტაცველად აბიბინებული ტანჯული ბოსტნისა?!

ემველება კი რამე?!

იმედი არ კვდება...

ჩვენ რა წაგვაქცევს?!

მრავალ მოძალადეს შეაგებინე, უარი ეთქვა ბოროტებაზე, სუსტების დაჩაგვრაზე. ყველას ძალიან გვიყვარხარ: იას, სასუტელას, თვალხატულა ჩიტებს, ხმელ წიფელს, მთის წყაროს... მოკლედ შენ მთელი სამყარო გულით ატარე, დიდი, კეთილი და მადლიანი

გულით... შენ არავინ მოგიკლავს, პირიქით, ყველა გვაზიარე უკვდავებას..

შემძრა ამ ხილვამ, ადამიანისა და ბუნების შვილთა უღამაზესმა იდილიამ. იქ არ არის ცრემლი, შუღლი, მტრობა, წუხილი... ეს უკანასკნელი თუ არის, ისიც მიწიერ საქართველოსთანა დაკავშირებული.

გზა განვაგრძე...

ბუჩქის ძირას ჩაცუცქულ ბიჭს მოვკარი თვალი... გარინდული მისჩერებოდა ამოღალანებულ იებს.

– იცით, თამრიკო მასწავლებლო, გაკვეთილებიდან გაპარული პატარა გოდერძი რატომ აჩერდებოდა თურმე ხარბად ბუჩქის ძირს?! – მკითხა დღეს სკოლის კიბეებზე მდგარმა მოსწავლემ, ეშმაკური ღიმილით.

– ალბათ იების სილამაზით ტკბებოდა-მეთქი, – ვუპასუხე.

– არა, ჩემო ძვირფასო! საათობით იჯდა და აკვირდებოდა მიწიდან იების ამოსვლის პროცესს..

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. განა ასეთი რამ თავში აზრად მოუვა ჩვეულებრივ მოკვდავს?!

ვინ იყო გოდერძი ჩოხელი?! მე შემიძლია განა ამ კითხვას პასუხი გავცე?! შეიძლება განა მთიდან წამოსულ ნიაღვარს მკერდი მიუშვირო?! ხომ წაგიღებს და ცოცხლად დაგმარხავს? სწორედ ასე მემართება, როცა ამ დიდი ადამიანების შემოქმედებაზე ფიქრს ვიწყებ.

მთაც ლამაზია... ბარიც ლამაზია..

ბარი... ზეციური მემლექეთის ბარი. ნიკალას ჯადოსნური კალმით მოგვირისტებული, ჩაწნულ-ჩაგრეხილი.

შემოდგომაა, ტირილი ჩუმი...

ჭრელაჭრულა ფოთლებით დაფენილ ხეივანში მეფური ნაბიჯებით მოაბიჯებს უცნობი. ჭინკებით ავსებია თვალები.

ყურში ჩამესმის მისი განწირული ხმა.

ოჰ! ეს ფოთლები მოტანილი ქარით...

არავის თქვენგანს არ ენანება?!

ალბათ ისევ ღამენათევია და ნამთვრალევი.

ზეციური მემლექეთი

ღამეა... ძილი არ მეკარება.. უცებ გიჟურმა აზრმა ელვასავით გამიბრინა გონებაში. გარდაცვალება მომინდა...

ღიას, მომინდა, მომინდა არა ჩვეულებრივი, არამედ არაჩვეულებრივი... დანტე ალიგიერივით მსურდა ცოტა ხნით მემოგზაურა სამუდამო მხარეში,

ზეციურში, იქ არა, სადაც სიმწუნარეა, სადაც ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს სძინავთ. აი, იქ, სადაც უფალია თავისი ქერუბიმებით, რჩეულებით, ჩვენი უსაყვარლესი წინაპრებით გარშემორტყმული.

ფიქრი ჯადოქარია. მას შეუძლია შეუძლებელი. მივენდე, გამიტაცა იქ, სადაც გული მიმიწევდა, ზეციური მემლექეთი...

საოცრებათა მხარე... რა ლამაზი ყოფილა იქაური საქართველო?! ფირუზოვანი, ზურმუხტოვანი, ნათელი ფერებით დატვირთული... ანგელოზთა გალობის ხმა ჩამესმის. უცებ ჩემ წინ ტატოს მერანმა ჩაიქროლა და სივრცეში გაუჩინარდა... როგორც ჩანს, იქაც ვერ ისვენებს. ალბათ ჭავჭავაძე სალონისკენ მიიჩქარის, წარჩინებული ბანოვანები სულმოუთქმელად ელიან... თვითონაც ელის. კატინკას სიფრიფანა ყურის ბიბილოზე ისევ მაცდურად ტოკავს საყურე...

აქ, საყვარელმა ადამიანებმა მოლოდინით დალაღლეს.. იქ?.. უფალი მოწყალეა...

წინ, წინ მივიწევ... საყვარელი, ახლობელი და მონატრებული სახეები შემომეფეთნენ. შემომცინეს, მოვესიყვარულე, მოვიკითხე, მომიკითხეს...

მთისკენ გაუყევი ბილიკს. წყარო მორაკრაკებს. დავეწაფე. კეთილი ადამიანივით დავლოცე მისი გამჩენი. აი, ისიც, ვისი ნახვის სურვილიც ხშირად მიკრთობდა ძილს. ჭრელქათიბა ნუკრთან მუხლი მოუყრია და ეჩურჩულება. ყური დავუგდე.

– მაპატიე, პაწიავ, დაუნდობელ მონადირეს რომ მოვაკვლევი შენი იმედი, ნუგეში!

მადლიერებით სავსე, ნუშისმაგვარი თვალებით შესცქერის ის თავის შემოქმედს.

ჩემო კეთილო, ბუმბერაზო ადამიანო, შენი ჯადოსნური კალმით დედამიწაზე სიყვარული იქადაგე, ჩემი საცოდაობის შემყურე არ გვენანება, ვაი, რომ არ გვენანება...

აი, გამოჩნდა აკაციის ტვერი, წნელის სუსტი ღობე. აქეთ ღვინიანი ქვევრი, იქით ღვინიანი კოპე. მამაპაპისეული უღამაზესი კარმიდამო. მასზე მლოცველი, ზეციურ ბილიკზე შემდგარი პატარა ქალი, ანა დედოფალი... ასე ახლობელი და ასე შორეული...

ოჰ, კმარა... დავიღალე, დავიღალე ემოციებით... მართალია ფიქრმა შეუძლებელი შემადლებინა, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია.. მხოლოდ წვეთს ვეზიარე, შევიგრძენი, განვიცადე და...საკმარისი! ზღვა განცდა იქნება ალბათ ნამდვილი გარდაცვალების შემდეგ.

დავუბრუნდი რეალობას. ახლა მოლოდინი.

ხანმოკლე თუ ხანგრძლივი?!

ვინ იცის?!



ჩემს დაიკოს!

შენ გახდებოდი 65-ის,
 ოჰ, გახდებოდი..
 საუბედუროდ,
 არ ვამბობ – გახდი.
 მე თვალწინ მიდგას
 ჩვენი ბავშვობა,
 შენ იყავ ცელქი,
 მე ვიყავ წყნარი...
 წლები გარბოდნენ,
 უერთმანეთოდ არ გვიცხოვრია
 არც ერთი წამი...
 მე... შენით ვიყავ,
 შენ იყავ ჩემით,
 ერთურთს ვავსებდით
 ლხენით, თუ დარდით...
 დარდით?
 ჰო, დარდი
 არ გშორდებოდა,
 გექცა თანმხლებად.
 ვებრძოდით ერთად,
 როგორც შეგვეძლო,
 მაგრამ ის უფრო მეტად გახელდა...
 ფიქრი არ მინდა იმ დასასრულზე,
 რომელმაც შემძრა
 დამცა, დამწიხლა,
 გამომაცალა ფეხქვეშ საყრდენი
 და უმოწყალოდ ასე გამწირა.
 მძიმეა, მაგრამ მე მაინც მჯერა,
 რომ ყველაფერი გრძელდება ისევ...
 რომ ძლიერია სულთა კავშირი
 შენ იქ... ზეციდან...
 მე აქ... მიწაზე, ისევ ვიბრძოლებთ,
 ისევ ვიფიქრებთ,
 ვინც გვიყვარს... მათზე,
 ვინც გვიყვარს... მათზე!

* * *

იყო წამი...
 ხელავ – მოდის.
 ვინ? ან რაა ასეთი?
 შენ იყავი, გრძნობა იყო – წამი უძვირფასესი.

* * *

პური,
 ჭური,
 თასი;
 მასვი
 ღვინო;
 ძღვენი
 მომიძღვენი.
 რითმაც ამოვიდა ყელში.
 მაინც იწერება ლექსი
 „პოეზიის საწინახელში“.

* * *

იბარდნარე, აფერფერე არე.
 იფარფატე, ბარდნა ამთა-ბარე,
 გადაპენტე საატმეა რტონი!
 იფაფუკე ტანი!.. ტუნი, ტონი.

* * *

ერთხელ გნახე,
 კიდევ ერთხელ მსურდი!
 სხვისი ხარ და..
 არ ვყოფილვარ ქურდი!

* * *

ლექსების წერა არ მიყვარს – იცი.
 (რითმები ალბათ სასაცილოა იქ,
 სადაც უკვე ჩაიარა გალაკტიონმა)
 და მაინც ამბობ, რადგან
 ფიქრობ და რადგან იწვი.
 ო, რამდენ ნათქვამ სიტყვას წავშლიდი...
 ღუმილის მჯერა, არ მჯერა ფიცის.



* * *

დილით იღვიძებ. ფეხებს ცივ იატაკზე დგამ. თვალს ისრესავ. აქეთ-იქეთ იხედები, თვალში ფანჯარა გხვდება. ოთახში ბნელა. სინათლე არსადაა. მზეც არ ამოსულა, ფანჯარა ფარდებითაა დაფარული. ღებები, მიდიხარ ფანჯარასთან, ფარდას სწევ. იხედები გარეთ, თოვლია. გახარებული იყურები. ათვალთვლებ და აღფრთოვანებით შესცქერი თეთრი სუდარით მორთულ ქალაქს. „თოვლში ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა“. ისეთი მშვენიერია ყველაფერი, გილეუკებს სულს. ბედნიერებისგან თვალები გიბრწყინავს. ერთი სული გაქვს, როდის ჩაიცივამ და გარეთ როდის გახვალ, რომ უფრო ახლოდან შეაგლო თვალი და სული ყველაფერს. სწრაფად ემზადები. ქუდი, შარფი, ხელთათმანები არ დაგავიწყდეს, გემახის ღედა. შენ კი ყურსაც არ უგდებ. გეჩქარება. სწრაფად ჩარბიხარ კიბეებზე. გახვალ სადარბაზოდან და გგონია, ზღაპარში ხარ. ცივა, მაგრამ...

გადიხარ, ფეხს თოვლში დგამ, მოგწონს, ყურში სასიამოვნოდ გხვდება თოვლის ხმაური. არ გაწუხებს. მიაბიჯებ მშვიდად. ხედავ ეზოში მხიარულად მორბენალ ბავშვებს. მათი ყიჟინი ეფინება არემარეს, კორპუსებსაც, ამაყად აღმართულები ექოს გამოსცემენ. ესეც გსიამოვნებს, აყურადებ ცოტა ხანს და სიამოვნებისგან თვალებს ხუჭავ. გინდა თოვლიან ქუჩებში სეირნობა, მიაბიჯებ. აღფრთოვანებით შეჰყურებ დათოვლილ გზებს, სახლებს, ხეებს. მაღლა იხედები, აკვირდები ხის ტოტებს. თოვლი ბრილიანტით ბზინავს და ნელ-ნელა, ქარის დაბერვით ძირს ცვივა. ამ დროს ხვდები, რომ ეს ყველაფერი მართლა გაბედნიერებს და მაშინ სხვა დანარჩენი აზრს კარგავს.

შენთვის წყნარად მოაბიჯებ პატარა ქალაქის ვიწრო ქუჩებში, ხალხი არსაიდან ჩანს, მაგრამ იცი, რომ იქ, სადაც შენ მიდიხარ, მხიარულება იქნება. წინასწარ გიხარია. იცი, რომ საყვარელ ადამიანებთან ერთად გაერთობი. წამიერად ღიმილი გადაგიბრუნს სახეზე და ტუჩის კუთხეში გაკრთება. მერე სევდა ისევ შემოგიტევეს. ისევ ფიქრდები. უაზროდ აშტერდები ერთ წერტილს. თითებზე სიცივეს გრძნობ. იხედები, გაწითლებულია, გათბობას ითხოვ. განა გათბობა რთულია? უბრალოდ ელოდები, როდის გაგათბობენ.

ქუჩა მთავრდება. მაშინვე მეგობრებს ხედავ. თვალები გიბრწყინდება, ერთად მიდიხართ, სეირნობთ, იცინით, ეს სიცილი გულწრფელია, სიყალბისგან დაცლილი. მართლა გიხარია მათთან ერთად ყოფნა. თმას ისწორებ, ისინი კვლავაც იცინიან. მერე უცხო ღიმილი გხვდება თვალში, სულ სხვანაირი, გამორჩეული. ბოხი ხმაა, მაგრამ ლამაზი. აკვირდები, აშტერდები, გრცხვენია ასე დაჟინებით ცქერა, მაგრამ მზერას ვერ სწყვეტ. ისიც შენ გიყურებს. ალბათ დაჟინებული მზერა შენიშნა. გიყურებს თვალებში. სახეზე დაბნეულობა, გაურკვეველობა ესახება. ღიმილის გარდა, მის თვალებსაც ამჩნევ. მუქია, თითქმის შავი. უბრწყინავს თვალები. შეხედავ, თუ არა ყველაფერს გეტყვის. ეშმაკურად უციმციმებს. ნათელი თვალები აქვს, მასში ჩაძირვა რომ შეიძლებოდეს, ფსკერამდე ჩახვილოდი სიამოვნებით და იქიდან აღარც ამოხვიდოდი. გიყურებს. უყურებს და შეგიყვარდა. მხოლოდ ის კი არა, აღმოჩნდა, რომ მთლიანად ის შეგიყვარდა.

როცა ის გეუბნება: მიყვარხარ, იმორცხვები. მერე სიხარულის მოზღვავებას გრძნობ და მოწყვეტით ეხუტები. ხელებს მაგრამ გხვევს. შენც ძლიერად ეხვევი, თითქოს მისი დაკარგვის გეშინია, მაგრამ იცი, ის არ წავა, სულ ერთად იქნებით.

* * *

ზოგჯერ ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ირგვლივ ყველა და ყველაფერი გეუფერულება. სამყარო კარგავს ფერებს და მხოლოდ შავ-თეთრი ბუნდოვანი ლაქებიღა რჩებიან. თავს გეველებიან, გინდა ჩამოიშორო, მაგრამ ჯიუტად არ განებებენ თავს. შენთვის მიაბიჯებ ნაწვიმარ ქუჩებში. ხალხი გარს გეხვევა. შენ კი უაზროდ და უხალისოდ იყურები. ჯერ ერთ ფეხს გადადგამ, მერე მეორეს. ნაბიჯებს ითვლი. უაზრობაა. ფიქრებით სხვაგან ხარ. გარშემომყოფებს ვერ ამჩნევ, თუ შეამჩნევ, მაშინვე თვალს არიდებ. გრცხვენია, ვინმემ შენი მზერა რომ შეამჩნიოს.

ზოგჯერ ამ ერთფეროვნების გაფერადება გინდებოდა. გინდებოდა, რომ ცხოვრება ბედნიერი ღიმილით გაილამაზო. საშუალება კი არ გაქვს. უფრო ზუსტად კი, ხალხი არ გაძლევს საშუალებას. უემოციო, არაფრის მეტყველი სახით დადიხარ. სხვანაირად ვერც ივლი. მიმოიხედავ აქეთ-იქეთ და შეამჩნევ დაღვრემილ სახეებს. უყურებ მათ და შენ გკითხავენ, ასეთი სახე რატომ გაქვსო?! ამდენ ერთფეროვან, უემოციო სახეში შენი ღიმილი, ბედნიერი სახე სხვას ნაკლად მოეჩვენება. ვითომ ჯობია ასეთი

უნაკლოება? სამყარო ფერებს კარგავს. აღარც ღიმილი, სიხარული, ბედნიერება. ქუჩაში გასვლა აღარ მოგინდება. თავსაც ვერ აარიდებ ასეთებს, ჭიანჭველებივით ყველგან არიან. უფროსები ბავშვებსაც კი უშლიან ღიმილს. ზედმეტად არ გაგელიმოსო. სიცილიც მოისპო უკვე. მერე იტყვიან, ცხოვრება ერთფეროვანი არააო.

ქუჩაში გაიხედე, დაინახავ ფერებს, თუმცა ერთფეროვანს, მობეზრებულს. სიცილი არ არის?! – საკვირველია. უფალმა მოგვიტყევოს.

ღეღეღე ჯანჯიბუნაშვილი



* * *

ზამთრის ნაადრევი, გრძელი, სუსხიანი საღამო. გაათმაგებული დღესასწაულებით დაღლილი ქუჩებიც მიძინებულია. მე კი ხმამაღლა მინდა ვიყვირო. მაგრამ, ეს მფეთქავი ბურთი ამოდის ყელში და იოგებს არ აძლევს შერხვევის ნებას. მე საოცარი ახალი ამბავი მაქვს – ვარსკვლავი მყავს სახლში... შორეული კი არა, ძალიან ახლობელი, ისეთი ახლობელი, რომ ჯერ არ ვიცი, რას შევადარო...

ჩემი ვარსკვლავი პაწაწინაა, მაგრამ ყველა ვარსკვლავზე კაშკაშაა. მოწებებულია და მეც სულს მინათებს. ვუყურებ და მინდა ვიყვირო, მაგრამ მრცხვენია... ასეთი ვარსკვლავი ხომ შენ გყავს, მასაც, სხვასაც, ერთი კი არა და ორი, მეტიც... და ყვირილის მაგივრად ვბუტბუტებ. ღმერთო, არ ჩააქრო ეს ვარსკვლავი არსად, არსად, არსად...

* * *

ეს კიდევ ერთი ამოსუნთქვა,
ერთი ღიმილი დედამიწის,
ერთი ბილიკი მიწიდან ცამდე.
უცნაურად ფერადოვანი.
ერთიც შესაქუნა
მზის სხივებში გამოპარული.
ჩამორეცხოს ნაზამთრალი
ნაავადარი.
ეს კიდევ ერთი გაღიმება.
ფერად ფურცლებად
ზეთა – ყვავილთა.
ერთი ღიმილი,
ერთი იმედი,
გამოზაფხულდა!

* * *

ის მიდის ქუჩაში... მიდის და ანათებს...
მის ზურგზე წყვილ თვალთა ენთება ნაკადი.
ისეთი ლამაზი, ძლიერი, ამაყი.
ნეტავ, სად იშოვა ნილაბი ასეთი?!
ის მიდის, თუმც გული იქ, სადაც დატოვა.
ის ვილაც ამდენად ღირდა თუ არ ღირდა...
ეტკინა? – ნაკლებად.
ეწყინა? – ვერ გეტყვი, რამდენად.
და არც კი იფიქრა, თუ ღირდა დარჩენად.
აღგა და წავიდა,
ვერ შეძლო სხვაგვარად.
და მიდის, უგულოდ, ნილბის ქვეშ ცრემლია,
სხვაგვარად არ ძალუძს, ამაყი ქალია!

ლიან ნახიოზაშვილი



მხოლოდ შენს ხელებს ვხედავ ჩემკენ გამოწვილი. გინდა, რომ გულში ჩამიკრა, თუმცა ამაოდ. უკვე მგონია, რაც შენ დამტოვე, ყველაფერი გაუფერულდა, სადღაც სამყაროს კუნჭულში გადავარდა. გულისცემაც აღარ მესმის. ნუთუ შენმა სიყვარულმა ჩემი გულიც გააჩერა?! დიან, ეს ასეა! დავაბიჯებთ მხოლოდ მე და მარტოობა.

ბჰანსა სჰანიძე



* * *

იცოცხლე, რომ მომენატრე? მაგრამ შორს ხარ. შორს, სადღაც ვარსკვლავებს შორის. იმდენად შორს, რომ იქნებ ვერც კი დავინახო შენი ციალი. ვხვდები, აღარასდროს გადაიღებს წვიმა. თუმცა, მაინც ვერ ჩარეცხავს იმ დანაკარგს, რასაც უშენობა ჰქვია. ახლა მე ვზივარ რიწის ტბის პირას და გიყურებ თვალებში. შენი თვალები უწინდელივით აღარ ლივლივებენ. ქვემოთ ოჩამჩირეს ვხედავ. ავხედავ ცას და ვგრძნობ ტკივილს, რომელსაც სოხუმი ჰქვია.

ცივა. მგონი წვიმს, მაგრამ არა. მაღლა უსასრულობაში ვხედავ მთვარეს, არადა, დღეა. შავი ღრუბლები ზემოდან დამჩერებიან და უფრო მეტად აბნელებენ ისედაც შავით მოსილ „სასაფლაოს“. ახლა უკვე მგონია, რომ დედამიწა უკაცრიელი ადგილია, სადაც მხოლოდ მე და მარტოობა დავაბიჯებთ. მისი ცივი ხელები ჩემს ხელს ჩაუბლაუჭებია. არ უნდა, რომ სადმე გამიშვას. ჩემი ცხოვრება წყვდიადს დაამსგავსა. აღარსად ისმის ჩიტების გალობა, მდინარის ხმაური, ზღვის ტალღების ნაპირთან სკდომის ხმა და აღარც მზის სხივები ჩანს სადმე. ყოველ წამს, მარტოობის ცივი მარწუხები მესობა სხეულში და სულს მიყინავს.

ცრემლები, ისევე ეს მარილიანი წყალი მისველებს სახეს. ჰო, ეს წყალია, ოღონდ მხოლოდ სხვისთვის. ჩემთვის კი ეს დარდი და ნაღველია, რომელიც ჯებირებს ანგრევს და ქუთუთოებზე ღვარად ჩამოედინება, თითქოს მდინარე იყოს და საკუთარ კალაპოტს ეძებდეს. ვხვდები, რომ ეს გრძნობები ჩემში რაღაც გასაოცარს იწვევს. გულზე დადებული ლოდი სუნთქვას მიკრავს. ვყვირი, შველას ვითხოვ, მაგრამ არავინ მისმენს.

* * *

თამარაშენის ჭადრების ქვეშ ვარ და ცის ნაპირებს კვლავ ჩაუყვები. ზეცას ავხედავ, გამახსენდები, თვალებს დავხუჭავ, მომელანდები. შენზე ვუამბობ ძველისძველ ქუჩას, მე შეგადარე შენ ცისკრის ვარსკვლავს, დილით ყველაზე ბოლოს რომ ქრება. მე შეგადარე შენ დილის ნიავს, ყვავილებს თავს რომ ეაღერებოდა. მივდივარ ბნელ და ვიწრო ბილიკზე, ფოთლების შრიალს ვაყოლებ ნაბიჯს, ისევე ავხედავ ცაზე ვარსკვლავებს და წარმოვიდგენ ჩემს წინ შენს სახეს... ამ დროს ფიქრებში შენ სურნელსაც ვგრძნობ, ანკარა წყაროს ვუმღერი ტკბილად. და ამ გრძნობაზე ვიამბობ ჩუმად, გეტყვი, სამშობლო, აქ მყავხარ, გულთან.



მე ძლიერ მიყვარს

მე რომ შემეძლოს, დავწერო ლექსი,
სიყვარულის რომ შემეძლოს ხატვა,
ბინას ვპოვებდი შენს მყინვარ მთებში
და დავირქმევდი მერე მთის მხატვარს.

შემეძლოს, გითხრა, რა მიყვარს შენში,
გეტყვოდი, მიყვარს ილია, ვაჟა,
მე ის კალამი მიყვარს, შენს გულზე
„ვეფხისტყაოსანს“ რომ წერდა წამლად.

მე ფიროსმანის ის ფუნჯი მიყვარს,
შოთა რუსთველის პორტრეტს რომ ხატავს,
ჩემი სვანეთის ქვის კოშკი მიყვარს,
მისი თეთნულდი, უშა და შხარა.

მე იმერეთის კლდეები მიყვარს,
შეუდრეკელად წლები რომ დგანან,
შენი ყოველი წერტილი მიყვარს,
შენივე ნაკლი არ მიყვარს განა?!

ბევრი წერილი მოგწერო მინდა,
რომ სიყვარულით აგივსო კალთა.
თბილი სიტყვებით მოგხიბლო მინდა,
ყური დამიგდე და ესეც კმარა.

და მაინც როგორ ძლიერად მიყვარს,
შენი მინდორი მიწას რომ ქარგავს.
მე სხვა ქვეყნებიც ძალიან მიყვარს,
საქართველოს რომ არც ერთი არ ჰგავს.

* * *

ფიქრები მიპყრობს, თავს ვეღარ ვშველი.
გული აღარ ცემს, დატოვა ბნელი.
სული წამართვეს, დატოვეს გვამი,
აღარც გრძნობები შემომრჩა ძველი.
ადამიანურს აღარ ჰგავს ფერი,
აღარც თვალები ბრწყინავენ ცქერით,
ტუჩებმა უკვე დაკარგეს ფერი
და მხოლოდ სხივი შემომრჩა ძველი.
სხივი იმედის, რომელიც ქრება,
ნაპერწკალს ელის, კვლავ ააღდება.
ცრემლები გაქრნენ, აღარ სველდება...
მშრალი ტირილი აღარ მინდება.
იმედს ეყრდნობა ბოლო ჩასუნთქვა,
უიმედობით სული მიკვდება.

* * *

ბედნიერება მხოლოდ ერთშია,
ის, ვისთვის სულსაც არ დაინანებ,
ბედნიერება მხოლოდ ერთია
და შენს მოწილედ სხვასაც ინატრებ...
ემოციებით სავსე თვალები,
აღწერს ყველაფერს, ვით მინა სივრცეს...
გაგიფერადებს ყველა მოვლენას,
ისტორიებით გულსაც აგივსებს.

ნახი ჰახინაშვილი



ის კი ერთია...

ლექსი ბევრია.
ის კი ერთია,
ჩვენთვის ღმერთია.
სხვისთვის ეშხია,
ნეტავ მესხია?
აზრი ამისთვის –
ვითომ ერთია,
მაგრამ თვითონ კი –
ერთადერთია!

* * *

ჩემი ოცნებები –
ნისლებში ჩაკარგული,
ჩვენი გულისცემა –
წვიმისგან დანაშული,
გრძნობამორეული ვხედავ
ღრმა ბილიკებს,
ფიქრობ, ვიძირები,
ის კი არც მიტირებს.
გრძნობა გაიღვიძებს,
სულში აენთება,
გულზე გადაიტანს,
რაც კი არ ეთქმება,
მთვარეს მზეს მიუძღვნის,
გზასაც გაუკვალავს,
რომეოსაც მისცემს
ჯულიეტას ლამპარს,
შუქი ჩაბნელება,
მზე კი მთვარეს კარგავს,
ნატვრა ებინდება,
გალაკტიონს მარხავს.
სუნთქვა უხშირდება,
მას რომ ვეღარ ნახავს.
ერთხელ დაიყვირებს:
შენ ხომ მე გიყვარვარ!

* * *

ღროა, შევეშვა
ტყუილ ილუზიას,
აქ ყველამ იცის,
რა არის სიმარტოვე.
ღროა, გავუგრძელო
ჰანგებს მელოდია,
თორემ ფიქრის ზღვაში
ისევ მიმატოვეს...

* * *

ფიქრმა ტალღები
ზღვისკენ წააღებდა,
ღრომ და ადგილმა
გრძნობები დანერგა,
სიტყვა გულისთვის
წვიმად აქცია.
მისი წვეთები,
ზღვად გადააქცია.
გააყოლებდა ამ
წვიმის წვეთებს
ვიღაც უცნობი
ლამაზ მონათხრობს,
თან გადაუფენს
წამების მუზას
მის დასაჭერად
ღროც ვეღარ ბრუნავს.
ყველაფერი ხომ
ღროს ეფუძნება,
ღროს მაინც ყველას
წამში გაგვთელავს,
წამები მხოლოდ
გულში დარჩება,
ბოლო ფიქრების ფეთქვით
დათვრება.

* * *

ცხოვრების ქარაგმებს
ვეღარ გავცილდი,
ვეღარ დავბეჭდე
ღროების გავლენა,
ვეღარც აღვწერე
რითმის დარღვევა
და ისევ უფსკრულის
სიღრმეში აღმოვჩნდი.
მგონია ტკივილი
ადვილი საზღვარი,
ფიქრები გაგირბის
სიტყვების კვალდაკვალ,
მიდიხარ, მიჰყვები
ანდაზთა ქარაგმას
და ჭკუა უგრძნობი
უკანა გზას გითხრის.

პალესტინა, პალესტინა...

პირველად რუსთაველის ნაკვალევზე

ამა წლის 3 ივნისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ქართული კინემატოგრაფიის ოქროს ფონდის ერთ-ერთ ღვაწლმოსილ წარმომადგენელს, ცნობილ კინოოპერატორსა და არაჩვეულებრივ პიროვნებას – გივი მელქაძეს. სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ბატონ გივის, მხნეობასა და დღევრძელობას ვუსურვებთ!

„ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი ავტორის დაბადებიდან 800 წლის საიუბილეოდ ქართველი კინოდოკუმენტალისტები იღებენ ორ პოპულარულ ფილმს: „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი“ (1967წ.) და „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1968).

მუშაობა გადამღებმა ჯგუფმა დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში, ძველ დედაქალაქ მცხეთაში. გადაღებულია: იყალთოს, ვარძიის, გრემის ისტორიული ძეგლები.

შემდეგ მაყურებელი ეცნობა თბილისის და ბოლოს, პალესტინის ჯვარის მონასტერს. აქ, გადმოცემით, რუსთაველმა გაატარა უკანასკნელი წლები.

გადამღები ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: რეჟისორი გურამ პატარაია, ოპერატორი გივი მელქაძე, სცენარის ავტორი ილია რურუა. მათ 40 დღე გაატარეს მოგზაურობაში. ფილმის ავტორებმა საინტერესო ჩანახატები გააკეთეს ჯვარის მონასტერში, ასევე, ძველი ქართული ძეგლის – საბას ცნობილ ლავრაში, რომელიც მდებარეობს მკვდარი ზღვის სანაპიროზე.

კინემატოგრაფისტებმა მონახულეს ბერძნული პატრიარქის ბიბლიოთეკა, სადაც გადაიღეს რამდენიმე უნიკალური ხელნაწერი, ხოლო სომხურ საპატრიარქოში აღმოაჩინეს დღემდე უცნობი ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებაში.

ექსკლუზიური მასალა გივი მელქაძის ჩანაწერებიდან:

„დადგა 1966 წელი. იუბილესთან დაკავშირებით გეგმას რომ ვადგენდით, ჩვენს კოლექტივში დაიბადა აზრი – შეგვექმნა სრულმეტრაჟიანი ფერადი კინოფილმი გენიალურ პოეტზე. ეს აზრი ბევრს გადამეტებულ სითამამედ მოეჩვენა. სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმის შექმნის პრეცედენტი საქ. ტელევიზიას არ ჰქონია, მით უმეტეს, შეზღუდულმატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობათა პირობებში. მიუხედავად ამისა, ტელევიზიის კომიტეტის ხელმძღვანელობამ ბ. ნ. კარლო გარდაფხადის მეთაურობით მხარი დაუჭირა წინადადებას. იმ დღიდან იწყება გურამ პატარაიას და ილია რურუას ერთობლივი მუშაობა სცენარზე.

გურამი განლდათ საოცრად დაჯილდოებული ორგანიზაციული ნიჭით. მან თავისი ინიციატივით ჯერ შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თანხმობა და სახსრები გამოძებნა კინოფირის შესაძენად, რადგან, მაშინ, საქართველოს ტელევიზია მხოლოდ შავ-თეთრ კინოფირებს ფლობდა, შემდეგ კი, საქმე ისე წაიყვანა, რომ საკავშირო ტელევიზიის კომიტეტმა თვალსაჩინო დახმარება გაგვიწვია ისრაელის სახელმწიფოში გასამგზავრებლად. არ დაგავიწყდეთ, ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირი და მთელი არაბული სამყარო ამ სახელმწიფოს მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი.

ბუნებრივია, მოგვიხდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, მასალის შესწავლა, თითქმის მთელი საქართველოს შემოვლა. მუშაობის პროცესში დიდ დახმარებს გვიწვედა ფილმის მთავარი კონსულტანტი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე; ასევე, მეცნიერები: აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, ილია აბულაძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი, გივი მიქაძე.

ბატონ აკაკი შანიძესთან ქართული ანბანის სამივე სახეობის – ასოთმთავრულის, ნუსხურის, მხედრულის გრაფიკულ გამოსახულებათა შესწავლას 3 თვე მოვანდომეთ. ჩვენს ექსპედიციას დიდი წვლილი მიუძღვის ჯვარის ეკლესიის რეკლამაში.

პირველად ისრაელის მოსახლეობამ თელ-ავივის კინოქრონიკის გადამღები ჯგუფის საშუალებით შეიტყო, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ქართული ეკლესიაა და იგი ერთ-ერთი უძველესთაგანია ქართველთა მიერ ამენებულთა შორის.

ჯვარის მონასტერს ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ბევრი დამთვალიერებელი მოადგა, მათ შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის მაშინდელი ელჩი დიმიტრი ჩუვანინი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე სიმონოვი, საყოველთაოდ ცნობილი თბილისელი პიანისტი დიმიტრი ბაშკიროვი.



ჯვარის მონასტრის სამრეკლო

ისრაელში ჩვენი ყოფნის დროს ქართულად მოლაპარაკე ოთხმოციოდე ქართველს შევხვდით, მათ შორის, არონ ბაღდადიშვილს, ისრაელ რიჟინაშვილს, ელენე ელიაშვილს. ერთ ებრაულ ოჯახში მიგვიწვიეს სტუმრად. დიასახლისი თბილისელი სომხის ქალი აღმოჩნდა. მანაც და ღრმად მოხუცებულმა დედამისმაც სიხარულის ცრემლები ღვარეს ჩვენს დანახვაზე — თბილისის უნახავად ღმერთი ნუ მოგვკლავსო. დედა-შვილმა ჩვენებური სუფრა დაგვახვედრა. ამ ოჯახში გავიცანით სომეხთა პატრიარქი პალესტინაში — ელიშე. გაიგო რა, რომ იორდანის მხარეზე გადასვლას ვაპირებდით, წინასწარ მოგვიწვია სომეხთა საპატრიარქოში და ყოველგვარი დახმარების გაწევას შეგვპირდა.

კინოფირზე აღებეჭდეთ სოფელი მალხა, რომელიც ქართველებით ვახტანგ გორგასალს დაუსახლებია. მალხას სტრატეგიული ადგილი ეკავა. ყველას, ვინც იერუსალიმსა და ბეთლემში მოხვედრას მოისურვებდა, აქ უნდა გაევიდა, რომელთაც ევალებოდათ ჯვარის მონასტრის დაცვა წმინდა მიწების მოსახილველად.

ეს ამბავი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, რადგან იმ ადგილის მკვიდრნი თავიანთ თავს „გურჯებს“ უწოდებდნენ. 1948-1949 წლების სისხლიანი ამბების დღეებში მალხელები აყრილან და შეერთებიან იორდანის მხარეს გადასულ ლტოლვილთა ნაკადს. ასე გაქრნენ სხვა მოდგმაში, სხვა მიწაზე ჩვენი თანამემამულენი. დღეს სოფელი მალხა აღარ არსებობს! ისრაელის სახელმწიფო ყოფილი მალხის ტერიტორიაზე უდიდესი ტექნოლოგიური პარკი გააშენა; იქვე, იმ ტერიტორიაზეა აშენებული იერუსალიმის ცენტრალური სტადიონი.


* * *

პალესტინაში საშინელი სიცხე იდგა. ჰაერი გავარვარებული ქვიშით იყო გაჟღენთილი. ჩვენი იქ ჩასვლა „ხამსინს“ დაემთხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნეგევის უდაბნოდან სიცხე მიდის ცენტრალური ქალაქების უდაბნოების მიმართულებით. ლავრის გადაღების დროს, ჯერ იყო ბატონ ბორის ურონოვს წასკდა ცხვირიდან სისხლი, მერე ყველანი ცუდად გავხდით. მე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მდიოდა ცხვირიდან სისხლი, ხელებიც მეწვოდა, კინოაპარატთან შეხების გამო. ბატონი გურამი სველი ტილოთი დამსდევდა. სახეს მიწმენდა, რათა როგორმე მოგვესწრო საბაწმინდის ადგილმდებარეობის გადაღება. ბოლოს, გადაღებას რომ მოვრჩით, ბატონი გურამი ისე ცუდად გახდა, რომ საავადმყოფოში მივიყვანეთ. ასეთი ეპიზოდები, სირთულეები, ხშირი იყო ექსპედიციების დროს, მაგრამ ეს შორიდან არ ჩანს და ბევრს ვერც წარმოუდგენია, ეს ფილმები რა რთული გადასაღებია.

პალესტინაში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური ბაქოელი, რუსი ეროვნების არქიმანდრიტი იყო. ფრიად გაკვირვებული დარჩა ჩვენი მონაყოლით, თუ რამდენი მონასტერი ჰქონდათ ქართველებს იმ ტერიტორიაზე წარსულში.

სუფრასთან საუბრის დროს გერმანელმა შესაძლოდ მიიჩნია გამოსყიდვის მიზნით ჯვარის მონასტერი ერთი ხელიდან მეორეში გადავიდესო, დღესდღეისობით საბერძნეთის ეკლესიას ცუდი მდგომარეობა აქვს. იქნებ შეძლოთ, საქართველოს და საბჭოთა კავშირის მთავრობის დახმარებით, ეს საქმე გამოვიდესო. ბატონი გურამი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო!

ჩვენც, რა თქმა უნდა, მისი მოსაზრება ძალიან მოგვეწონა. თბილისში რომ ჩამოვედით, ბატონი



ვივი მელქაძე სოფელ მალხას ტერიტორიაზე, 1966 წ.



მარცხნიდან – ილია რურუა, ბორის ურონოვი, იერუსალიმის სომეხთა პატრიარქი ელიშე, ბიბლიოთეკის გამგე, გურამ პატარაია, გივი მელქაძე

გურამი მოელაპარაკა ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონებს: ირაკლი აბაშიძეს, აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელს. ირაკლი აბაშიძემ შეგვახვედრა ვასილ მჟავანაძეს. შედგა ჩვენება. მასალას რეჟისორი თვითონ ახმოვანებდა. არასოდეს დამავიწყდება ის წუთები, ყველანი ცრემლმორეულები ვიყავით.

ბოლოს, ბატონმა გურამმა დაარღვია სიჩუმე და მოჰყვა ჯვარის მონასტრის გამოსყიდვის შესახებ ვერსიაზე. მჟავანაძე სათითაოდ გადაგვეხვია და დაგვიპირდა, ამ საქმეს აუცილებლად გადავწყვეტთ საკავშირო მასშტაბის დონეზეო, თან, დააყოლა, ჯერ-ჯერობით ამ საკითხს ნუ გავახმოვანებთ, ბერძნების მხრიდან უარყოფითი აზრი არ დაფიქსირდესო.

როგორც ხშირად ხდება ჩვენს ქვეყანაში, მაშინაც მოხდა პოლიტიკური ძვრები, ვასილ მჟავანაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო აკადემიურ წრეებში წავიდა კინკლაობა იმის თაობაზე, ვინ გაეგზავნათ პალესტინის რუსული სასულიერო

მისიის წარმომადგენლობაში. სამწუხაროდ, ამ და სხვა მიზეზით, გურამ პატარაიას ეს ინიციატივა განუხორციელებელი დარჩა.

* * *

სალამოს, თელ-ავივიდან რომ ვბრუნდებოდით, შემოლამებამ ჯვარის მონასტერთან მოგვისწრო. ჩამავალი მზის სხივებში იერუსალიმის ცის ფონზე დიდებულად იკვეთებოდა მანასტრის ქონგურები. როცა ეზოში შემოვედით, საქართველოს პატრიარქის მიერ გამოტანებული სანთლები ავანთეთ. სანთლის მოციმციმე ფონზე ბატონ გურამის ხმა მოისმა: – „აი, ჩვენი ღმერთიო“ და შოთა რუსთაველის ფრესკას ეამბორა. ჩვენ იგივე გავიმეორეთ. იაკიმმა გულში ჩაგვიკრა, მასაც მოსდგომიდა თვალზე ცრემლი.

ჩვენს თავს ზემოთ ჯვარის მონასტრის ზარი გუგუნებდა.

მომზადა თამარ მიქაძემ

შენიშვნა: აკაკი შანიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ვსარგებლობთ ფორმით – ჯვარის (და არა ჯვრის) მონასტერი.

ჩრდილში ვარ...

ჩრდილში ვარ, სულაც არ ვდარდობ,
ჩემთვის არ მზეობს ტიალი.
წვიმის წრიაპით გადავვლე
უკუღმართ სოფლის ტრიალი.
საწუთროს მსხვერპლად ვწირავდი,
ლექსის ნასუქალ ჭედლებს,
სამას ხმაღს მზეზე ვლესავდი,
არაგვში გამოჭედილებს.
ნურცვინ პოეტად მიმიღებს,
ლექსებსაც ნურვინ მამიძღვნის.
შენი ჭირიმე, სიკვდილო,
როგორ სარქალსვით მამიძღვი.
მთებზე შაირად ნაწრთობი
მთიებს სატევრად ავიცლი,
ჯანი გაგვარდეს სიმდიდრევე,
თუ ჩემთვის აღარ მაიცლი.
სულ მახსოვს ვისი გორის ვარ,
ფიცვერვხლი თერგთან ჩავთალე,
მამულო, რქებსანთლიანი,
შენსავ ზვარაკად ჩამთვალე.
ლექსო გროშით ნუ ფასდები,
ჩრდილში ვარ, ჩემთვის არ მზეობს,
ლომისის ლომა ხარი ვარ, –
უფალსვით ვიტევე სამზეოს.

შაირო

ნუ ამიჯანყდი, შაირო!
ნუ გამიღერე მახვილი,
რაი ვქნა? ვერვის ვასმინე,
ჩემი საწუხარ ძახილი.
დიდთა ვერ შავწვდი, ხელ მიყვავ –
„წვრილთა ნადირთა ხოცვასა“,
ტიალი წუთისოფელი –
წყევლით მიყელავს ლოცვასა!
რაი ვქნა? ვერცა გავექეცე,
ტოტია მგლების ხროვასა,
მეც ბებრის ხბოსვით ვერიე,
სოფლის ნახირის გროვასა.
ნუ ამიყეფდი, შაირო,
ნულარ მაგინებ დედასა,
ეგება ცრემლით შასთელა –
ნაბდად რო მახვევ სევდასა.
ნუ მეშარები, შაირო,
თუ ვერ დავყარე ფარ-ხმალი,
ეგება ზეცად ვიგემათ,
აქ რო ვერ ვპოვეთ მართალი!

მანანა ბაჩაძე



რანი ვართ?!

რანი ვართ... ველარ ვცნობილობ,
ადამის მოღვმით – ასეა,
ვითომ ერთურთთან ვძმობილობთ
ყანა კი ღვარძლით სავსეა.
რანი ვართ, ვერ გამიგია,
კვიცი ველარ ხტის გვარზედა
ლხინში ერთურთი გვიქია –
ჭირში ვუღვებით განზედა.
სამარეს ვუთხრით ერთმანეთს
თეთრი კბილების ჩენითა,
რჯულიც ჩინებზე გავცვალეთ-
მამულსაც ვყიდით ლხენითა.
ქართულ მიწაზე ფეხდგმული, –
ხარხარებს გადამთიელი,
ცხოგა ფესვ-ძირით გადგმული,
მთას ველარ ჰგუობს მთიელი.
გამრავლდნენ ტოტია მგლები...
ვის ესმის ერის ტკივილი,
წინაპართ სისხლით ნაწური –
ქართული მიწის ყივილი.
თუნდა ჩამქოლეთ წიხლითა
მოყვარის პირში მძრახველი,
მგ ზავრი ვერ ვპოვე ფიქრითაც –
ლეღთ ღუნიაის მნახველი...
ჩვენ თავი ვისად „ვიყუდნათ“ –
რანი ვართ... ღვარძლი სამკალში?!
ღმერთო, იფქლივით გამრიე –
მართალ ქართველთა ამქარში!



პოეზია

ისევ გაწვიმდა...

ისევ გაწვიმდა და
 ისევ ჭკობისფრად
 იწველება ზეცა,
 მთელი ცხოვრებაა,
 დაჭერობანას რომ
 მათამაშებს სევდა,
 ისევ სახარებად ვფურცლავ წუთისოფელს
 – ანარეკლით მზეთა,
 ისევ გაწვიმდა და
 ნისლებშეხსნილ მათათა
 სწორფერობას ვბედავ.
 ისევ გაწვიმდა და
 ქვამარილად მლოკავს
 ძარღვდახსნილი თერგი
 მთელი ცხოვრებაა –
 დაჭერობანას რომ
 მათამაშებს დარდი,
 მთელი ცხოვრებაა –
 საჩქალივით მიძღვის
 სიყვარული – შლეგი –
 ისევ მენატრები,
 ისევ ბავშვისთვალა
 ენბელებს რომ გადრი...
 ისევ გაწვიმდა და
 დაიბერტყა ზეცამ
 გვირილების ჭორფლი,
 შენგან გზააბნეულს
 ერთგულ მწვევარით
 მარტობა მღევედა, –
 ისევ გაწვიმდა და
 ქვამარილად ვლოკე
 ცრემლი წუთისოფლის,
 ისევ გინატრე და
 სულში ნაბადივით
 ჩავიკეცე სევდა...

ნაწვიმარზე ცისარტყელა დაიხატა,
 პარკში გოგო ბიჭის კოცნით გაითანგა,
 ალუბლებზე წვიმის წვეთი დაიფანტა,
 მონატრება სადღაც ჩუმაღ დაილანდა...
 დარბაზში კი იღვრებოდა პოეზია,
 ვიოლინოს ჰანგებს კვნესა დასცდენიათ,
 ხელში თრთოდა სტრიქონები ბოლო ლექსის,
 კაბა მუხლებს სიყვარულით ასცდენია.
 ჩადგა ქარი, გადაიღებს წვიმაც მალე,
 ოცნებებით შემოგიღებ ისევ კარებს,
 გაგახსენებ პოეზიის შეშლილ ღამეს,
 ახალ ლექსებს მოვუყვები სულელ მთვარეს.
 ნაწვიმარზე ცისარტყელა დაიხატა,
 ალუბლებზე წვიმის წვეთი დაიფანტა,
 გულს მიკლავდა ვიოლინოს ჰანგები,
 ისევ თქვენში ლექსად დავიფანტები...

წითელ ჩოხაში

იასამნისფრად თენდება დილა
 და გამარცხული მრჩება აზრები,
 როგორ მინავლდა წარსულთან ერთად,
 მოფერებისთვის სულ რომ დაგდევი...
 არა – ვერ ვიტყვით, რომ რაღაც ჩაქრა,
 ისევ ვიწვით და ისევ ვანათებთ,
 ერთმანეთს ალბათ შევხვდებით ბალთან,
 ყვაკვილებისგან საწოლს ვამზადებ.
 მოდი და ერთად ყოფნა დამპირდი,
 ღმერთმა თუ შენი ნახვა მაღირსა,
 იასამნების ბაღში დაგითქვი,
 დრო ჩვენი ბოლო პაემანისა...
 წუხელ მესიზმრე წითელ ჩოხაში,
 თეთრი მასრები როგორ გიხდება,
 ჭეშმარიტება არის ბოდვაში,
 მაგრამ რად გინდა, თუ არ გჭირდება!..

შენ დაგიფარავს ჩემი თვალები,
როცა მიღიხარ ხშირად სახლიდან,
მე უშენობით განაწამები,
ათვლას დავიწყებ ისევ თავიდან.
შენ დაგიფარავს ჩემი ხელები,
როცა დადგები მაღლა, მწვერვალზე,
მე ისევ შენით განათენები,
დაგხვდები გულის გაჩერებამდე.
შენ დაგიფარავს ჩემი ლექსები,
ყველა ტაეპი სავსეა დარდით,
არაფერია – შორს თუ წახვედი,
ყველაფერია – შენში თუ დავრჩი.
თვალდანუჭული მივეყვები ბილიკს
და შენს ნაკვალევს ხელით ვეხები,
დიდი ხანია უშენოდ მიჭირს,
მარტო სიზმრებში რატომ მეხები.
გაქცევას ახლა აზრი აქვს უფრო,
რადგან ფიქრებშიც ცოდვით ვეცემი,
ვხედავ გამწირე, უბრალოდ, უღვთოდ
და უპატრონოდ დამრჩა ლექსები...

მაცოცხლებს, როცა შენს თვალებს ვხედავ,
მაბედნიერებს შენი ხმის ტემბრი,
სიჩუმეს ვარღვევ, სათქმელსაც ვბედავ,
მომენატრე და ამიტომ ვკვდები.
როცა მიღიმი, სულ სხვა გაქვს მზერა,
რა დამავიწყებს იმ კოცნის გემოს,
შენი ნატიფი თითების მჯერა,
ახლაც მაჟრჟოლებს ფიქრებში, ჩემო.
ამ ქვეყნად ბევრი დაგვრჩა სავალი,
იმ ქვეყანაშიც არსად ჩამოგრჩე,
მე ხომ არ მითქვამს შენთვის მთავარი,
მთებში მწვერვალზე უნდა გამოგყვე.
თოვლში გავშალოთ თეთრი ლოგინი
და მზის სხივები გვეფაროს საბნად,
გული გაჩერდა ამდენ ლოდინში,
მითხარი ჩემო, საშველი რა გვაქვს?!
იქნებ არც ფიქრობ საერთოდ მოსვლას,
ალარ გაღელვებს წვიმა და ქარი,
რომ ყველაფერი ეს არის ბოღვა,
ამ გაზაფხულზე შეშლილი ქალის...

შენ სიყვარული გერგო პოეტის...

მე მოვალ შენთან...

შენ სიყვარული გერგო პოეტის,
რთულია მისი გაგება თითქოს,
ამას არ უნდა მიეთ-მოეთი,
პოეტი ქალი ღმერთია თვითონ...
შენ სიყვარული გერგო რჩეულის,
ცამდე აჰყავხარ და იქ გწვავს თითქოს,
მასაც არ უნდა მიეთ-მოეთი,
პოეტი ქალი ცეცხლია თვითონ...
შენ სიყვარული გერგო ნანატრი,
ქალი, რომელიც დროს ფიქრით გითბობს,
უკანასკნელი სიძლერა გედის,
კვდება და მაინც სიცოცხლეს გითმობს...
გასავლელია გზა უფრო რთული,
სუფთა გულით და სავსე ვნებებით,
გაშლილი თმების სიმხურვალეში,
მოდის და გრძნობებს ნუ დანებდები...
შენი გზა კიდევ უფრო რთულია,
თუ ჩუმად გიყვარს, მზესთან ხარ ახლოს,
მისი ლექსები სიხარულია,
თუ შეეხები, ვერასდროს დათმობ...
და როცა წასვლის ჩამოჰკრავს ხარი,
დადგება ჟამი განშორებისა,
პოეტი ქალის დაგრჩება ვალი,
უკანასკნელი ყვავილობისა...

მე მოვალ შენთან
და ეს მოსვლა იქნება ბოლო,
მოგიტან კრებულს,
იასამნის სურნელით სავსეს,
ოღონდ შემპირდი,
უპატრონებ, როგორც ბავშვს ობოლს
და ჩემ მაგივრად
ჩაიხუტებ ზამთრის ცივ ღამეს.
მე მოვალ ისევ
შენს ფიქრებში, შენს ოცნებებში,
გულის დაწყვეტილი
გაიხსენებ უჩემო დღეებს,
როგორ გათბობდი
ხან სიტყვებით, ხან მოფერებით,
უარყოფილი
მაინც შენკენ ვიწვდიდი ხელებს.
ზაფხულის ღამეს
ამ შეხვედრას დავარქვით ბოლო
და თეთრ პერანგზე
დაგითვალო მინდა დღეები,
მოკლე კაბასაც
დავავრძელებ, შენ მთხოვე ოღონდ
და ეს შეხვედრა
ფიქრში მაინც იყოს პირველი...

ეკონა ქობულაძე – სახელმწიფო



„ახალგაზრდობა, აწ კი თქვენ...“

(მეშვიდედ გამართული
რეკავ ინანიშვილის სახელობის
„ერთი მოთხრობის“
კონკურსის კვალდაკვალ)

„...ახალგაზრდობა –
ქედი ხარის და სიმხნე ხარის!
იმედი ხვალის და პირველი სიმდიდრე ერის!...
ახალგაზრდობა ვერ აღავსებს იმედით ვისაც,
დალუპულია – იმისი საქმე!...“

მ. ლებანიძე

სულ რაღაც მეჩვიდმეტე წელია, რაც ჩვენს პლანეტაზე XXI საუკუნემ შემოაბიჯა... თუმცა, კაცობრიობა ისევ ისე, ერთმანეთზე თავდასხმებით, ტერიტორიების მიტაცებებითა და ომებით ცხოვრობს; – ლტოლვილთა დაუსრულებელი ნაკადებითა და სასტიკი, დაუნდობელი ტერორისტული აქტებით, რომელთაც ბოლო არ უჩანს... ამ გაწამაწიაში, კუს ნაბიჯით მივიწვევთ წინ, უფრო და ერთ ადგილს ვტკეპნით; წლებია, ვერა და ვერ გადავსხედით ქალაქის ნაგებობიდან – დიდ ხომალდებში... ჯერჯერობით ვერავინ და ვერაფერი გვშველის, რადგან მარტო სურვილით წინ ვერ წავედით... სიტყვა „დემოკრატია“ მხოლოდ ყური შევაჩვიეთ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისგან ვერანაირი სიკეთე ვერ მივიღეთ, გარდა ცინიკური გამოთქმისა: „მდიდრებისთვის არის „პარტოკრატია“, ღარიბებისთვის – „დემოკრატია“... ხანდახან მეონია, რომ ეს ის სიტყვაა, რომელიც მხოლოდ საჭიროებისამებრ უნდა გამოიყენო, ანუ, რაღაცნაირად, სიტყვის მასალად იქცა...

სტატიაში „ახსურდის თეატრი“ ბ-ნი თემურ ქორიძე ბევრი ადამიანის სათქმელს გამოხატავს: „...ნიკოფსიდიდან დარუბანდამდე“ გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფემ ღრმა სინანული ჩაიტანა საფლავში... მართალია, „დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელი არ მოუწერია, მაგრამ დიდგორის გამარჯვების შემდეგ ერთი წუთი მაინც დარჩებოდა მოსაგონებლად. დღეს ქართულ პოლიტიკურ თეატრში ყველანი ერთმანეთს მხოლოდ სიცრუესა და თაღლითობაში ეჯიბრებიან, თუმცა არც ესაა გასაკვირი, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს „პოლიტიკოსი“ და „თაღლითი“ სინონიმურ ცნებებად მიაჩნდა. საზოგადოება დეპრესირებულია და აპათითაა შეპყრობილი. ის თავს მოტყუებულად გრძნობს. ამას დაუმატეთ უკიდურესი გაჭირვება, პერსპექტივის სრული დაშრეტა, ხელმოცარულობის სინდრომი და ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ღრმა და გამანადგურებელია ჩვენში მძვინვარე კრიზისის მასშტაბები... ჩვენი ხალხი მხოლოდ დამარცხების, იმედგაცრუებებისა და ოცნებების მსხვერვის ატმოსფეროში აგრძელებს არსებობას...

ქართველი კაცი ვერ ხარობს საქართველოს დამოუკიდებლობით, სამშობლო მისთვის ტვირთად და სასჯელად იქცა! ის განდა უბრალო ნივთი, საგანი, რომლითაც უსირცხვილოდ მანიპულირებენ „მოხერხებული ადამიანები“, ანუ „პოლიტიკოსები“, შეუძლებელია ასეთი რამ დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ უარესიც გამოგვივლია, მაგრამ გადავრჩენილვართ და ფეხზე წამოვმდგარვართ. ეს დროც მალე დადგება, რადგან, როგორც წესი, „ყოველთვის ყველას მოტყუება შეუძლებელია“. მართლაც, რომ ვინაა მართალი, ვინ მტყუანი ან ვინაა დასასჯელი... აი კითხვები, რომლებსაც გავურბით კიდევ, თუმცა ისინი პასუხებს ითხოვენ...

სწორედ ამ სიმართლეებისთვის მომიხდა თვალის გასწორება, როდესაც ახალგაზრდა ავტორის **ბექა ბალაშვილის ნოველა „ხახვები და ნივრები“** წავიკითხე. სათაურმა არ შეგაცდინოთ; არამც და არამც, არ დაკარგოთ მისი წაკითხვის ინტერესი, რადგან თავისთავად, მართლაც, ხახვები და ნივრები არაფერს გვეუბნება; ისიც ვიცი – მოხრაკული ხახვის, ნივრის მწნილის, იტალიური „ხახვის წვნიანის“... ასოციაცია რომ გაგიჩნდებოთ; არაფერი მსგავსი. ამ ძალზე ორიგინალური სათაურის მიღმა ისეთი ამბები ვითარდება და მოიხარება, რომ მხოლოდ გაკვირვებულ-გახარებული დარჩებით ბექას იუმორით შეზავებული, მართალი, უკომპრომისო დამოკიდებულებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ. „ყოველი კულტურული პერიოდი ქმნის თავის ტექსტს, რომელსაც აქვს წარმოშობის შინა და გარე მიზეზები. შინა მიზეზი არის სწრაფვა გეშმარიტების გამოხატვისკენ, გარე მიზეზი –

ეროვნულ-საზოგადოებრივი ფუნქცია“... – წერს მ. ივანიძე, ამ ფრაზაში ნამდვილად არის ჭეშმარიტების მარცვალნი.

ნოველის მთავარი პერსონაჟი, ნიკოლასი, შინაგანად თავისუფალია; სწორედ ამიტომ, რომ პროტესტს უცხადებს იმ მოცემულობას, რომელშიც ხვდება და რა კარგია, რომ სამსახურში ყოფნისას შემორჩენილ დროს, იგი სწორედაც წიგნების კითხვას ანდომებს; წაკითხულს ხშირად უბრუნდება და ბედნიერია იმ მომენტამდე, ვიდრე მას, ასე ვთქვათ, „დაასტუკებენ“; ირონიანარევი ტონით ყვება ახალ სამსახურში მუშაობის დაწყების „ამბავს“: „ახალი ოფისი, ახალი თანამშრომლები, ახალი დაბრკოლებები... უცვლელია დაუქმყოფილებლობა, დაჩაგრულობის შეგრძნება... გამოყენებულობის შეგრძნება, თუმცა, ახალი მაინც საინტერესოა... სიახლის ჟინი და ვნება, შეცნობის პირველი ეტაპი გავიწყებს და თვალს გახუჭინებს მორიგ უსამართლობებზე, რაღაც პერიოდით, ჩუმად ხარ, მერე ისევ ინტრიგანად შეგრაცხავენ და მერე ისევ უნდა დაიწყო ამბოხი!“

ავტორი მკითხველს შესავალშივე ამზადებს, რომ ამბოხი გარდაუვალია, რადგან აქაც, ისევე როგორც ძველ სამსახურში, ნიკოლასი მორიგ უსამართლობებს გადაეყარა. მწერალი სამუშაო გარემოს დაწვრილებით აღწერს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომ განვითარებული მოვლენების სწორად აღსაქმელად: „ახალ ოფისში დიდი სამუშაო დარბაზია... ჩვენი სამუშაო მაგიდები ერთმანეთისგან შავი „კარდონისმაგვარი“ ჯებირითაა გამოყოფილი ისე, რომ მეზობელს ვერ ხედავ, ვერც წინ, ვერც გვერდით, მაგრამ იცი, რომ იქ ვილაც არის, იქ ვილაც მუშაობს; ან შენაირად მუშაობს ან გითვალთვალებს, ან „შპიონობს“ უფროსთან“...

ახალ ოფისში ნიკოლასი ყველაფერს ადვილად უღებს ალღოს. დაკისრებულ საქმეებს სწრაფად ასრულებს, მერე ცოტა გაბრუებული დერეფანში დაბორილობს, ხვდება მასავით მობორიალე თანამშრომლებს; შექმნილი ვითარების ანალიზისას, საინტერესო დასკვნამდე მიდის – აი, რატომ იღებენ ამერიკელები ფილმებს ზომბებზე! რუტინისაგან დადებილებული თანამშრომლები დერეფანში მკვლელი სახეებით დადიან; უსიცოცხლო, უშინაარსო თვალებით მიმოდინ... მათ თავში ერთი აზრი უტრიალებთ, როგორმე თვის ბოლომდე, ხელფასის მიღებამდე გაუძლონ... – მკითხველო, შეიძლება ასეთი უსულგულო დამოკიდებულებით რაიმე ღირებულის შექმნა?!

მთავარი პერსონაჟი თავად სთხოვს მკითხველს – გაითვალისწინოს, რომ იგი ახალგაზრდა და სხარტია, დაკისრებულ მოვალეობებს თუ სხვები ხუთ საათში აკეთებენ, იგი – ნახევარ საათს ანდომებს. კიდევ ეს უბიძგებს იქითკენ, რომ მოიფიქროს ისეთი რამ,

რაც მის ცხოვრებისეულ იდეას და მის პიროვნულ არსს გამოხატავდა, რაც ინტრიგულიც იქნებოდა და გამოძვევიც, რაც ბეწვის ხიდზე გაატარებდა, გაახალისებდა, გააცოცხლებდა, გაახალბედა; რაც რაიმე გზით, იქაურობას დაავიწყებდა; ზომბებს და ზომბომანებს დააშორებდა. ასეთი რამე, ჩვენდა სასიხარულოდ და გასაკვირადაც (წლებია, რაც მომდევნო თაობებს ერთხმად ვუკვირებთ, წიგნები წაიკითხეთ!), წიგნი აღმოჩნდება. – „გადავშალე წიგნი და თანამშრომელმა ჩაიარა, ოო, შემაძინია, ჰკონია, უსაქმური ვარ, ოო, დაეჭვდა, არ ესამოვნა... საეჭვოდ დაჯდა თავის მაგიდა-ბუტკასთან. ოო, ჩემო წიგნო, შეგვაძინიეს, ასე თავისუფლად ლივლივით ვეღარ შევძლებთ ურთიერთობას, ხანდახან უნდა დავიმალოთ, ხანდახან უნდა შევიყუჟოთ, რომ ძალიან, ძალიან თვალში საცემი არ გავხდეთ“.

ნიკოლასს, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს, თავდაცვის ინსტინქტი თან სდევს და თავს თავადვე იმშვიდებს: – „მე ხომ სიგარეტს არ ვეწევი, თქვენ – ყველა ეწევით და ყოველ ნახევარ საათში გაღიხართ სიგარეტის მოსაწევად, მე არ ვეწევი, მაშ არ მაქვს უფლება, რომ მოწვევის მაგივრად, რაც მსიამოვნებს, ის ვაკეთო? ჩემთვის მოწვევა, წიგნის კითხვაა“. კიდევ უფრო უკეთესი ვერსიები მოსდის: – „... რომ არ გამოვდებილდე და არ გამოვშტერდე... წიგნსა ვკითხულობ ხოლმე დღეში ერთ-ორ ფურცელს... არა, არ ივარგებს... რადგან დღეში ერთ წიგნს ვამთავრებ და მეორე დღეს უკვე ახალი წიგნი მომაქვს... არა, სხვა რამ უნდა მოვახერხო“; და, საოცრად თამამ აზრებს გვიზიარებს, – „საჯარო სამსახურში რუტინულად მხოლოდ საქმეს ვაკეთებთ, ჩემი ეს წიგნის კითხვა კი პირიქით, დიდი მიღწევაა, უმეტეცებთ საზოგადოებას და სამყაროს, რომ საჯარო სამსახურში შესაძლებელია წიგნის კითხვაც, მამასადამე აზროვნება, მამასადამე ფიქრი. და მერე ვინ გითხრა, რომ საჯარო სამსახურში ისეთი კადრები გვჭირდება, ვინც ფიქრობს ან აზროვნებს?!“ გულდაწყვეტილი ნიკოლასი ასკვნის: „ – მთავარია, რობოტივით კოპი-პეისტი, კოპი-პეისტი...“

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესოა მწერლებისა და წიგნების ის ჩამონათვალი, რომელსაც ნიკოლასი სამსახურში კითხულობდა, რათა უკეთ დაეინახოთ მთავარი პერსონაჟის თვალსაწიერი, ინტელექტი... და ამით თვალი მივადევნოთ მისი თანატოლების, თუნდაც წიგნიერი ნაწილის, ლიტერატურულ გემოვნებასა და ინტერესების სფეროს: აკაკი, დავით კლდიაშვილი, პაოლო, ნიკოლოზ მიწიშვილი, სელენჯერი, ფოლკნერი, სტაინბეკი, ჰაქსლი, ორუელი, ჰესე, კამიუ, პრუსტი, დოსტოვესკი, თომას მანი, როენ გარზი... სელენჯერი – „ფონი და ზუი“, ფონკინოსი – „დელიკატურობა“, იზაბელ ებრარდი – „მოგ ზაურობა მალრიბში“, გილბერტ ადერი – „მოც-

ნებენი“ „დანიელ პენაკი – „რომანივით საკითხავი“... „მარადი ქმარი“, „არც ევა, არც ადამი“, „თეთრი ძაღლი“, „ლანსაროტი“, „ლუჟინის დაცვა“ და სხვა. ამ შთაბეჭედავ ჩამონათვალში ძალზე უფერულად გამოიყურება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა... რატომ? საინტერესო არ არის, თუ?! მთავარია, კითხვას არ გადავეჩვიოთ!..

ცალკე საუბრის საგანია, თუ როგორი აზარტით კითხულობს იგი წიგნებს; როგორ უჭირს საქმის გამო ან თანამშრომლის, უფროსის რიგებს შორის გავლისას, თუნდაც დროებით მათთან განშორება; როგორი სიყვარულით, სითბოთი ესაუბრება ლიტერატურულ პერსონაჟებს, როგორ „უგებთ მათ“ და რაღაც პროცენტით, მისი ამბოხიც სწორედაც წიგნებიდან მიღებული ცოდნიდანაც მოდის, – წიგნიერი, განათლებული ადამიანი ხშირ შემთხვევაში, ხომ ძნელად ეგუება მონურ მორჩილებას?!..

როგორც თავად ავტორი სქოლიოში მიუთითებს: – „ამ ნოველაში ქართული სახელების კომიკურ ვარიაციებს წარმოვადგენ, ასე რომ, ყველა ქართულ სახელს სახეცვლილს შეხვდებით.“ ასეცაა, აი ისინიც: გიგლა, ზარაბი, ნენო, პუპუნა, თუა, სუფო, თიონა, ნაღო, რუტი. სახელების სახეცვლილება ნოველას თავისებურ ხიბლს მატებს, კარგად ჯდება ხსენებული ოფისის თანამედროვე ქართულ ინტერიერში“...

ნიკოლასისთვის „წიგნების ამბავი“ სახიფათოდ მას შემდეგ გადაიქცევა, როდესაც დედისგან გაიგებს, რომ მის დირექტორს თანამშრომელი მხოლოდ იმიტომ გაუშვია, რომ მისთვის ჟურნალის კითხვისას წაუსწრია... მას კი ნამდვილად არ უნდა უსამსახუროდ დარჩენა, საკუთარი ფულის გარეშე ყოფნა; – „...მე დაწინაურება მინდა, სათანადო ხელფასი და დაფასება, მაგრამ წიგნებზე უარს არ ვიტყვი...“ და იგი ასკვნის, შეგვიძახებს, რომ მისთვის წიგნები პირადი ომია ოფისთან, იქაურობასთან, კომპიუტერთან...

შესანიშნავი პასაჟია, როდესაც წიგნის კითხვისას უფროსი თავს დაადგება: „– მე ყურთსასმენებს ვიხსნი. უხერხული წამი. /– რას შვრები? – /რავი, ვკითხულობ. /– რას კითხულობ? ხელს ადებს ჩემს წიგნს... „არც ევა, არც ადამი“ და მეუბნება: – რამდენი ხანია, წიგნი არ წამიკითხავს“. ნიკოლასი კმყოფილია, ბედნიერიც! – „ვიცოდი, ასეც ვიცოდი! ეს ახალი უფროსი საოცარი კაცია! აბა, რომელი სამსახურის უფროსისგან გაიგებდით ასეთ შენიშვნას?“ – არა მარტო „შენიშვნას“, არამედ აღიარებას! იქვე კითხულობს: – „რამდენი გაქვს დაწერილი? / უკვე საქმეს კითხულობს... /– ყველა დავასრულე. /– ჰო, კარგია... და მცილდება. / ჩემი პირველი ბრძოლა წარმატებით დასრულდა. ჩვენ გავიმარჯვეთ. მე და ჩემმა წიგნმა საწაღელს მივალწიეთ... /მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ ჩემ გამო თავს არ გაიფუჭებს, და ისიც ვიგრძენი, რომ უხარია ასეთი ახალგაზრდა,

წიგნის მკითხველი თანამშრომელი რომ ჰყავს!“

ნოველის კითხვას ვაგრძელებ და ვფიქრობ, ავტორმა თითქმის ყველაფერი თქვა, ნუთუ კიდევ დარჩა სათქმელი?! მაგრამ, თურმე ჯერ სად ხარ... წინ კიდევ უფრო მძაფრი, კულმინაციური, მწარე-ღიმილიანი სიძარბოვანი გვატყდება თავს. ისე ბუნებრივად, უშუალოდ შემოდის ე.წ. „სტაჟიორების“ თემა, რომელიც თავისი სარკაზმით ნაწარმოებს ლამის გვირგვინად ადგას; აქ ჩანს ბექას ოსტატობა: „– სტაჟიორების დანახვაზე ჯერ ხომ ჩემი სტაჟირება გამახსენდა, ამეწვა კუჭ-მუცელი... მერე თითოეულზე დავიწყე ძებნა-ძიება, რამდენად გამძლე იქნებოდნენ სისტემისთვის... რა თქმა უნდა, სტაჟიორებს ადვილად გავუგე და მათაც თავისიანად აღმიქვეს...“

მკითხველისთვის, რომელიც ნაკლებადაა ჩახედული დღევანდელი „საოფისე“ სამსახურების შიდა სამზარეულოში, მთელი თავისი სისავსით „წარმოგვიდგება“ უფროსობის მთავარი, თითქმის უკვე დადგენილი ნორმა: „– მე მგონი, ესენი არ აპირებენ ჩვენს აყვანას. / – მგონი, კი არა, არ აპირებენ, ჩემმა მეგობარმა თქვა, ასე იცი, რამდენჯერ მიუღიათ? ხუთი-ექვსი თვე ამუშავეს და მერე პანდური. / – შანსი არაა, ახლა ასე უხელფასოდ გვაშუშავენ და მერე გაგვიშვებენ? / – მონები ვართ, იმენა, ხახვი მაინც მოგვცენ – ერთ-ერთი ცდილობს იხუმროს... / – დიდ თუასთან რომ მივიდეთ? – კაი რა, რა უნდა ქნა, კაი რაა...“ ნიკოლასს შინაგანი, უკვე ფსიქოლოგიურად შემზადებული ხმა წამოაცდენინებს: „– ხო, მაგრამ მაინც შეიძლება სისტემის შიგნიდან შეფუცხუნება“. ფაქტობრივად, ამ მომენტიდან იგი ხელს უწყობს ბუნტის აგორებას – სტაჟიორების უფროსობის წინააღმდეგ ამხედრებას... ნიკოლასი ვერ ისვენებს და მათ დამოდერას აგრძელებს; ამავდროულად საკუთარ თავსაც შეუძახებს: – „ნიკოლას, შეჩერდი, ნუ მოწამლავ ამ ბავშვებს!“ თუმცა, უკან დახევა უკვე დაგვიანებულია და რიხით აგრძელებს: „– თქვენ შეგიძლიათ მათ რეპუტაციას დაარტყათ... ისეთი იდეები გააჟღეროთ, რომ სახეები გახდებით... რაც სახელმწიფო პოლიტიკაა, რაზეც დიდი თუა ხშირად საუბრობს... რაზეც ტელევიზიები დაირაზმებია“. სუფოს შეკითხვა ლოგიკურია: – „და ეს როგორ უნდა ვქნათ?“ აშკარაა, რომ მას უსისხლოდ და ძალადობის გარეშე სურს სამსახურში მიღება; რუტის თითქოსდა ხუმრობით დასმული სიმართლენარევი კითხვაც „– იმედია, ტერორიზმისკენ არ გვიბიძგებ?!“ – ნიკოლასს იმდენად მოეწონება ეს ბიჭი, რომ მის დაჯილდოებაზეც ფიქრობს – „ისეთებს ჩაიდენს!“

ნოველის წერას ატანილი მთავარი პერსონაჟი სტაჟიორებს უკვე მორიგ, კარგად დაგეგმილ ჩანაფიქრს სთავაზობს: „–სანამ სტაჟირებიდან გაგიშვებენ და

პანლურს ამოგკრავენ... ორი დიდი დინამიკი უნდა იშოვოთ, საკონსულტაციო სახელში შემოიბანოთ, დაცვის ბიჭებს შეგიძლიათ უთხრათ, რომ საქმეს სჭირდება და რომ აქ მუშაობთ, დებილები არიან, ადვილად შემოგატანინებენ... მოწვეული უნდა გყავდეთ ტელევიზიები, სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ყველა, ყველა უნდა დარაზმობთ... უნდა შეატყობინოთ, რომ ჩვენი სამსახურის დიდ საკონსულტაციო მისაღებში იგეგმება დიდი ბრიფინგი, აჯანყებული და ამბოხებული სტაჟიორების ექსპრომტი! და რომ ერთ-ორ საათში აქ უნდა გაჩნდნენ!“ საზოგადოების წინაშე წასაკითხ ტექსტს გაორგი იწერს, ნიკოლასი კარნახობს, ტექსტიც მისი სახელით იწყება: „– ნიკოლასის სახელით! /ყურადღება მოქალაქეებო, ყურადღება ქალბატონებო და ბატონებო! მოგმართავთ სტაჟიორები! პირველ რიგში თქვენ, დილო თუა, შემდეგ... პრეზიდენტს, მივმართავთ სრულიად სამყაროს, ტელევიზიებს!...

გავრცელდა ხმა რომ ყველას გაშვებას გვიპირებენ! წარმოგიდგენიათ? ჩვენ აქ ნთვე ვიმუშავებთ ხახვისა და ნივრის გარეშე! ჩვენ აქ ვიყავით და ვუძლებდით უემურ და თვითმარქვია უფროსებს, ხახვისა და ნივრის გარეშე! /დაგვეხმარეთ მოქალაქეებო! დაგვეხმარეთ, ტელევიზიებო! ჩვენ მოვითხოვთ, საკანონმდებლო ცვლილებას, ყველა უფასო სტაჟირება უპირობო დასაქმების გარანტიად! /ხახვისა და ნივრის გარეშე ეგვიპტელი მონებიც კი არ მუშაობდნენ!.. ხახვითა და ნივრით, ნიკოლასის სახელით! /– არზა დაიწერა, ყველაფერი წყალივით წავიდა, კარგად აეწყო. ამდენი იდეა საიდან, რომელ ფილმში ვნახე?... ყველაფერს დეკორაცია სჭირდება, რათა სამუდამოდ დარჩეთ ისტორიაში...“ ბოლო დარიგება: „– ჰო, ნივრები და ხახვები უნდა გეკიდოთ კისერზე, ხელში კი თქვენი დიპლომები დაიჭირეთ, თქვენი უსარგებლო საუნივერსიტეტო დიპლომები, ოდესმე ხომ უნდა გამოგადგეთ რამეში!“

მოკლენები სწრაფად და საინტერესოდ ვითარდება და რაღაც თავისთავად, ბუნებრივად მოდის ამბოხის დღეც, რომელსაც მწერალი ორიოდვე სიტყვით გვიმხელს და რომელშიც კარგად ჩანს ბექას პოეტური ბუნება (აკი, თავადაც წერს ლექსებს); „– ასე მივადექი ამ დღეს, დღევანდელ დღეს ნაცრისფერს, ოქტომბრის წვიმით მოთენთილს, მდინარის პირას ამერიკული ოცნებასავით, ნიუ-იორკითა და და-მმით. სელენჯერის „ფრენი და ზუის“ უკვე ვასრულებ... ზუის ვეთანხმები, რომ ღმერთი აქაა, დედის მომზადებულ კერძში, აი იქ იმ წვნიანში ტივტივებს და უნდა გაგყვე ზუის“.

კომპიუტერ-ბუტკასთან თავს დაადგებიან პუპუნა და დიდი თუა, სელენჯერი ხელიდან უვარდება... პუპუნა დიდ თუას ეუბნება: „– ამას მერე მივხე-

დავ“, ის პატარა წუწვი ქალი კი უხმოდ დგას და სახე არ ეცვლება, არც ილიმის, არც ბრაზობს, არც სევდიანობს, არც უხარია: – „დამანახეთ დილო თუა, ქალღმერთო თუა, მაჩვენეთ თქვენი რეაქცია, მითხარით რამე“. – ფიქრობს ნიკოლასი და უსიცოცხლოდ ადგილზე ჩაეცემა, – წიგნების გამო მისი საქმე წასულია, სამსახურს დაკარგავს, წიგნიდან ზუი უდიდის, თანამრომლები მოსასამძიმრებლად შემოქუჩულან, ნიკოლასი ხელს სტაცებს სელენჯერს, რათა პუპუნას აუხსნას თუ როგორი მაგარი წიგნია „ფრენი და ზუი“, იმასაც კი ფიქრობს, რომ წიგნიდან ციტატებიც წაუკითხოს და უთხრას, რომ – „ღმერთი ცოცხლდება, იესო ბრუნდება აქ ოფისში, ბრუნდება ამ წიგნის საშუალებით, სახარებაა! იქნებ რელიგიაზე აპელირებამ გაჭრას, უფროსებს ხომ ასეთი უცნაური თვისება აქვთ, ღმერთის ბრძალ სწამთ, საკრალურად, ისე როგორც პირველყოფილებში! შეიძლება იმისიც სწამთ, რომ ღმერთის ხელი ურევია ახალ ბიუჯეტში“...

შემინებული ნიკოლასის ბედის ბორბალი 90 გრადუსით ტრიალდება; დიდ თუასთან შესული შეიტყობს, რომ – „წიგნის კითხვის გამო კი არ გათავისუფლებთ, არამედ გაწინაურებთ! თქვენ იქნებით სტაჟიორების მთავარი ზედამხედველი... მათი უფროსი!“ როგორი შეულამაზებლად ადამიანურია მისი წარმოსახვები: – „ეგგავარ, არა ამას დგომა არ ჰქვია, მიწიდან ოდნავ მაღლა ავიწიე, სელენჯერი ისევე ხელში მიჭირავს, ჩემი სიამაყე და ჩემი დროც დადგა, მაწინაურებენ, უფროსი გავხდები! შვიდწლიანი შრომა დამიფასდა, თვით დიდმა თუამ შემამჩნია! ახლა ყველაფერი შეიცვლება! კარგი ხელფასი! კარგი მანქანა! სახლსაც ვიყიდი! ჩემს ცხოვრებას ავიწყობ! მე უფროსი ვხდები!“ მაგრამ, საკონსულტაციო სივრციდან ამოსული ხმაური არღვევს მის ვარდისფერ ოცნებებს; თუასთან, პუპუნასთან ერთად, მესამე სართულის ვეზირიდან, მშვენივრად ხედავენ, თუ როგორ ყრია ხახვები და ნივრები მოქალაქეთა მისაღებ უზარმაზარ დარბაზში. ტელევიზიები შემოვარდნენ, კამერებიც აჩახჩახდა; ავანსცენაზე ასული გაორგი ნიკოლასის ტექსტს კითხულობს... „თითოეული ჩვენგანი მუშაობდა დაუღალავად და იმსახურებს სამსახურში აყვანას“... სტაჟიორები დიპლომებს აფრიალებენ, მოქალაქეები ტაშს უკრავენ, კამერები ყველაფერს იღებენ, სხვადასხვა რაკურსით, გაჯგომილი უფლებადამცველები სეირით ხარობენ, გულანთებული სტაჟიორები ყვირიან: – „ნიკოლასის სახელით! ნიკოლასის სახელით! /კისერზე ჩამოკიდებულ ნივრისა და ხახვის აცმებს მოისხნიან და ჰაერში ისვრიან, დიპლომებსაც... დომხალია...“

დიდმა თუამ უკვე გასცა განკარგულება: „– ბატონო ნიკოლას, თქვენი პირველი დავალებაც უფროსის რანგში! მოავგარეთ ეს ამბოხი!“ ნიკოლასს, რომელსაც ხელში ისევე სელენჯერი

უჭირავს ყველაფერს წიგნებს აბრალებს, მაგრამ თან სიამოვნებს, რომ სწორედაც მან მოაწყო ეს „ლამაზი ამბოხი“, რომელსაც ახლა უკვე დალაგება-დაწყნარება ესაჭიროებოდა, მოქმედების დრო დამდგარიყო. გაორებული კითხულობს: „ – ახლა რა უნდა ვქნა? ხომ არ აჯობებს, შევუერთდე და ჩემივე გეგმას ჩავუდგე სათავეში? როგორ, მე ხომ ახლა მათი უფროსი ვარ, სიტუაცია უნდა დავაწყნარო, ყველაფერი უნდა მოვაგვარო! კი, მაგრამ მათ ვუღალატო? თუ თავს უნდა ვუღალატო, ამდენწლიანი მუშაობით უფროსობა მოვიპოვე, ახლა რა ჯანდაბა უნდა ვქნა? ვინ ვარ? როგორი ვარ? მეამბოხე, თუ სისტემის შვილი? / „ილ კონფორმიზმი“ თუ „მეოცნებენი“ / – ოი, ბერტოლუჩი! / – ოი, შე იტალიელი გარეწარო! / – ოი, გვანარია! / ოი, გვანარია!“

ღიას, ასეთი გახლავთ ნოველის ფინალი. ნიკოლასი კვლავაც გაორებული რჩება, რაც მთავარია – დამნაშავე ყოველთვის ვილაც სხვაა; თუმცა, კარგია რომ იგი თავს ებრძვის და ცდილობს, დაადგინოს მეამბოხე თუ სისტემის შვილი; ვფიქრობ, ორივეა, უბრალოდ ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ მოულოდნელი გადაწყვეტილებით მიღებული „უფროსის ადგილი“ გაითავისოს და შეასრულოს კიდევ. მისი ინტელექტი, თავისუფლებისადმი ლტოლვა, სამსახურებრივი გამოცდილება (სტაჟიორიც იყო, მასწავლებლადაც მუშაობდა, შვიდი წელი კი ხსენებულ ოფისში) იმის საწინდარია, რომ იგი უკეთესი უფროსი იქნება, ვიდრე პუპუნა ან დიდი თუა. ესაა დღევანდელი ახალგაზრდების, გარკვეული ნაწილის, ძალზე ნაცნობი, უკვე ჩვეული გარემო, რომელზედაც ავტორი იუმორნარევი სიმართლით გვიყვება, რათა ბევრ რამეზე დაგვაფიქროს, უპირველესად კი იმაზე, რომ – ადამიანი ღირსების გარეშე ცოდა; პროტესტის გარეშე ხშირ შემთხვევაში, ძალზე ბევრს კარგავს... ყოველივე კი საზოგადოების, ქვეყნის წინსვლას საგრძნობლად ამუხრუჭებს; ნაწარმოებში ავტორისა და მისი თანატოლების დღევანდელი ყოფაა გადმოცემული, – ისინი წვალებით ნამოენი სამსახურის შიდა განაწესის მკაცრ მოთხოვნებს ემორჩილებიან, რადგან ღია და ფარული საფრთხეები ემუქრებათ, უფროსები ღიად ან ფარულად ეუბნებიან, რომ განაწესის დარღვევის შემთხვევაში სამსახურიდან გაუშვებენ.. და რომ უნდა გაითავისონ მაგიური ფრაზა – შეუცვლელი არავინაა! ამის ცოცხალი მაგალითებია „ფრესკოსა“ და „ბიბლუსში“ განვითარებული მოვლენები... ვფიქრობ, ნოველამ ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი.

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსზე, რომელიც წელს უკვე მეშვიდედ გაიმართა, 81 საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა. პირველი სამი პრემია ასე განაწილდა:

I პრემია – ბექა ბალაშვილის – „ხახვები და ნივრები“; II პრემია – მაკა სეფაშვილის – „გზა,

რომელსაც მივყავართ“... III პრემია – გოჩა ღვინიაშვილის – „თეთრ დილას“ ერგო.

კონკურსის პრიზორები განდნენ: ლელა თოთაძე, ბაჩო კვიციანი, ნანა ქარდავა, ნორა ედიშერაშვილი, გივი ჩილენაძე, მარიამ ათაბაგი.

გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ნინო ჩხიკვიშვილი (ფილოლოგი, მკვლევარი), ჯუბა ლებელი (მწერალი, რეჟისორი), თამაზ ხმალაძე (მწერალი), როსტომ ჩხეიძე – კრიტიკოსი (თავმჯდომარე).

კონკურსში გამარჯვებული სამივე ავტორის ნაწარმოები – ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების სამ მთავარ სატკივარს ეხება, – დაკარგული ტერიტორიები, ნარკომანია; ახალგაზრდების დასაქმებას, წიგნიერებას, უმაღლესდამთავრებულების მომავალს. ისინი გულწრფელად, დაუფარავად, გულისტკივილით, ლიტერატურული ენით გვიყვებიან დღევანდელ ყოფაზე; სიუჟეტები პირდაპირ ცხოვრებიდან აქვთ აღებული; მართალია, ნაკლებია ოპტიმიზმი, ფანტაზია, სამაგიეროდ ჭარბობს შეულამაზებელი, რეალური, ზოგადადამიანური ფასეულობების წინ წამოწევა; მოყვასისადმი სიყვარულის, მიმტკეპლობის განცდა, ღირსებისაკენ შემობრუნება...

ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორმა **მერაბ კოკოჩაშვილმა** ჟურნალისტის კითხვას: „თქვენი აზრით, რა გვაკლია ახლა ყველაზე მეტად?“ ბნმა მერაბმა უპასუხა: „განცდები გვაკლია, ჩვენ ვმეგობრობთ კომპიუტერთან, სადაც ინფორმაცია ბევრია, მაგრამ არ არის განცდა.“

რაოდენ სასიხარულოა, რომ სამივე გამარჯვებულ ნაწარმოებს წითელ ზოლად განცდა გასდევს, რომელიც, პირველ ყოვლისა, უნდა შეიგრძნოს, შეუიარაღებელი თვალთ დაინახოს, სირაქლემის პოზა არ დაიჭირო მაშინ, როდესაც ყოფის სინამდვილე ასე თვალნათელია, როგორც შემოქმედმა გაიაზრო მისი უარყოფითი, ხშირად გამოუსწორებელი შედეგები; ყველაფერი, რასაც ავტორები ეხებიან სამწუხარო რეალობაა, აწმყოა – როგორც გაფრთხილება, მოწოდება მეტი სიფხიზლისაკენ – გულგრილი, წაყრუებული დამოკიდებულებების შესაბამისად დამკვიდრებული შედეგებისადმი...

„ჩვეულებრივ ადამიანებზე ვწერ, საერთოდ ადამიანი შეიძლება უფრო საცოდავი იყოს, ვიდრე ცუდი. კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ძალიან საზიზღარიც არის ხოლმე, მაგრამ საბოლოოდ უფრო საწყალი, მწერალი თანაუგრძნობს ადამიანს...“ (აკა მორჩილაძე) – ამ სიტყვების ზუსტი გამოხატულებაა **გოჩა ღვინიაშვილის მოთხრობის „თეთრი დილა“** – მთავარი პერსონაჟი, რომლის მიუღებელი, უარყოფითი საქციელის მიუხედავად – ავტორიც მის მხარეზეა და ცდილობს, მის მიმართ მკითხველიც სიმპათიით განაწილოს; არ შეიძლება, არ შეგეცოდოს და-ძმა, მთავარი გმირი, რომელიც

„ცდილობს“, დას უკანასკნელად ამოაცალოს ლარიანი... მხოლოდ ასი გრამი გადაჰკრას... და მერე ყველაფერი კარგად იქნება; რა თქმა უნდა, არც მას სჯერა, არც მკითხველს, თუმცა ავტორი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ამჯერად მისი გადაწყვეტილება ურყევია! იგი საოცრად თბილია დის მიმართ და თუ ვინმესთვის უნდა „გამოსწორება“, უპირველესად მისთვის, მაგრამ... „სახლში მირჩევნია. ჩუმად შევიპარები, მარიკა ვერ გაიგებს. დავწვები, იქნებ დამეძინოს კიდევ. მალე გათენდება, მარიკა ადგება და ყავას მომიღლებს. სანამ გაიღვიძებს, იქნებ ლარიანი მის საფულეში დავაბრუნო“... ავტორი ისეთ გარემოს უქმნის პერსონაჟს, რომ რჩება შთაბეჭდილება, რომ მან ცხოვრებიდან პირდაპირ მოთხრობაში შემოაბიჯა; მისდამი არანაირი ანტი არ გიჩნდება... ყველაფრის მიუხედავად, სურვილი გაქვს დაეხმარო, შეიფარო, ხელი გაუწოდო, ამოიყვანო იმ ჭაობიდან, რომელშიც ყელამდეა ჩაფლული; გრცხვენია დარეჯანისა და მისნაირების, რომლებიც ამ ბოლო დროს მომრავლდნენ ჩვენს ქალაქში. „გზის იქით დარეჯანას ჯიხურია, დღედაღამ ღიაა. ეს ქალი იქ ვაჭრობს, იქ სძინავს, იქ ჭამს და იქ სვამს. / მაგისი ქმარი ნოშრევანა მაგარი ჩაშვებული მასტია. არავის უყვარს... ერთი წლის წინ ერთი მოთხრობა დაუბეჭდეს და თავის თავს მწერალს ეძახის. ნოშრევანას თავქარიანობის გამო აღრინდელი ბინა გაუყვიათ, ორჯერ გაექცა დარეჯანას, მაგრამ ისევ დაუბრუნდა. ეს ჯიხური ახლა მათი სახლიც არის, მალაზიაც... დარეჯანი სასმელს არც ნისიად და არც ნაღვზე აძლევს, რადგან 36 ლარი აქვს ვალი.

„ეჰ, როგორ აბლატავდნენ ეს ბოზები, ამათი დრო დადგა. ჩათლახებისა და ბოზებისაა ყველაფერი. ვაი, საქართველოვ!“ მართლაც, რომ ვაი, საქართველოვ! ავარიში მოხვედრილი მთავარი პერსონაჟი, ქალის მოულოდნელ შეკითხვაზე – „რა გქვია?“ რამდენიმე წამით იბნევა: „– სახელის გახსენება რატომ უნდა“ მიჭირდეს? მგონი, ნიკოლოზი მქვია. კი, ნიკოლოზი მქვია. ნიკო თუ ნიკა? არა, ნიკოლოზი“. ტრაგიკულია ეს სცენა და მომდევნო პერიპეტეიებიც, რომელთა კულმინაცია ნიკას წაღიღინება: „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“... და გიყვარდება ნიკა, ეს წყალწაღებული, ხავსს მოჭიდებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავისი უნებისყოფობითა თუ სხვა (უფრო კი სოციალური) მიზეზების გამო დაინგრია ცხოვრება... მარიკა არ გათხოვდა იმიტომ, რომ მის სადარაჯოზე მდგარიყო, მისთვის მოეწლო...

გულისშემძვრელია მოთხრობის ფინალი: „– მარიკა?.. / მარიკა კარგა ხანია წავიდა და სულ მენატრება. / ნიკოლოზი? / ჩემი მოთხრობის გმირია. იმ მოთხრობისა, რომელიც დამიბეჭდეს. ვერა და ვერ მოვიშორე ეგ კაცი. / რა თბილი ხელები გაქვს დარეჯან!“ ამ დასასრულს მოთხრობიდან ერთ ამონარიდს დავამატებდი: „– ბოზების დრო დადგა. ესენი გრიმიტობენ, მაგრამ ბოლოს ვნახოთ, ვაგრიმი-

იტებ მე მაგას! გზის იქით გადავალ, ქვეს ავიღებ და მინებს ჩავუმსხვრევ, ჯიხურს სულ დავუღწევა, ჩათლახმა და პიდარასტმა არ უნდა გაიხაროს! მალე კაცების დრო დადგება! ჩვენი დრო დადგება! მერე ვნახოთ!.. / თავის ქალაზე შეგინდან თითქოს ჭიანჭველები დარბიან და ტვინზე მასკინტლებენ. ვერა ვარ კარგად... ყველაფერი აირია, უნდა დავწყნარდე, ყველაფერი უნდა დავალაგო“. გულუბრყვილოდ მჯერა, რომ თუ დამწყები ნარკომანები, ლოთები ამ მოთხრობას ყურადღებით წაიკითხავენ, იქნებ, ... იქნებ მოხდეს სასწაული და სასიკეთო დასკვნები გამოიტანონ – უპირველესად თავისთვის, მერე – გარშემო მყოფებისთვის; ძნელია, გალაკტიონის ლექსის მოლიღინე ბიჭების გაწირვა... „თეთრი დილა“ – გოჩა ღვინიაშვილის ხმამაღალი შეძახილია: – შეჩერდით, ვიდრე არ არის გვიან!

მაკა სეფაშვილის მოთხრობას „გზა, რომელსაც მივყავართ...“ როგორც თავად აღნიშნავს, საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს; ჩვენთვის დროებით დაკარგული აფხაზეთი, რომლისკენაც ხილულად თუ არხილულად ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ორმოცს გადაცილებული, მამა იაკობი მიიღტვის. ამ სურვილს ეკლესიაში მოტანილი და ნანახი „სქელი, პრიალაყდიანი წიგნი“ უმძაფრებს... მოულოდნელად ნანახი ხილვაც, გარკვეული ბიძგი აღმოჩნდება... პატრიარქის კურთხევით მიდის ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში, სადაც წლების წინ ნაადრევი მშობიარობის შედეგად დაბადებულია; სუსტი, უსუსური ჩვილი ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მოუნათლავთ; მას შემდეგ იქ აღარ ყოფილა. აფხაზეთში ჩასვლამდე მხოლოდ ხილვაზე ფიქრობდა, იქ ჩასული – განსაცდელზე: „რას გრძნობდა, ბრახს, სინანულს? – არა, უფრო ეჭვი ეპარებოდა, „იქნებ რაღაც ვერ გავიგე და არასწორად მოვიქეცი, მაგრამ მე ეს უნდა გავიარო, ან გადავგრეხი ან არა! ღმერთო, რატომ, რისთვის?..“ წამოჯდა, სახე ხელებში ჩარგო. / – უფალო, ვხვდები, რასაც გრძნობდი, როცა ჯვარზე გაკრული მარტო, ყველამ მიგატოვა. მაპატიე, რომ გედრები, მაგრამ რატომ მიმატოვე, რატომ? მითხარი, მანიშნე, რომ ჩემთან ხარ!“.. არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯდა ასე, რომ საკნის ფანჯრის კუთხეში პაწაწა გულწითელა ჩიტი დაინახა, მოეჩვენა, თითქოს უღიმოდა... – კი მაგრამ აქ როგორ შემოფრინდა? ფანჯარაზე ხომ ბადეა გაკრული, – და უცებ გაოგნებულმა შესძახა, – უფალო! ეს შენ ხარ!“

ავტორის შემოქმედებით შესაძლებლობებზე მიუთითებს რამდენიმე მთავარი და საინტერესო ეპიზოდი, რომლებიც მკითხველის მეხსიერებას აუცილებლად შემორჩება; მაგალითად: – სცენა ტბის პირას, დაურის სიზმარი, 19 იანვრის – ნათლისღების დღე „დღეს ყველა წყალი ნაკურთხია და სუფთაა!... ასეთი გემრიელი წყალი არასოდეს დაელია“, ვითომდა გარეცხილი ანაფორა, „ბავშვების ოთახში“

ფანჯრის რაფის ქვეშ დაგდებული თოჯინა და სხვა. სიმბოლოები და ქვეტექსტებიც ის ხერხია, რომლითაც ტექსტი რეალურ და, ამავდროულად, იდეალურ შრეებსაც იძენს; თუმცა, თხრობის დასასრულს მიწაზე გვიშვებს და ცდილობს ვირწმუნოთ, რომ: „... თავს ბედნიერად სულაც არ გრძნობდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი სიცოცხლისთვის ფული გადაიხადეს და მეორე აქ დარჩენა უნდოდა... ამ მიტოვებულ თოჯინასთან, ამ მიწაზე... მაგრამ როგორ ეტყოდა ქართველებს, რომლებსაც ბედნიერი და გაბრწყინებული თვალები ჰქონდათ, რომ მათი წვალება ამო იყო... /იაკობმა უკან, უკვე გაფუჭებულ და ალაგ-ალაგ ასფალტმოყრილ გზას გახედა, მწარე გრძნობებმა სული დაუსერა... ზევით მხეს ახედა და გულში საკუთარ თავს პირობა დაუდო: „მე აქ აუცილებლად დავბრუნდები, არ ვიცი როდის, ერთ მზიან ან თოვლიან დღეს, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები... „ვიცი, რომ კიდევ ვნახავ ამ ადგილებს! რადგან შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი...“ ღრმად სწამდა, რომ აქ უფრო საჭირო იყო ღვთის სიტყვა, როგორც პურის მარცვალი უნდა დაეთესა და გაეკვრელებინა“... ვფიქრობ, საკუთარ მიწაზე ტყვედაყვანილმა მამა იაკობმა, მიუხედავად ყველაფრისა, შეძლო საკუთარი მისიის შესრულება; კარგია, რომ უკმაყოფილოა საკუთარი თავის; კარგია, რომ უკან „გაშვებისას“, დედით ქართველი აფხაზი – ოთარი ადებს ხელებზე ბორკილებს, რადგან უკანმობრუნებული ბევრ რამეზე, აუცილებლად, სხვანაირად დაფიქრდება... მაკა სეფაშვილმა შეძლო მოთხრობის მთავარ, თუ მეორეხარისხოვან პერსონაჟებსა და მკითხველში, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, გაეღვიძებინა, გაეღვივებინა საკუთარი თავის, „მე“-სა და უფლის ძიება; ერთგულება საკუთარი მიწის, ხალხისა და რწმენისა... მას ეს ნამდვილად გამოუვიდა, რადგან მიუხედავად ყველაფრისა, მოთხრობის დასასრული იმედითაა სავსე.

ყოველ ახალ თაობას ძველები უკიჟინებენ – სწავლა, საქმის კეთება არ გინდათ, ძველს პატივს არ სცემთ, უსაქმურები ხართ და ა.შ. მიუხედავად უიმედო დამოკიდებულებისა, ყველა თაობაში იყვნენ „კარგები“ და „ცუდები“, თავმოსაწონებლები და შემარცხვენლები... და მოვდივართ ასე, ათადან და ბაბადან, – ადამიანური დამოკიდებულებები, ძირითადი ფასეულობები კი უცვლელი რჩება; ამის ნათელი დადასტურებაა, „ერთი მოთხრობის“, წლევეანდელი კონკურსის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ნაწერები. აქვე დავძენთ, შეგვხვდება ბანალურ სიტუაციებად ქცეული თემების „რეკონსტრუქცია“, – ნაკლებად ჩანს ავტორების ინდივიდუალიზმი, შერჩეული თემის სიღრმისეული ცოდნა, არ ხდება მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმების დაცვა... და ყოველივე ის, რის გარეშეც ნაწარმოების იდეა, სიუჟეტი და ფაბულა უბრალოდ ნაწერია, მეტი არაფერი; კარგია, როდესაც ავტორს პრეტენზია გააჩნია, თუმცა მან უნდა იცოდეს მარტივი ჭეშ-

მარიტება, რომ „მჯობნის მჯობი“ არ დაილევა. დიას, ყველა ლიტერატურული კონკურსის ძირითადი მიზანი – აღმოჩენა და შეფასებაა, რაც მთავარია, ხელს უწყობს ლიტერატურის განვითარებას.

მახსენდება მწერალ **ზურაბ სამადაშვილის** სიტყვები, რომელიც ლიტერატურული კონკურსის „გალას“ ჟიურის წევრი გახლდათ: „...ჟიურის კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკურსი ლატარიასავითაა – ბევრ რამესთან ერთად უნდა გაემართლოს კიდევ. ხშირად პირველ და მეორე ადგილზე გასულ ნაწარმოებებს შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, თავისთავად შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო“.

აქვე დავამატებდი ბ-ნ **ივანე ამირხანაშვილის** ნათქვამსაც: „...ჟიურის წევრობა, გარკვეული ანგარიშით კანონზომიერებაა, პრემიის მიღება-შემთხვევითობა, შემთხვევითობა, როგორც მეტად ადამიანური რამ, ჩემთვის მისაღებია, ვიდრე დიალექტური კანონზომიერება. ჟიურის წევრობა იოლი მართლა არ არის. / დამარცხებულები უფრო მეტ სიმპატიებს იწვევენ ჩემში, ვიდრე გამარჯვებულები. დაჩაგრულების მცველად არ ვვარგვივარ, მაგრამ ჩემთვის მაინც ვიმეორებ ხოლმე: „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა“.

ვიმედოვნებ, **რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი** კიდევ ბევრ საინტერესო ახალგაზრდა ავტორს გამოავლენს, რომლებიც უპირველესად საკუთარი წიგნის გამოცემაზე კი არ იზრუნებენ, არამედ დაოსტატებაზე, პროფესიონალიზმზე, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ღირსეულ დამკვიდრებაზე.

დაბოლოს: არ შეიძლება არ დავუხვევოთ **მიხეილ ჯავახიშვილს**: „... 27 წლისა იყო მოპასანი, როცა პირველად აიღო კალამი ხელში, 33-ისა, როცა მისი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა და 41-ისა, როცა უკანასკნელი სტრიქონი დასწერა. ექვს წელიწადს სწერდა და უკითხავდა იგი თავის ნაწერს თავის მასწავლებელს, „მადამ ბოვარის“ ავტორს, გულჩახვეულსა და უკმეხ განდევილს, საფრანგეთის უდიდეს სტილისტს ფლობერს, რომელიც გულის ფანცქალითა და დიდის იმედით კითხულობდა თავის „შეგირდის“ ნაწერებს, წაკითხვის შემდეგ არხეინად ხევდა და თანაც ნუგეშსა და დარიგებას აძლევდა: გულს ნუ გაიტეხავ, სწერე, იმუშავე, ისწავლე და როცა ღირსი იქნები, გეტყვი და დაბეჭდო.“

მოპასანიც სწერდა, გულს არ იტეხავდა და არც იმედს ჰკარგავდა, ვინაიდან ღრმად სწამდა თავისი ძალა – და სიტყვა თავის მასწავლებლისა. ფლობერი არ შესცდა და თავისი შეგირდი სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ მაშინ გამოუშვა, როცა წაკითხა მისი „ფუნჩულა“ – ფორმით სრული, სტილით უნაკლო და აზრით საუცხოო მოთხრობა, მას აქვთ მოპასანს ხელმძღვანელი აღარ დასჭირვებია“...

მთვარის სიზმარი

ვნებების ღამეს
 მხნე ქალწულები
 სხეულებზე იხატავენ
 ოქროსფერ ხალებს...
 ფეხის გულებით
 ეხებიან ანთებულ მთვარეს...
 და ნატიფ ტანებს
 უშიშვლებენ მნათობის ელვას...
 კვლავ შეუპყრია ვნებათა ღელვას
 მთვარის რაინდთა მთავარი დასის
 უკანასკნელი პერფორმანსი...



რეალისტური
 ფანტასმაგორიები – 11

მთვარე უხმობდა თავის რჩეულებს –
 ჩაძინებულ მთვარეულებს –
 ზეცაში წუხელ...
 და ამ დროს უცებ
 უცნაური,
 მეწვია, ხილვა...
 თვალწინ დამიდგა
 რაღაც ზღაპრული
 ფერთა პალიტრა...
 ო, ისე ცხადად
 დავინახე, რომ ორსულ ქალთა
 დაბერილ მუცლებს,
 როგორც ქათქათა
 ქალაქის ფურცლებს,
 გამოესახათ
 წითელი მელნით
 მოხაზული
 არაბესკები,
 დაშიფრული,
 გრძელი
 ტექსტებით...
 ო, ისე ცხადად
 შევიგრძენი
 მიწაზე ტერფის

ერთი
 შეხებით,
 რომ სუსხიანი იანვრის თვეში
 უნაზესი,
 იდგა, აპრილი...
 მე – დაჩოქილი... ხელეგაწვდილი...
 მოხრილი წელში...
 ვასმევდი
 ნაზად
 სათითაოდ თორმეტივე
 ფეხმძიმე
 ასულს
 დღისა და ღამის ჯადოსნურ ნაზავს,
 ნაგროვებს პეშვით,
 ზეციდან ნაჟურს,
 და თავისთავად
 იხსნებოდა ყოველი
 ტექსტი...
 კვლავ მიცოცხლებდა ჩემი თორმეტი
 წინა – ცხოვრების
 დავიწყებაში ჩაკირულ წარსულს...
 და მაშინ იშვა
 თორმეტი
 პირმშო,
 სუფთა და წმინდა...
 აფრქვევდნენ სითბოს...
 მათი ფილტვებით სუნთქავდა,
 თითქოს,
 მომავლისა და წარსულის ხიდად
 გადებული,
 უკვე რამდენჯონის აღზევებული
 ჩემი სხეული...

ნიმუში ფაიქიძე



* * *

*სადმე ესენინის მსგავსად
მოკვდე, გარეთ იყოს თოვა...*

ბექა ახალაია...

და მეც ვიმეორებ, რა ექნა..
მინდა თვითმკვლელობა შენთვის,
არ ვარ მომდურავი, არა
ჩემი განგების და ბედის...
ვცხოვრობ პოეტური მწუხრით,
დამდეგს შეგრძნებების წვიმა,
ჩემი ხასიათი ჯმუხნი,
დარჩა შენი სუნთქვის მიღმა,
ჰოდა, რუხ ფერებში რადგან,
შენ ხარ სასიკვდილო ქალი,
ჩემი ეშაფოტზე ასვლა,
ზურგში მონაბერი ქარი...
ბრალით, აკარგობით სავსე,
ვსუნთქავ ამბოხიან ჰაერს
და მეც ესენინის მსგავსად,
თოვლში დამიგებენ მახეს,
ვიღაც ნაბიჭვრების ხელით,
ჩემი ერთგულების ხარჯზე.
ნახეს მყვარებიხარ ძლიერ,
იცნეს გაგიჟება შენით,
ჰოდა, გამითხრიან საფლავს,
ლურჯი ყვავილებით ხელში...
და მეც ამ განწყობით მთვრალი,
ვუსმენ ტერენტის და გალას,
ვფიქრობ, რა გაუძლებს ნეტავ,
ასე უცენზუროდ წერას,

მინდა თვითმკვლელობის მწამდეს,
როგორც ესენინს და გალას,
ბედი შენს სიყვარულს მპარავს,
სადღაც მარტოობის ბაღში,
სხვისი მონატრების ქართან,
არ ხარ ერთად ყოფნის თვეში,
სხვა ხარ, დღეიდან და მარად,
ბედი შენს სიყვარულს მპარავს.
კეერავ შენთან ყოფნის წუთებს,
ვითხოვ არნახულს და უთქმელს..
არ ვარ მომდურავი, არა,
ჩემი განგების და ბედის...
ვცხოვრობ პოეტური სუნთქვით,
დამდეგს შეგრძნებების წვიმა,
სანამ ასე ძალით ვსუნთქავ,
სანამ დამახლიან ტყვიას,
სანამ გაწყალდება თოვლი,
სანამ დამიგებენ მახეს,
ვიღაც ნაბიჭვრების ხელით...
მოდის მარტოობის თვეში,
ერთხელ მომდიმარიც მნახე,
სანამ ეშაფოტზე ავალ,
სანამ სიკვდილს მივცემ სიტყვას,
სანამ ვინახულებ იქეთ,
გრანელს, ესენინს და გალას!!!

* * *

იყვირე პოეტო –
დღეს სული გაგიჟდა,
სიჩუმე ცოდვად და
სილაჩრედ დამიჯდა....

ამიხდა კომმარი,
ზმანება ეშმაკის,
გიხმობ და საშველად
ყვირილით გეძახი....

ქარი ქრის,
ქარი კრთის,
ქარი თრთის,
ცრემლი მდის,
ათას გზის,
ათას წლის....

რა მოგდის,
სადა ხარ,
დროა ცდის,
ათას გზის,
ათას წლის,
დროა ხსნის...

დღეს სული გაგიჟდა
ნერვზე ზის,
იყვირე პოეტო –
რა მოგდის....

შეხედე გუბებს ცოდვათა,
ღრიანცელს ეშმაკის ხროვათა....

ამიხდა კომმარი – ზმანება,
სიმშვიდე გადალლას დანება,
გაბოზდა ოხრობით მორალი,
თეთრია მრუშობით ყორანი...

სიმართლე მთვრალი და ყრუ არი,
სამყარო ვერ ხედავს – ბრმა არი,
სადა ხარ, გიხმობ და გეძახი,
უშენოდ საშველი არ არი...

გავხდი და გავწუწკდი ძალღივით,
მოვთქვამ და ვქვითინებ ქალივით,

ქარი ქრის,
ავად ძრწის,
ავად კრთის,
იყვირე პოეტო
რა მოგდის....

წაგება არ ვარგა
– ამ ომის,
დღეს სული გაგიჟდა
ნერვზე ზის...

გარეთ კი აცივდა უაზროდ,
ზოგჯერ წვიმს,
ზოგჯერ თრთის,
ზოგჯერ კრთის...

* * *

დრო იყო, ვკვებავდი ბელურას იმედით,
ტოტებზე ვუყრიდი იმედის ნამცეცებს,
გმირულად ვიზამთრეთ და მაინც მივედით,
ნაპირზე – რომლის წინ, სიმშვიდე გალელვებს...

ჩვენ უხმოდ გვტკიოდა სიცივე ბუნების,
წასვლა თუ დარჩენა – მოშხამვა გუნების,
ვისხედით ხის ტოტზე, ჩუმად და მოწყენით
და ძლიერ თოვაში, სასწაულს ველოდით...

ვმღეროდით უგულოდ, წრიპინა ბგერებით,
ერთმანეთს ვათობდით გაყინულ ხელებით,
გავიგეთ, რას გრძნობდა ქუჩაში სიცივე,
ბოლოს კი ორივემ, უცრემლოდ ვიტირეთ...

ვიფრინეთ დრო იყო, ვკენკავდით სიყვარულს,
ნისკარტზე კოცნებად ვკენწლავდით სიხარულს,
მერე კი ზამთარმა ცივად და უგულოდ,
გავგვინა ქუჩაში, დაგვტოვა უპუროდ....

ერთი ხის, ერთ ტოტზე, ვიპოვეთ ნუგეში,
დავსხედით ზურგებით, თითქოს და შემთხვევით,
თითქოს და რა იყო, რა მოხდა, მერე რა,
მოუნდა ბელურას, სიჩუმით ემღერა....

მართლაც და, მერე რა, შემთხვევით ხომ იყო,
გაფრინდა ბელურა, თოვა რომ არ იყო,
და ახლა ტოტებზე იმედის ნამცეცით,
ერთგვარი ღალატის კარავი დავეცი....

ნისკარტზე აკენწლილ უიღბლო სიყვარულს,
ზურგს უკან ვწყევლი და საქვეყნოდ ვუჩივლე,
მე მახსოვს, რას გრძნობდა ქუჩაში სიცივე,
მე მახსოვს, ოდესღაც ჩუმად რომ ვიტირე...

დრო იყო, ვკვებავდი ბელურას იმედით,
ერთი ხის ერთ ტოტზე ნაპოვნი ნუგეშით,
ვიზამთრეთ დრო იყო... და მართლა მერე რა,
ღალატით მოუნდა ბელურას ემღერა!



* * *

ისევ თეთრია დღეს ჩემი ფიქრი,
 გუშინ ოცნებებს ქართან მივყავდი...
 მე ვლოცულობდი შენს ხატის ირგვლივ,
 შენ კი ისევე სხვაგან იყავი...
 გულიდან ცხელი სისხლი მდიოდა,
 გული გაცრეცილ სევდის სტრიქონად...
 დრო გადიოდა, დრო გადიოდა
 და კვლავ ცხოვრება წარსულს მიჰქონდა...
 შორს იყო სადღაც აჩრდილი შენი,
 მე მივდიოდი, რეკდნენ ზარები...
 და იყო სადღაც მზისფერი წამი,
 წამი მომავლის ფერისცვალების...

მომავონდები

აღვის ხეზე შემოსხდებიან ჩემი ცოდვები...
 მომენატრები...

იანვრის ცივ დღეს შემეყვარდები...
 წუხელ თვალებში ჩამიდგა შუქი,
 დილაძღვე ქვარგე შენზე ოცნება...
 ეს ჩემი სული ტკივილზე მუქი
 მთვარეს უყვება ამ საოცრებას...
 თითქოს ცხოვრებამ დაკარგა აზრი,
 მაინც ვერ ვიშლი შენთან სიარულს...
 როცა ოცნებამ დაკარგა ფასი,
 ვიხსნი მე ნიღაბს ადამიანურს...
 სევდიან სარკეს ვლენწავ ხელებით,
 შიშით მევსება ყველა უჯრედი,
 შენს სურვილს ვყვები მე გახელებით
 და განთიადზე უმაღ ვმუნჯდები...
 იცი? იმ ღამეს ბედისწერამ გამაწნა სილა...
 შენი სახელის დამავიწყდა როცა ბგერები...
 დიდხანს ვბორავავდი ტკივილისგან
 სულგანაბული,
 მაგრამ მაინც იმედებით გულანთებული...

* * *

თითქოს დავარქვი ყველა საგანს
 შენი სახელი
 და ყოველ უჯრედს სიყვარულის
 სული ჩაბერე,
 შენით სულდგმულობს ალბათ ახლა
 ჩემი სხეული
 და ყოველ დილით ჩემს ხატებად
 შენ გასახელებ...
 როცა სიტყვები უკვე ვეღარ
 ჩავტყე გულში,
 მოვიდა ჟამი, ვალიარო დრო
 უძღურების...
 მინდა დავხატო მონატრება
 ფერთა წარსულში,
 მაგრამ გათავდა პალიტრაში
 თურმე ფერები...

დროს შევადარე ნივთები წყვილად,
 დროს დავაბრალე ყველა დაცემა,
 მე გავიფანტე ტაძარში სხივად
 და განვიცადე გარდაცვალება...
 იყო გალობა ტაძარში მაშინ,
 ცოდვილს სულს ისევ სწყუროდი ალბათ,
 ირეკლებოდი სანთლების ალში,
 ცხოვრება მაწვა ცოდვების ვალად...

* * *

მეცოტავება ჰაერში სითბო...
 მეცოტავება დღეს ყველაფერი...
 თავს შემახსენებს მე ახლა ის დრო,
 როცა მათობდა სიცოცხლის ფერი.
 თითქოს საათებს ვითვლი თავიდან,
 თითქოს როლია ჩვენი ცხოვრება...
 ეს მოგონებაც სადღაც წავიდა,
 თუმც შენ ეს აღარ გემახსოვრება.
 როლებს ვთამაშობთ და გვიხარია,
 ვიმაღავთ სახეს ნიღბის ფერებით,
 თუმცა ცხოვრება მაინც ვალია
 ერთმანეთს ჩვენ რომ ვეპირფერებით...
 იწვება წამი, დრო და საათი,
 ჩვენ ვიძირებით მშვიერ ნისლებში...
 საათმა ახლა ჩამოჰკრა ზარი
 და გავიფანტეთ დროთა სივრცეში...

ქართული ალპინიზმის მსწავლელად



ივანე ჯავახიძე,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

ბეთლემის გამოქვაბულის ალმოჩენის ისტორია

ბოლო ხანებში ძალზე გახშირდა ისტორიული ფაქტების დამახინჯება-გადაკეთება, გაყალბება, იგნორირება, ალმოჩენების საკუთარ თავზე მიწერა და ა.შ. მედიასივრცეში საკმაოდ მრავალი დეზინფორმაცია და სიცრუე ვრცელდება ამა თუ იმ „ახალი ალმოჩენებით“, რისი მკაფიო დასტურიცაა ხვამლის ქვაბულთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, რომელიც 2007 წლიდან გურამ გაბიძაშვილის ექსპედიციის სიცრუითა და ტყუილით დაიწყო და დღემდე არ მთავრდება.

2008 წელს „მწერლის გაზეთის“ მე-14 ნომერში გამოვაქვეყნე წერილი სათაურით: „დილეტანტიზმი, უვიცობა, მიზანმიმართული სიცრუე თუ... ყველაფერი ერთად“. ამ წერილის მიზანი იყო, შეჩერებულიყო ხვამლის ქვაბულის „ხელახლა აღმოჩენების“ მიერ ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება და ხვამლის პირველმკვლევრების – ალიოშა ჯაფარიძის, გიორგი ლომთათიძის, ლევან გოთუას, ალექსანდრე ნემსიწვერიძის, ვერა ბელეცკაიასა და სხვათა შეურაცხყოფა, მაგრამ ყვითელი პრესის მოყვარულებს სიცრუე და სენსაციად მონათლული ტყუილი ურჩევნიათ სიმართლესა და ჭეშმარიტებას. ამიტომაც, რომ ტელევიზიით გადაცემულ თუ პრესაში დაბეჭდილ ყალბ ინფორმაციას დღემდე ყველა ჟურნალისტი გაუაზრებლად, დაუზუსტებლად იმეორებს, რაც ისტორიის გაყალბებას ამკვიდრებს და გზას უხსნის ცრუ მეცნიერებსა და დილეტან-

ტებს. ასეთი დამოკიდებულება არც მყინვარწვერის კალთებზე აღმოჩენილ ბეთლემის გამოქვაბულს დაკლებია. ამიტომ პირველწყაროზე დაყრდნობით, ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის ისტორიასაც ვიამბობთ და აქ აღმოჩენილი ნივთების შესახებაც მოვითხრობთ.

1923 წელს თითქმის ერთდროულად, პროფესორების: ალექსანდრე დიდებულისა და გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, მყინვარწვერზე ორი ასვლა განხორციელდა და საფუძველი ჩაეყარა მთამსვლელობას არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში. ქართველებმა თავიდანვე განსაზღვრეს მთამსვლელობის არსი და იგი ორი მიმართულებით განავითარეს – სპორტული და სამეცნიერო. სამეცნიერო მიმართულებას ალექსანდრე დიდებულის ედგა სათავეში, სპორტულს კი – გიორგი ნიკოლაძე.

ორივე ექსპედიციას მოხვედები მეგზურობდნენ. ნიკოლაძის ექსპედიციას სტეფანწმინდის მკვიდრი იაგორ კახალიკაშვილი მიუძღოდა, დიდებულის სამეცნიერო ექსპედიციის გამყოლი კი ცლოელი გახა წიკლაური იყო.

დიდებულისა და ნიკოლაძის გარდა, მთამსვლელობის განვითარებაში მნიშვნელოვანია სოსო ასლანიშვილის, შოთა და დევი მიქელაძეების, დავით წერეთლის, ლევან მარუაშვილის, ლევან გოთუას, სანდრო გვალიას, კაკო მარის, ოთარ გიგინეიშვილისა და სხვათა როლი, მაგრამ განსაკუთრებული და სამაგალითოა და-ძმა ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების ღვაწლი, რომელთაც, საკუთარი სიცოცხლეც კი გაიღეს მსხვერპლად ამ ეროვნული საქმისათვის.

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ და-ძმა ჯაფარიძეების ინტერესი მთამსვლელობაში მხოლოდ სპორტული შედეგები არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ სპორტში არსებული თითქმის ყველა წოდება და ტიტული მიიღეს; მაგრამ, მთაში სიარული როცა დაიწყეს, მაშინ სპორტული წოდებები და ტიტულები საერთოდ არ არსებობდა. იგი 1934 წლიდან შემოიღეს.

და-ძმა ჯაფარიძეები ბუნებისმეტყველები იყვნენ. ალექსანდრა – მეტეოროლოგი-სინოპტიკოსი, სიმონი – გეოლოგი, რომელმაც 1924–28 წლებში აღმოაჩინა ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადო, ალიოშა კი ჰიდრომშენებელი და ჰიდროენერგოპროექტის თვალსაჩინო მუშაკი. და-ძმის ძირითადი საქმიანობა მეცნიერული კვლევა იყო და მთავარ საკვლევ ობიექტად მათ მყინვარწვერი აირჩიეს თავისი შემოგარენით.

ბევრმა შესაძლოა არც იცის, რომ 1933-34 წლებში მყინვარწვერის კალთებზე აგებულ მეტეოროლოგიური სადგურის უზარმაზარ შენობას,

რომელსაც დღეს „ბეთლემის ქოხი“ ეწოდება და კერძო მფლობელობაშია, იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეს ალექსანდრა და სიმონ ჯაფარიძეებმა, რომელთაც თავდაპირველად საკუთარი ზურგით აზიდეს სამშენებლო მასალა, ჩადგეს ხის პატარა ქოხი და პირველებმა დაიწყეს 24-საათიანი მეტეოროლოგიური დაკვირვებების ჩატარება.

1928 წელს სიმონ ჯაფარიძემ მეტეოროლოგიური ჯიხური, თვითმწერ მოწყობილობასთან ერთად, მყინვარწვერზეც აიტანა და ერთკვირიანი დაკვირვების შედეგად მიღებული ტემპერატურის ცვალებადობის გრაფიკი, პარიზში, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე გაგზავნა. იმ დროისათვის 5000 მეტრის სიმაღლეზე მსგავსი დაკვირვების ჩატარება არნახული მოვლენა იყო მსოფლიოში (ეს გრაფიკი ამჟამად ჩვენი ოჯახის არქივში ინახება – ი.ჯ.).

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი უკვდავი პოემა „განდეგილი“, მყინვარწვერის კალთებზე ზ.დ. 4100 მ სიმაღლეზე მდებარე ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ ხევეში გავრცელებული ლეგენდა-თქმულებების მიხედვით დაწერა. გამოქვაბულს, ჯაჭვთან ერთად, მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც, ხოლო 1948 წელს, როცა ალექსანდრა ჯაფარიძე გამოქვაბულში შევიდა, იქაურობა აღწერა და გამოიკვლია, „განდეგილის“ ლეგენდა სინამდვილედ იქცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენასთან დაკავშირებით პერიოდულად ქვეყნდებოდა და ახლაც ქვეყნდება ურთიერთგამომრიცხავი მასალა, რომელიც ხელოვნურად აბიბრუებს ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის ისტორიას.

სინამდვილეში როგორი იყო ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის ისტორია, ამის შესახებ პირველწყაროზე დაყრდნობით დეტალურად მოვითხრობთ, მანამდე კი აღვნიშნავ, რომ პირველი ქართველი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი, ვინც 1930 წლის 21 აგვისტოს, შესწავლის მიზნით ბეთლემის სანახებს ეწვია ახალგაზრდა თანამგზავრ არჩილ გიგაურთან ერთად, პროფესორი სერგი მაკალათია იყო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს და უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ სამი წლით ადრე, ბეთლემი, საქართველოს გეოგრაფიული საზღვის მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების მთამსვლელთა ჯგუფმა მონახულა სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რის შესახებაც 1927 წლის 23 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სარეკორდო ასვლა მყინვარწვერზე“, ექსპედიციის ხელმძღვანელი წერდა: „ექსპედიციამ სოფ. სტეფანწმინდიდან 7 ნოემბერს 12 საათზე დაიწყო გასვლა ჩემი ხელმძღვანელობით. ბარგი ბევრი გვქონდა და მზიდველებიც ბევრი დაგვჭირდა. გასვლის წინ იქ მყოფმა კინო-ექსპედიციამ კოლია შენგელაიას ხელმძღვანელობით გადაიღო ზოგი-

ერთი მომენტი ჩვენი მოგზაურობისა: ექსპედიციის მისვლა სოფ. სტეფანწმინდაში, მოხვევების დახვედრა, ასვლის დაწყება და სხვა.

8 ნოემბერს დილის შვიდის ნახევარზე განვადრეთ გზა გერგეტის (ჩხერის ანუ ორწვერის) მყინვარით. 9 საათზე ექსპედიციის ნაწილმა: მე, სოსო ასლანიშვილმა, დევი მიქელაძემ, არჩილ ბენაშვილმა და იაგორ კაზალიკაშვილმა გადავწყვიტეთ წასვლა ბეთლემის მონასტრის ნანგრევების დასათვალიერებლად, რომელიც ცნობილია აგრეთვე „ბერების ნადგომის“ სახელწოდებით... საშინელი ლოდნართა და აღმართით მივალწიეთ ბეთლემის ნანგრევებამდე, რომელიც მდებარეობს 3900 მეტრის სიმაღლეზე ძნელად მისავალ კლდეებში. იქ დავითვალეთ 6 შენობის ნანგრევი. მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი, რომელიც ალბათ წარმოადგენდა ეკლესიას. ამ ეკლესიასთან ძვეს ერთი უზარმაზარი ქვა, რომელშიაც ღრმადაა ჩასობილი დიდი ქვის ჯვარი. ამ ჯვარს თვალთ კარგად არჩევს კაცი გერგეტის მყინვარიდანაც“...

ამ ექსპედიციის წვერთა ბეთლემში ყოფნას უფრო დეტალურად აღწერს ექიმი სოსო ასლანიშვილი 1928 წელს გამოცემულ წიგნში „მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით“, სადაც კვითხულობთ: „ეს ბეთლემის გორა არის სწორედ ის ადგილი, სადაც ზაფხულობით მრავალი მთასვლელი მიდის და არა აქვს ადგილი, რომ სადმე ღამე გაათიოს, დაისვენოს, დასტკბეს მშვენიერი ბუნებით...“

ბეთლემის გორაზე სამების დღესასწაულის დღეს ადიან თურმე, მაგრამ ნამდვილი ბეთლემი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის „განდეგილით“ ვიცნობთ, უფრო წინ არის გერგეტის ყინვარის ზემოთ მყინვარწვერის ძირში...

იაგორა მიგვითითებს ყინვარს გადაღმა კლდეებზე, სადაც არის თურმე ბეთლემის მონასტრის ნანგრევები და მე დაჟინებით მოვითხოვ ამხანაგებისაგან, რათა ვნახოთ ბეთლემი, მით უმეტეს, რომ არც ერთს ჩვენს ექსპედიციას ბეთლემისაკენ არ უმოგზაურნია. ყოველთვის იგი განზე რჩებოდა ხოლმე და მის შესახებ წარმოადგენა არ გვქონდა.

ჩვენ სრულიად თავისუფლად მივედით ბეთლემის ნანგრევებთან. სიმონი კი ეძებდა საკნებში ეკლესიის ირგვლივ ჯაჭვს, მაგრამ ამაოდ, ჯაჭვი არსად იყო. შესაძლებელია იყო ოდესღაც. ეკლესიის ირგვლივ შორიახლო სულ ექვსი საკანია; თვით ეკლესია კლდეში მიშენებული უკვე ჩამონგრეულია და ნანგრევებს ქვეშ მოსჩანს კარი. კლდეზე კი, რომელშიც მიშენებული ყოფილა ეკლესია, აქამდის შენახულია ამოთლილი და ზედ ჩასობილი თეთრი ქვის დიდი ჯვარი. იაგორას თქმით, წინათ ის ჯვარი უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ დროთა სვლაში ქარისა და თოვლისაგან გამოფიტულა. ასევე მოსვლია ბეთლემის ტაძარს.

ძალიან კმაყოფილნი ბეთლემის ნახვით, კლდეებით გადავდიოდით უკვე ზევით გერგეტის ყინვარი-

საკენ, ეს ის კლდეებია, სადაც გასულ ზაფხულს სიმონ ჯაფარიძეს ოცი დღის განმავლობაში ედგა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები. აწარმოებდა სხვადასხვა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს... ამის გამო იმ კლდეებს ვუწოდებ „ჯაფარიძის მოწმეები“...

შუადღეს გადაცილებული იყო, ე.წ. „იაგორას ნიშს“ რომ მივალწიეთ. ეს არის ადგილი, ამაღლებული გერგეტის ყინვარის თეთრ სამეფოში და იმ ადგილას ვხედავთ ზვავით ჩამოტანილს თუ თავისით ჩამოგორებულს დიდ ქვას, კლდეს, რომელიც ამაყად ამართულა სწორედ რომ კარგ ადგილზე, სადაც შეუძლიათ მთასვლელთ დაისვენონ, ქარსაც შეაფარონ თავი და ღამეც შედარებით უვნებლად ათიონ. იმ ადგილს ჩვენმა ექსპედიციამ, სიმონ ჯაფარიძის მეთაურობით, 1926 წელს ჩვენი საყვარელი მეგზურის, იაგორა კახალიკაშვილის პატივსაცემად, „იაგორას ნიში“ უწოდა. იგი ამართულია 4200 მეტრის სიმაღლეზე. სწორედ ამ ნიშთან შევისვენეთ კარგა ხანს“.

სიმონ ჯაფარიძისა და სოსო ასლანიშვილის მონათხრობიდან და იმ მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც სერგი მაკალათიას ამ დიდებულ მოღვაწეებთან აკავშირებდა, არ გამოვიციხავთ, რომ შესანიშნავმა ეთნოგრაფმა გარკვეული ინფორმაცია და კონკრეტული რჩევები მათგანაც მიიღო იმ სიძნელეების შესახებ, რაც ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილეებს ბეთლემისაკენ მიმავალ გზაზე შეხვდებოდათ...

საინტერესოა 1913 წლის 15 დეკემბრის №49 ჟურნალ „Искры“-ში გამოქვეყნებული ერთ-ერთი მასალა სათაურით – „წმინდა ნინოს ტაძარი“, რომელშიც ვკითხულობთ: „კავკასიის მთიელთა შორის – ინგუშებსა და ხევსურებში, დიდი ხანია დადის ხმები, ყაზბეგის მწვერვალზე, მის მიუვალ კლდეებსა და მუდმივ ყინულებში არის რომელიღაც ძველი ტაძრის ნანგრევები.“

ამ მონათხრობს ფანტაზიის სფეროს აკუთვნებდნენ და უკანასკნელ დრომდე არ სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ მთიელები მწვერვალზე შესამჩნევ ჯვარს მიუთითებდნენ და ამ ადგილს „წმინდასა“ და „ბეთლემს“ უწოდებდნენ. მხოლოდ მიმდინარე ზაფხულს, ყაზბეგის მყინვარების გამოკვლევას რომ აწარმოებდა, რუსეთის სამთო საზოგადოების ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა, ა. ი. დუხოვსკიმ, შეძლო ამ ადგილზე, 12700 ფუტის სიმაღლეზე (= 3800 მ) ნამდვილად აღმოეჩინა ძველი მონასტრის ნანგრევები, რომელიც გადმოცემით დაუარსებია საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოს. ნანგრევები გერგეტის მყინვარის უშუალო სიახლოვეს არის. შემონახული საძირკვლის მიხედვით, აქ იყო სენაკი და საყდარი“.

ამ ამბის შემდეგ 35 წელი გავიდა...

და აი, ერთ დღეს, ცნობილ მთამსვლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრა ჯაფარიძეს

მოულოდნელად ესტუმრა ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი შალვა წერეთელი, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა ჩამოიტანა:

„ – რამდენიმე დღის წინ – ჰყვებოდა იგი, – ჩვენ, მეტეოსადგურში გვეწვია ლევან სუჯაშვილი (ცნობილი მთამსვლელი – ი.ჯ.); მან განაცხადა, რომ ნოემბრის დასაწყისში, მეტეოსადგურიდან გზად მიმავალმა, როცა დასასვენებლად ჩამოვდა ყინვარზე, შორეულ კლდეში დაინახა... კარი, საიდანაც ეშვებოდა ჯაჭვი...“


ჩვენ არ დავუჯერეთ ლევანს, რადგან იმ ადგილებში ასეულ ადამიანს და ჩვენც არაერთხელ გავვივლია; მაგრამ ცნობა მართალი აღმოჩნდა – კარი და ჯაჭვი დაინახეთ... მხოლოდ ერთი წერტილიდან! თუ ამ წერტილიდან გადაიწვეთ თუნდაც მეთედი გრადუსით – შიშველ კლდეებს დაინახავთ; ნაბიჯიც გადავდგი თუ არა ამ ადგილიდან, კარი მაშინვე გაქრა თვალთახედვიდან“...

შეიტყო თუ არა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლებისაგან, მყინვარწვერის კალთებზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე, კლდეში რაღაც კარის მსგავსი შევამჩნიეთო, ალექსანდრა ჯაფარიძემ დაუყოვნებლივ მიმართა საქართველოს მთავრობას განცხადებით, რადგან იმ დროს, ასეთი საქმის გამოსაკვლევად, მთავრობის ნებართვის გარეშე ქალაქიდან ფეხს ვერავინ გაადგამდა.

მთავრობის სახელზე 1947 წლის 24 დეკემბრით დათარიღებულ ალექსანდრა ჯაფარიძის მიმართვაში ვკითხულობთ: „ა. წ. 20 დეკემბერს ჩემთან მოვიდა ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის (ზ.დ. 3654 მ) უფროსი სპეციალისტი ამხ. შალვა წერეთელი, რომელმაც მაცნობა, რომ ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთი კლდოვანი ქედის შვეულ ფერდობზე მოხამთრებების – სუჯაშვილის, რაგოზინისა და პირადად მის მიერ შემჩნეულია რკინის კარი ზედ დაკიდებული ჯაჭვით. ამჟამად აღმოჩენილი რკინის კარი და ჯაჭვი გვაფიქრებინებს, რომ ის უნდა ეკუთვნოდეს ნამდვილ ბეთლემს, რომელიც გეოგრაფ ვახუშტის მიერაა აღწერილი. ხალხური გადმოცემის საფუძველზე, ამავე ქვაბულში გადაიტანა თავისი „განდევლის“ მოქმედება ილია ჭავჭავაძემ.“

ამ გამოქვაბულის შესწავლა უთუოდ დიდი მნიშვნელობის საქმეა, რაც კიდევ ერთი საბუთი იქნება ჩვენი წინაპრების დიდი კულტურისა.

ვინაიდან გამოქვაბულში შესვლა მოითხოვს ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკის გამოყენებას, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოეწყოს ალპინისტთაგან შემდგარი მცირერიცხოვანი ექსპედიცია, რომელიც წინასწარ გამოიკვლევს, შევა გამოქვაბულში, ხელმისაწვდომად გახდის მას მეცნიერ-მუშაკათვის და ამით ნათელს მოჰყენს საუკუნეობრივ საიდუმლოებას...



მე, როგორც ალბური კლუბის სპელეოლოგიური კომისიის წევრი, ამ საკითხით დაინტერესებული ვარ; მაქვს სურვილი, საკმაო ფიზიკური და მორალური შესაძლებლობანი – მივიღო ჩემს თავზე ამ საქმის ორგანიზაცია. ამიტომ ვთხოვთ დაამტკიცოთ აქ წარმოდგენილი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, გაიღოთ ექსპედიციისათვის საჭირო სახსრები და მისცეთ განკარგულება სათანადო სავაჭრო ორგანიზაციას ექსპედიციისათვის კუთვნილი პროექტების დაუბრკოლებლად გაცემის შესახებ“ (ეს დოკუმენტიც ჩვენი ოჯახის არქივში ინახება – ი.ჯ.).

პროექტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ და ექსპედიციის ხელმძღვანელობა ალექსანდრა ჯაფარიძეს დაევალა.

1948 წლის 2 იანვარს, ალექსანდრა ჯაფარიძე და შალვა წერეთელი თბილისიდან გაემგზავრნენ. ვინაიდან საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტილი იყო, ჯვრის უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო, მათ შემოვლა მოუხდათ ბაქოსა და ვლადიკავკაზის გზით.

სტეფანწმინდაში ექსპედიცია 4 იანვარს ჩავიდა, აქ მათ შეუერთდა ლევან სუჯაშვილი. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების თხოვნით, ექსპედიციაში შეიყვანეს აგრეთვე, ყაზბეგის მუხეუმის დირექტორი სტეფანე ალიბეგაშვილი, რომელსაც თან ორი თანამშრომელი ახლდა.

6 იანვარს დილის 6 საათზე, 6 კაციდან შემდგარი ჯგუფი თოვლიანი ალბური ველების გავლით გაემართა მწვერვალის ციცაბო კალთებისაკენ. ნაშუადღევს, 3 საათზე, ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს მეტეოროლოგიურ სადგურს. მოხამორები სიხარულით შეეგებნენ სტუმრებს. ყველანი გრძნობდნენ, რომ ისინი უჩვეულო ექსპედიციის მოწმენი და მონაწილენი იყვნენ.

7 იანვარს, დილით, 8 საათზე გამოქვაბულისაკენ უკვე 8 კაცი გაემართა: ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან სუჯაშვილი, შალვა წერეთელი, სტეფანე ალიბეგაშვილი, არჩილ კობაიძე, გრიგოლ შალური და მეტეოსადგურის ორი თანამშრომელი – ირაკლი იმნაძე და ვალერიან სუჯაშვილი.

კლდოვანი მასივის იმ ადგილიდან, საიდანაც უკვე გარკვევით ხედავდნენ გამოქვაბულის კარსა და ჯაჭვს, იწყებოდა გზის უხეილესი უბანი. აქ, „მეკავშირედ“ შალვა წერეთელი დატოვეს, საჭიროების შემთხვევაში დახმარების გასაწევად. ჯაჭვის ბოლოს რომ მიაღწიეს, განცვიფრდნენ: ჯაჭვს საუკუნეებისთვის გაქვლი და არ დაფანგულიყო. გასინჯეს და დარწმუნდნენ, რომ მას შეიძლება აჰყვეს კაცი, მაგრამ ამის მიუხედავად, მანც თოკი ამჯობინეს. წინ ლევან სუჯაშვილი ავიდა. მას აჰყვნენ ალ. ჯაფარიძე და ვალერიან სუჯაშვილი. მაგრამ კარი მაგრად იყო დახურული, არ იღებოდა. ჩაყინულ კარს ჯაჭვის სიმძიმეც არ უშვებდა. კარის წინ პატარა მოედანზე სამნი ეტევიან... სცადეს კარის თავზე სარკმელში გადაბრძოლა და სამივენი სენაკში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ამოზიდეს ზევით ჯაჭვი და კარი შიგნიდან გააღეს. დანარჩენებიც თოკისა და ჯაჭვის დახმარებით ავიდნენ გამოქვაბულში. ალექსანდრა ჯაფარიძე შეუდგა გამოქვაბულის აღწერა-აზომვას:

„კლდეში გამოკვეთილი კარის სიმაღლე 1 მეტრი და 30 სმ, სიგანე კი – 60 სმ-ია. ხის კარზე გარედან მთლიანად, ხოლო შიგნიდან ნაწილობრივ გადაკრულია 2 მმ სისქის რკინის ფურცელი, რომელიც მოჭედილია მსხვილთავიანი ლურსმნებით და რკინისავე დაგრებილი რგოლებით. კარის შიგნით, მარცხენა ბოძის ძირში დამაგრებულია მოკლე 1 მეტრიანი ჯაჭვი, რომლითაც, ალბათ, შიგნიდან იკეტებოდა კარი. წინ პატარა მოედანია (სიგრძე 1 მეტრი, სიგანე 0,5 მეტრი), შუა კარზე დამაგრებული წვრილი ჯაჭვის სქელ ხლართში გამობმულია 5,5 მეტრი სიგრძის მსხვილი ჯაჭვი, რომელიც გადმოკიდებულია კარიდან ქვემოთ, შვეულ კლდეზე. ჯაჭვის ბოლოში გამობმულია ნალისებური რკინა ხელის მარჯვედ მოსაკიდად...“

კედლები და ჭერი სუფთად იყო შეთეთრებული. მას ემჩნევა ხელოვნური გამოკვეთის კვალი. უკანა კედელი უფრო განიერია და თანდათანობით ვიწროვდება კარისაკენ. ჭერი გუმბათისებურია. ყურადღება მიიქცია გამოქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულმა ტრაპეზმა,



თეთრ ქსოვილზე ეწყობა შემდეგი ნივთები: მოზრდილი სამფეხა ბრინჯაოს შანდლის ძირი; ხის ლამბაქი; ხისავე ჯამი; ხის პატარა კოლოფი ორი განყოფილებით, რომელშიც ეყარა 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული. შუაშივე იდგა მუცელგანიერი პატარა ხის ჭურჭელი განვრეტილი თავსახურით, რომელიც შესაძლოა ძირონისათვის იყო გამოყენებული, ტრაპეზზევე იყო მარმარილოს პატარა ნაჭერი და ორი ხის ფირფიტა, რომლებზედაც შესაძლებელია, ხატები იყო დაკრული.

ტრაპეზის ორივე მხარეს აღმართულია ორ წვრილ ხის ბოძი, რომლის ქვედა ბოლო დაბჯენილია იატაკზე, ხოლო ზედა მიბჯენილია გამოქვაბულის თაღზე. ბოძებს შუა თოკივით გაბმულია ქსოვილის ნაჭერი, რომელზეც ტრაპეზის ჩრდილო მხარეზე ფარდასავით გადაკიდებულია რამდენიმე ნაჭრად თეთრი ქსოვილი, რამდენიმე მათგანი დახეულია. ამ ქსოვილებზე მიყრდნობილია ჭდეული ხატი (დროშა) ზომით 13X19 სმ ასომთავრული წარწერით, რომელიც ხის ტარით დაბჯენილია ტრაპეზზე (ხატი ჭდეული ხელოვნების ძეგლს წარმოადგენს). ხატზე ეფინა ისეთივე ნაჭრის ნაქარგი ხელმანდილი. ხატის მარცხნივ და მარჯვნივ ქსოვილებზე გამოხატული იყო ჯვარი.

ტრაპეზის გვერდით, გამოქვაბულის აღმოსავლეთ კედელთან იდგა მალაღი სამფეხა ხის შანდალი, კედელზე მიყრდნობილი 5 წლის ჯიხვის რქა, აღმოსავლეთ კედელთანვე, კარიდან 1,5 მ მანძილზე იდგა ქვის დასაჯდომი, რომელიც ანდუზიტის ორი ქვისაგან შედგებოდა: 40 სმ სიგრძის, 30 სიგანისა და 30,5 სმ სიმაღლის. ქვედა ნაწილს ზემოდან ედო იმავე სიგანის, 40 სმ სიგრძისა და 10 სმ სისქის ანდუზიტის თლილი ქვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, აქვე აღმოჩნდა ისრის პირი სატარით (10 სმ სიგანის), ჩრდილო კედელზე ეკიდა დაჟანგული, პატარა ყუნწიანი, ნახევრადსფეროსებური, გვერდებშეწყვეტილი ორი თითბრის ეყვანი, საზიარებელი რკინის

კოვზი, სამი ნემსკავი, ხის ჭურჭლის სათლელი ხვეწი და სხვ. სულ 20 საგანი“.

სამი საათი დასჭირდათ ექსპედიციის წევრებს გამოქვაბულის აღწერისათვის. დაბრუნებისას კი ეს ნივთები, რომლებიც საინტერესო უნდა ყოფილიყო მეცნიერებისათვის – თან წამოიღეს.

ბეთლემის გამოქვაბულის კვლევის პირველი შედეგების შესახებ, ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსანდრა ჯაფარიძე, დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა საქართველოს ალპური კლუბის წევრების წინაშე. სხდომა გახსნა კლუბის პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნიკო კეცხოველმა. მან შეაფასა აღმოჩენის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ესაა პირველი ნაბიჯები ამ საინტერესო ობიექტის კვლევისა, რადგან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, მყინვარის კვლოვან კალთებზე ყოფილა მღვიმე-გამოქვაბულთა მთელი სისტემა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღეს-დღეობით ამოვსებული-ამოქოლილია, ხოლო სხვები მყინვართა საფარველითაა დაფარული.

ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული ნივთები ყურადღებით შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ აკადემიკოსების ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, გიორგი ჩიტაიას, ხელოვნებათმცოდნე იროდიონ სონღულაშვილისა და ნუმიზმატ თამარ ლომოურის შემადგენლობით.

მათ დაადგინეს, რომ ხატი-დროშა რელიეფური გამოსახულებით და წარწერებით ძველი ქართული ჭედურობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და არაუგვიანეს XII საუკუნისა უნდა იყოს. უფრო ადრინდელი წარმოშობისაა შანდლის ბრინჯაოს სადგამი (ძირი); ვერცხლის ფული სხვადასხვა ეპოქისაა, აქედან ორი მონეტა ერეკლე მეფის დროინდელია, ერთი – XV საუკუნის მეორე ნახევრისაა, ხოლო 7 ცალი XVII საუკუნის ირანული მონეტებია. გამოკვლევის შემდეგ ეს ნივთები ექსპონირებულ იქნა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; აქვეა გამოქვაბულიდან მოგვიანებით ჩამოტანილი რკინით მოჭედილი სათადარიგო კარი და ჯაჭვი“...

დასასრულ, არ შეიძლება იმის შესახებაც არ ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის დახმარებით აღდგენილ და განანსლებულ სტეფანწმინდის მუზეუმში, რომელიც საქართველოს უნიკალური კუთხის – ხევის დიდი ისტორიისა და ახლანდელი ყოფის სარკე იქნება, კუთვნილი ადგილი უნდა დაეთმოს ქართული ალპინიზმის ისტორიას და მათ შორის მოხევე მთამსვლელებს, რადგან ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლები ამ კუთხის შვილებიც იყვნენ.

ლიცერსკოლელი ნელიონი

ბენაზ ბანიცა



ტარიელ ხარხელაურის ჭეშმარიტი პოეზია

„ჩემი სტიქია მარადიული ომია, მარადიული ომი, მარადიული შფოთვა და განცდები.“

ტარიელ ხარხელაური

პოეტების მუზას მართავს ასტრალური სხივი, რომლითაც ისინი უჩინრად გადიან მიწიერიდან კოსმიურ საზღვრებში. მათი სული ნებიერი თავისუფლების სიმბოლოა და ამ ჭეშმარიტების სრული დასტურია პოეტი ტარიელ ხარხელაური. მუზა შთააგონებს მას, დაწეროს ის, რისი დანახვაც ფიზიკური თვალთ შეუძლებელია. გონის აღქმა კი ჭეშმარიტ მასალას აწვდის პოეტს, რათა ამოთქვას შეუცნობი სანახების სიდიადე. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია კოსმიურ სივრცეში განავარდება და იქაური ხიბლის მკითხველამდე ჩამოტანა.

მისი სიტყვები უბრალოა, მაგრამ მისტიკური სამყაროდან პოეტის გონში ჩაწერილს, გულით შეგრძნებულს, ბაგებიდან მოწვევტილს მაგიური ძალა აქვს, ერთბაშად რომ დაგიმონებს და უხილავის ძალიერების ილუმალი ხიბლი შენში რჩება სამარადჟამოდ. ამაღლების ნეტარი შეცნობა არ აგცდება მკითხველო:

„ვმაღლდები... ნათლით ვივსები,/შენ, მზეო, არ გელოდები,/მეხვევა თეთრი ნისლეები,/ცის თეთრი ანგელოზები./მხრებზე მისხედან ვარსკვლავნი,/ მთვარე მინათებს საუფლოს,/ჩემს წინ დევს მთელი სამყარო-და/ღვთის ენაზე ვსაუბრობთ.“

სტროფს თან სდევს განცდის ექსპრესიულობა. პოეტი კოსმიური სიმშვიდით მიიწვევს ქვემოდან ზემოთ. იქიდან კი ხელისგულივით მოჩანს სამყარო.

სამყაროს ახლებური აღქმა, ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში, პლატონმა შთააგონა საზოგადოებას. დღემდე არ წყდება ინტერესი არსებობის ხილულ-უხილავი ასპექტების შეცნობის მიმართ. მეცნიერებამ ბევრი კარგი სიტყვა თქვა, მაგრამ უამრავი ყალბი თეორიებითაც მოშხამა ზოგადკაცობრიული გონი. ხელოვნებამ კი სიმბოლოებით – ილუმალი ენით – სძლია სავარაუდო დასკვნებს გარე სამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულების მისტიკური რეალობების შესახებ. ეს ყოველი განსაკუთრებით საცნაურია პოეზიაში.

ტარიელ ხარხელაური ციურ საუფლოს სითეთრეს ისეა შერწყმული, რომ განსხვავებულობა არ იგრძნობა, ჰარმონია კი ნამდვილად არის. მისი ლექსით მარტივია ეს ყველაფერი. პოეტი მზის გაღმავს, ანუ შორს იმ სამყაროსგან, რომელიც ბნელია და უმზოდ ვერ იარსებებს. იქ კი, სადაც ის არის, მზეზე ამაღლებულნი, ღმერთის ენაზე უბნობენ და მშვენიერების დიადება სითეთრეა უმწიკვლო, შეუბღალავი.

ამკარაა, რომ პოეტი მთვარეს იმერ-ამერის მაკავშირებლად მიიჩნევს და ეზოთერულ წრეებშიც მთვარე ხდება მისტიკურ და რეალურ სამყაროს შორის გადებული: „მთვარე მინათებს საუფლოს,“ როგორი რწმუნებითია ინტონაცია.

გარეგნული დახასიათებით მოცემული ლექსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სიმბოლისტურ წარმოსახვათა და აღქმათა სინთეზი იყოს. ან პოეტის ჰიპერბოლური აზროვნების ნიშნში, მაგრამ არც ერთია და არც მეორე.

ლექსი სულით დანახულისა და გონით აღქმულის შერწყმის პროდუქტია, მისტიკური სამყაროს რეალური ასლია მასში გადმოცემული. ამ ლექსით ადვილია დახასიათო თავად ავტორი, რომელიც უშუალო და უბრალოა, ასევე ზემართალია მკითხველის წინაშე. არანაირ ხელოვნურ სანელებლებს არ იყენებს ასტრალური სხივით მოწოდებული კადრების შესაკმაზად და გაუყალბებლად გადმოსცემს უხილავ ხილვას. ამ შეხედულების განსავითარებლად ქალდეური სწავლება გვაძლევს საფუძველს, სადაც მზე მოიხილება, როგორც ყოფიერების აღმომცენებელი.

ასტროლოგიური ფილოსოფიითაც მზე მეფეა, მნათობთა სრბოლის განმსაზღვრელი. მთვარე კი გასულიერების მამაა, ანუ მას უშუალო კავშირი აქვს სულთან. „მთვარე მინათებს საუფლოს,“ „შენ, მზეო, არ გელოდები“ ასტროლოგიური აზროვნება მხატვრულ ლოგიკას შერწყმული.

მზისა და მთვარის ფუნქციური დანიშნულების შესახებ პოეტის მუხით მოწოდებული მისტიკური ცნობები მის სხვა ლექსებშიც არის გამოთქმული და ზემოთ განვითარებულ შეხედულებას ამყარებს. თუმცა დედააზრი ამ ლექსებისა უფრო განყენებულია: – ხორციელ არსშიც არიან ზეციური ადამიანები, ისინი ჩვენს შორის ცხოვრობენ, ღვთიური ენერგეტიკით ამარაგებენ საზოგადოებას და უვითარებენ სულიერ-შემეცნებით ცნობიერებას.

ტარიელ ხარხელაური რომ მარტო მამულს არ ეკუთვნის, ამას ყოველგვარი განქიქების გარეშეც გრძნობს მკითხველი. ხოლო, თეოლოგიურ, ეზოთერულ ან თუნდაც ფილოსოფიურ აზროვნებას თუ მოვიშველიებთ, უცილოდ ვიმოგზაურებთ ორსავე სამყაროსა შინა. პოეტის უმეტესი ლექსის ჭრილში, სრული სისადავითა და უბრალოებით იხატება ადამიანის გონისათვის მიუწვდომელი პასაჟები. შედეგად მატულობს მკითხველის შინაგანი აღმაფრენა. ლექსის სტრიქონებში აშკარად შეიგრძნობთ ადამიანში სულიერ აღმატებულებას ხორციელზე: „ვარ დამუხვლილი ხატისკარს, / პირშებურვილი, მდუმარი, / ვმასპინძლობ წარსულის ლანდებს, / იმათთვისა ვშლი პურმარილს.“ – აზრი გასაგებია.

მორწმუნე ღვთისკაცი ჩოქვით, მდუმარედ უმასპინძლდება წინაპართ სულებს. ეს რიტუალი არ ახალია, ძველია და ჩვეულებრივი მკითხველი ამაში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ დაინახავს, მაგრამ სულაც არ არის ასე. მოძღვენო სტროფები გვამცნობენ, რომ ნისლების, როგორც თვითონ მიიჩნევს, ანგელოზების, გარემოცვაშია პოეტი: „მეფერებიან ნისლები, სულ ჩემ გარშემო ბრუნავენ.“

ის დარწმუნებულია, რომ მატერიალურ სამყაროში არ იმყოფება: „ყურთ არც მდინარის ხმა მოსდით, / აღარც ტყეების შრიალი.“ მაშ, სად იმყოფება პოეტი? ნუთუ ის არ ასრულებს ამ რიტუალს? იგი, სულიერად გარდასახული იმასვე მისდევს, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში აკეთებდა. ტარიელ ხარხელაურის პოეზიის შინაგანი შრეების ლიტერატურულ-ლაბორატორიული ანალიზი გვადლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება მისტიკური სამყაროს ანარეკლია ლირიკულ განცდათა ფოკუსში გარდატეხილი და ლექსში გაცოცხლებული.

მოცემულ ლექსში პოეტი გადმოგვცემს ცნობას იმის შესახებ, რომ სადაც ტყე და მდინარეა, ერთი სიტყვით, ფიზიკური ცხოვრებაა, იქ ადამიანები ტირიან, მაგრამ უკვირს, რომ იქ, სადაც, მხოლოდ ანგელოზები ეხვევიან გარს, ე.ი. ცათა საუფლოში, ტირილი როგორ შეიძლო.

ლექსის ინტონაცია მშვიდი და რწმუნებითაა, რაც გვადლევს საბაბს, თამამად ვთქვათ: სულის დისკზეა ჩაწერილი საიქიო და სააქაო ცხოვრების წესი.

რასაც შევკრავთ დედამიწაზე, იმ ხურჯინიდან ამოვალავებთ ცაშიც. ძალიან ეხმიანება ამ ლექსის დედააზრი ვაჟა-ფშაველას უკვდავ გამონათქვამს: „საიქიო სააქაოს უნდა მოვივით.“ მე ვამბობ თამამად: ხატისკარის სცენა იყო ხილვა, ოღონდ უკვე ზეციდან. ღირს ამ ფაქტებზე დაფიქრება, მომავლის ფილოლოგია ამას აუცილებლად იტვირთავს და ტარიელ ხარხელაურის პოეზია ცათა საუფლოს ბევრ ილუზიას ახდის ფარდას. დღეს კი ჩვენთვის უმთავრესია, რომ ეს უსათაურო ლექსი პოეტის წმინდა სულის ღაღადისად ჩავთვალოთ.

იგივე თემაა გაშლილი სხვა ლექსშიც, ოღონდ პოეტი, ახლა, ზეციურ ხატისკარში კი არა, ამქვეყნიურში აღწერს ლოცვის რიტუალს და კიდევ ერთხელ გვაცნობებს მთვარის იმ უდიადეს მისიაზე, რასაც მიწიერთა და ცისიერთა დაკავშირება ჰქვია. ცნობილია, რომ სახატეში შესვლა მხოლოდ ხევის რჩეულთათვის შეიძლებოდა. რამდენადაც ისინი უწმინდესი შინაგანაწესით ემსახურებოდნენ თემს, ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ მარტო შედიოდნენ ხატისკარში და ლოცულობდნენ. მათ, თქმულების მიხედვით, ეცხადებოდათ წინაპართა აჩრდილები, რომლებიც გამოისახებოდა კედელზე. პოეტს სწამს, რომ ამ შეხვედრას მთვარე განახორციელებდა: „ტადრის სიღრმეში დამუხვლილ ხეკუსურს, / ზურგიდან მთვარის ნათელი ადგას, / არც არასა ჰგრძნობს, არც არა ესმის, / სანთლის და უფლის ჩურჩულის გარდა.“ – რაოდენ მაღალი დონის სიცხადეა. ეს რწმენაა და არა მხოლოდ წარმოსახვა. გავიხსენოთ ბიბლიიდან ნაბუქოდონოსორის დროს როგორ გამოისახა კედელზე ხელი, რომელიც წერდა. ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ ქალდეველმა დანიელმა შეძლო. რამდენადაც ქალდეველთა მემკვიდრეები ვართ ქართველები, იმდენად მათგან მიღებული ცოდნაც ჩვენს გენეტიკურ კოდშია.

ავტორი, როგორც ვაჟა-ფშაველა, აღწერს ხატობის სცენას იმ განსხვავებით, რომ მთვარის ჩართულობას ადასტურებს. განსაკუთრებით ღირს ყურადღების გამახვილება ლოცვის ძალაზე და იმ თითოეული სიტყვის კოსმიურ ენერგეტიკაზე, რომელსაც პოეტი ქვეცნობიერად უდიდესი სიზუსტით გადმოგვცემს:

„ჟამდაჟამ მაინც იხსნება ბაგე, / შინაგან ფშვინვას გამოაქვს გმინვა / და შავ კედლებზე დაფენილ ლანდებს / შეაქუჩებს და მიუძღვის წინა.“ – სწორედ ბაგეთაგან ამოთქმული გმინვა, ანუ ლოცვის მთავარი დედააზრი წინაპრის აჩრდილებს ასტრალური სხეულთა მიუძღვება წინ, მაგრამ საით? მიმართულება განსაზღვრული არ არის. პოეტის სტრიქონებიდან ვიღებთ უტყუარ ცნობას: სამყაროში ოთხივე კუთხით, საითაც არ უნდა გავემართოთ, ღმერთი ყველგანაა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მლოცველთა ას-
ტრალად ქცეულ თხოვნას უკან მიუყვებიან წინაპარ-
თა სულები, ანუ სულები მიაბრძანებენ უფალთან
ლოცვას, ეხმარებიან ადამიანებს. ცხადზე უცხადესია
ავტორის გზავნილი: აი, ასეთი მისტიკური ურთიერ-
ობები ყურად უნდა იღონ ადამიანებმა, მაშინ ნახეთ,
რა რიგად შეიცვლება სამყარო.

ყურადღების გამახვილების ღირსია სიტყვა
„ჟამდაჟამ“, რადგანაც ჟამი ათასწლეულებს მოით-
ვლის (ბიბლიის მიხედვით განუსაზღვრელია) და
პოეტმაც იმისათვის, რომ საქართველოს ძნელბელო-
ბის დაუთვლელ ხანგრძლივობაზე გაემახვილებინა
ყურადება, ორგანულად დაეკავშირებინა ლექსის
საზრისთან, სწორედაც რომ უცდომლად შეარჩია,
უფრო სწორად გაახმოვანა უხილავიდან მოწოდე-
ბული სიტყვა და, საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ
ავტორს აქვს დახვეწილი, უბრალო მეტყველება,
თუმც უნივერსალური მნიშვნელობით. ამაში
განგების ხელი ურევია უცილობლად (ეს ჩემი
პირადი შეხედულებაა).

ძლიერია ასოციაციური ფონიც და ძალაუნებუ-
რად გახსენდება ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონიდან“
როგორ მიუძღვება ცხენოსანი აჩრდილი ჯარს:
„...ვნახე, ცის ტატნად დავატყვევ/ მთა გადალახა
სწრაფადა/ გარს ევლო შუქი ბრწყინვალე/ ცილამ
მოსული ძაფადა“. (ვაჟა)

ლექსში დიდი დატვირთვა აქვს სანთელს, რო-
მელიც ცრემლად იწვის: „გზას აღარ ირჩევს/ გზა
სუღერითა/ აღმა თუ დაღმა, იქით თუ აქეთ, სამყარო,
რაშიც ვერ დაეტია, უდიდეს ტვირთად დაჰკიდა
სანთელს.“

ეს სტრიქონი სულიერ-შემეცნებითი თვალსაზ-
რისით იმდენად ტევადია, რომ მეცნიერებს, ალბათ
ტომები დასჭირდებოდათ უფლისგან ლოცვის შეს-
მენისათვის სანთლის წვის მისტიკური უღუმალების
გასახსნელად. ძალიან შთამბეჭდავია „სამყარო,
რაშიც ვერ დაეტია, უდიდეს ტვირთად დაჰკიდა
სანთელს“, ანუ შესმენილი ლოცვის აღსრულება
სამყაროში გასხეულებული ღმერთისგან, სადმე
მიღმა კი არ ხდება, არამედ იქვე, წვის პროცესში.
სანთლის თითოეული ცრემლი უკვე პასუხია ღვთის-
გან. ამ ლექსს დიდი რწმუნებითი მუხტი შემოაქვს
მკითხველში. სანთლის ანთება უბრალოდ რიტუ-
ალი კი არა, ადამიანისა და უფლის ჰარმონიული
ურთიერთობის უსიტყვო დასტურია. მაშასადამე
ლოცვა, წინაპართა სულებით წაგვრილი, სანთლის
წვის ფონზე გვაკავშირებს უფალთან. მთვარე კი
თეთრი შუქით გვამარაგებს.

გვერდს ვერ ავუვლით ტარიელ ხარხელაურის
თანამედროვე პოეტის – თემურ ჩალაბაშვილის
ლექსის „სანთელის“ გახსენებას, რომელიც იმავე
შთაგონებითაა განწყობილი სანთლის მიმართ და
ორგანულად ავითარებს იმავე შეხედულებას:

„შენ ციური ხარ, უფლის ხმობილი/ო, პაწაწინა
თაფლის სანთელი!..“ „ბედნიერი ხარ წვა შეგი-
ძლია.“

ეს ორი პოეტი ურთიერთს მოწმობენ ლოც-
ვის დროს ამ უმთავრესი ატრიბუტის მისტიკური
დანიშნულების შესახებ, რაც, მე ვფიქრობ, დიდად
სარწმუნოა ჭმამრიტების დასადგენად.

სხვა უსათაურო ლექსშიც ლოცვის დიდებულე-
ბაზე, სანთლის შუქით ადამიანის ბნელი სხეულის
განათებაზე და მით განტვირთვაზე პოეტი შვებით
ლაპარაკობს: „გამთავრებ ლოცვას – ვარ ზედმე-
ტად თავისუფალი/ ვხედავ ჩემს სხეულს სანთლის
მკრთალი სხივით შემოსილს/ და ცა მიღიმის, ცა
მიღიმის – თვალი უფალის/ და აწმყოთ ნისლებს,
აწვიმთ ნისლებს/ ფრთებს ანგელოზის“.

ნეტარია ადამიანი, ვისაც ასეთ აღმაფრენამდე
შეუძლია განცდა უფლისა, ანგელოზთა თანხლებისა.
ამ სტრიქონებში ხომ ისეა ახსნილი პოეტის სუ-
ლიერი და ფიზიკური თანხმიერება, რომ მკითხველი
შეიგრძნობს რეალურად „ზედმეტი თავისუფლების“
უზენაესობას. ლოცვით განწმენდის სიმსუბუქეს. ეს
სტრიქონები განსაკუთრებით იმათთვისაა, ვისაც
ჯერ კიდევ არ განუცდია ლოცვით ნეტარება.

მომდევნო სტროფი ღვთისგან ლოცვაშესმენილი
ადამიანის ცნობიერ-შემეცნებითი ამალღებაა: „რა
დიდი ღლეა, დიდი ღლეა, – სდუმან ქარები/ და მეც
მშვიდი ვარ, / მეც მშვიდი ვარ, ბორკვას ჩვეული/
აღარც მზე არის, აღარც მთვარე/ არც ვარსკვლავები,
მხოლოდ მე ვარ და/ იფერფლება ჩემი სხეული.“

პოეტი, ლოცვის შემდეგ, აბსოლუტური სიცხა-
დით გრძნობს კოსმიურ ძალთა თანხლებას და
სულიერ ამალღებას, ასევე ცხადად შეიგრძნობს
თავისი ფიზიკური სხეულის მდგომარეობას, თუ
როგორ იფერფლება სულისთვის და ამით მიგვანიშ-
ნებს იმაზე, რომ სანთელი ადამიანის სიმბოლოა,
ღმერთთან მოღალადე და სულის შენდობისათვის
დამწვარი. სულისა და ხორცის ასეთი განცდა მი-
წიერ ასპექტში მხოლოდ წმინდანებს შეუძლიათ.

მიიღო უძვირფასესი გზავნილი მკითხველმა:
გვეროდეთ, ირწმუნეთ უფალი საკუთარ თავზე
მეტად, ილოცეთ! გახსოვდეთ, მთელი კოსმიური
სივრცე თანაუგრძნობს ადამიანს, შეიმეცნეთ უფლის
თანხლება და სიცოცხლეშივე მოიგეთ სასუფეველი.

ღანი უხედაშვილი



სახელიანი სიკვდილის არსი

ამირან არაბულის
„ვაჟკაცობისას ამბობენ“

ეს სხვა სამყაროა... სრულიად სხვა... ვერაფერთან და ვერავისთან „ვერშეფრობილი“...

აქ ისმის ფარნავაზის, ვახტანგის, დავითის, ერეკლეს ძარღვში გამოტარებული სისხლის ყვილი...

აქ „ჯღრღებ“ აღმართულა მტერთან ბრძოლაში თავგანწირული ვაჟების მკლავები...

აქ არხვატის მიწას ისევ ატყვია ყალყზე შემდგარი ლურჯაის დაკრული ტორი...

აქ მძვინვარე მხეცთან შერკინებული ძაღვ-ლოვანი მოყმის დედა სამძიმრის სათქმელად მიდის ვეფხვის დედასთან იმ განცდით, რომ შვილმკვდარი დედის უსაშველო ტკივილს მიესაღებუნოს...

აქ მოსისხლე ტომთან შუამავალს აგზავნიან სასიკვდილოდ დაჩეხილი გმირის ამქვეყნად მოსაბრუნებელი წამლის სათხოვნელად და მტრის სწორუპოვარი დიდსულოვნების წყალობით უარით არ ბრუნდებიან ავადმყოფთან...

აქ ყველაზე უკეთ აცნობიერებენ და აფასებენ კაიყობის უზენაეს იდეალს...

აქ მკაცრ, მრისხანე ჭიუხებს თავად ჩაუცვამთ რკინის ბეგთარი და, ამავე დროს, პირიმზის უფაქიზესი და უნაზესი გრძნობა – სილამაზით აღვსილან...

აქ, როგორც თავად მწერალი ბრძანებს, „კაი ყმობის კოდექსი ჩაწერილია არა ხელისუფალთა დიდრონ დავთრებში, არამედ შინაგანად თავისუფალი ხალხის შეგნებაში“. აქ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც სხვა ფასი აქვს...

ამირან არაბულის წიგნი „ვაჟკაცობისას ამბობენ“ ავტორის სისხლხორცეული ეთნოკულტურული ყოფის სულიერ ამოძახილად გვევლინება.

მე მას ვუწოდებდი მოყვასის სიყვარულის მზით გამთბარ პოეტურ პროზას, რომელშიც ავტორის მაღალგონიერებითა და ეთნოფსიქოლოგიის სიღრმისეული ცოდნით, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით, მოთხრობილია გმირ წინაპართა საანდრეზო ამბები.

წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები თავადვე გვამცნობენ მწერლის სულისკვეთებას და ნაშრომის იდეურ მიზანსწრაფვას.

ავტორის პათოსი, გაჟღერებული ეპიგრაფში, მრავლისმეტყველი და ბევრის მანიშნებელია.

ეს წიგნი ეძღვნება იმ დიდ „ნაწილიანთა“ ჭირს, ტკივილსა და წუხილს, ვისთვისაც ვაჟკაცობა, საარაკო და ლეგენდადქცეული ზნეობრიობა, იგავმიუწვდომელ სიმაღლემდე აზიდულა, ვისაც თავად შეუწირავს სულიერ-ინტელექტუალური ძალები და ფიზიკური სიცოცხლეც კი უმაღლესი მორალურ-ზნეობრივი იდეალებისათვის.

თავად წიგნის სათაურიც ცხადად გვიცნობიერებს იმ მწერლისეულ კრედოს, რომლის მიხედვითაც სიკვდილზე უფრო მძიმე და საშიში სირცხვილიანი სიცოცხლეა წიგნში დახატულ ბინადართათვის.

მწერალი არაერთხელ უსვამს ხაზს და მკითხველსაც შეახსენებს, რომ ვაჟას გმირების მხატვრულ სინამდვილეს რეალური საფუძველი აქვს. ემპირიული ყოფითობა უდევს ღვრიტად გენიოსის მხატვრულად ცხადქმნილ პოეტურ სამყაროს.

გრწმუნდებით, რომ ალუდას, ალაზას, მინდიას და სხვა გმირთა ვაჟასეულ მხატვრულ სახეებს პროტოტიპები ჰყავთ ამ კონკრეტულ საზოგადოებაში.

ნაშრომის პერსონაჟთა ზნეობრივი სიქველე და კეთილშობილება ეთიკურ ნორმად ქცეულა ზევსურთა საცხოვრისში. თვით ვეფხვისა და მოყმის ბალადაში დედის ფანტასტიკურად ჰუმანიზებული სახე სრულიადაც აღარ წარმოჩნდება სახალხო მთქმელის უსაზღვროდ ამაღლებული ფანტაზიის ოდენ მხატვრულ განსახოვნებად. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს:

„მგლოვიარე დედა შვილის მზნეველის (ამ შემთხვევაში – ვეფხვის) დედასთან მიდიოდეს, მიიჩქაროდეს და მზად იყოს მისი მწუნარების გასაზიარებლად, ასეთი რამ მსოფლიოს ხალხთა სიტყვიერებაში არ მოიძებნება. შვილის მკვლელის მშობელთან თანაგრძნობის გამძლე ძაფის გაბმის ცდა და სურვილი ჩვენი ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილება“.

საგანგებოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მთაში, ამ უზადო ვაჟკაცობისა და სიჩაუქის სამეფოში, სადაც ხალხის სიმტკიცე და გამძლეობა აქვს რაინდს, „ჭეშმარიტ კაცობად“ არ ითვლება მაინცდამაინც კაცის კვლა. ერთი ხალხური ლექსის თანახმად: „ცუდი ვაჟკაცი გამოვა, მომკვლელი კაი ყმისაო“.

გმირთა ფიზიკურ ძალმოსილებას სულიერი შარავანდელი მოსავს. ამ საზოგადოებაში სიკვდილიც სხვა ფერთა და გააზრებით შემოდის. ის სიცოცხლის საზრისის მიმცემი და დამამშვენებელია, – როგორც დიდი ვაჟა ამბობს.

ვაჟას კაი ყმების დარად, ამირან არაბული წარმოაჩენს მთის ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალ, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის უცნობ სახეებს, რომელთა გმირობა, პიროვნული განუმეორებლობა და სიდიადე, მართლაც მარადღაპრულ სიცოცხლეს, სსოვნასა და სიყვარულს იმსახურებს. ასეთია თორღვა ძაგანი, რომელიც თავისი ბადალი მტრის ცხედართან ტოვებს საკუთარ ხმაღლ-მთიელი ვაჟკაცის სახელსა და ღირსებას.

სახელიანი სიცოცხლე და სიკვდილი თანაბრად მნიშვნელობს ხევსურთა მოდგმაში. კაი ყმა დატირებას იმსახურებს თვით მოკლულის ჭირისუფლისგანაც და, როცა ვეცნობით მოხვეე ქალის ნატირალს ძმის სიკვდილის გამო, აღარ გვიკვირს მისგან შიოლას მკვლელის ვაჟკაცობის აღიარებაც, რაც ისევ და ისევ ვაჟას პოემათა პერსონაჟების სამყაროსთან პოულობს ანალოგიას.

კაი ყმა იმ ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი ორიენტირის მატარებელია მტრის მიმართ, რომელიც შემდეგ იმპერატივად ვლინდება:

„ჩვენ ვამბობთ: კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“.

ხევსურთა ყოფიერებისა და სულიერების ღრმად მცნობი მწერალი ცალსახად აცხადებს: „მტერი, თუკი ის მართლაც ღვთის დანაბადია და არა ვინმე ტლუ, არსაითი სულდგმული, უფრთხილდება არა მარტო საკუთარ სიცოცხლეს, მოდგმასა და მონატეშარს, არამედ კაცთსწორი მოსისხლის გვარსა და შთამომავლობასაც“.

ამგვარი იგავიწმინდელი სულიერი სიმაღლე მხოლოდ მაცხოვრის შეგონებებში იკითხება. ეს არის უმაღლესი საფეხურის სულიერ-ინტელექტუალური გამოვლინება. და მით უფრო ფასეული და საოცარია, რომ ამ ზნეობრივ-ეთიკური ნორმით ხელმძღვანელობს თითოეული ნამდვილი ვაჟკაცი.

ისინი ჭეშმარიტად ღვთის შვილები არიან... „გულსუწადინოდ“ ემშვიდობებიან სამზეოს, მწარე თმენის დუმილით ითვლიან უკანასკნელ მაჯისცემას, ნანვით ეთხოვებიან თავის წილ ამქვეყნიურ სიხარულს, თუმცა, სულეთს საგზლად და ცხონებად მიჰყვებიან ამსოფლად ჩადენილ უშტ გმირობათა ელვარე ამბები.

ალუდა ქეთელაურის ტოლი და სწორია ის უსახელო ხევსური, რომელიც მოსისხლე ხიზირს ტყვიას არ ესვრის იმ მიზეზით, რომ ისე ქისტურს ველარავინ იცეკვებს. ამ ზნეობრიობისა და შინაგანი თვალთ შვრეტის შეფასებისთვის სიტყვაც კი უძღურია ალბათ.

რეალობის ფარგლებს სცილდება და ფანტასმაგორიულ ნისლში ეხვევა გაგა ბერდიშვილის საფალავნო ეპოპეა. ნათლის სვეტი ადგას გაგას დავლათიანობას. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც „კაცად-კაცობის უზენაეს კანონს ეთაყვანებოდა და საყმოს კონსერვატიული აზროვნებისთვის უცხო თავისი საქციელით ზნემაღალ გმირთა რიგში იმკვიდრებდა ადგილს“.

გამოხდა ხანი... გადაიქუხა მათმა სახელებმა, მიწამ შეჭამა მათი დევგმირული მხარ-მკლავები, მაგრამ მათი „ზნენი და საქმენი სამამაცონი“ დღემდე ამშვენებენ ქართული მთის ჰეროიკული ყოფის ისტორიას.

„ბერძნული ტრავედიების სადარ სიუჟეტებს“ უწოდებს მწერალი ამ წიგნის ნარატივს. სრულიად გადაუჭარბებლად, რაციონალური ხედვით აღიქმება ავტორის ეს შეფასება. მხოლოდ განცვიფრებასა და აღფრთოვანებას იწვევს თავად ამირან არაბულის, როგორც მკვლევრისა და მხატვრული სიტყვის ოსტატის „ხელოვანება“. მისი სული და გონი ღვთისგან ძალმოსილია ესოდენ კანთიელად, შთამბეჭდავად წარმოაჩინოს ის კოლოსალური მასალა, რომელიც ათეულობით წლის შრომის შედეგია.

ტექსტი შინაარსობრივად გამჭვირვალეა, მაგრამ მსოფლმხედველობრივად დატვირთული და შემეცნების სიღრმეებისკენ დაზიდული.


მოხრობელისა და მეცნიერის ალღოსთან, უდიდეს ერუდიციასთან ერთად, წიგნში გამოკვეთილია ავტორის, როგორც სიტყვის შემოქმედის, მაღალი ლიტერატურული გემოვნებისა და შინაგანი კულტურის მქონე ესთეტიკის, სახისმეტყველო პასაჟები. მწერლის ენა, გამდიდრებული ხევსურული დიალექტის მარგალიტებით, უაღრესად საინტერესოს ხდის სიუჟეტთა უწყვეტ ჯაჭვს და იმ პირთა თავგადასავალს, რომელნიც „ვაჟკაცობისას ამბობენ“.

ვისურვებდით, რომ ქართულ სამწიგნობრო ენაში სიცოცხლისუნარიანობით აღივსონ ნაშრომში გამოყენებული ისეთი კეთილხმოვანი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: უგლიმი, კურუმი, რამლი, ლუგუმი, მაღალი, დავლათიანი, სანიაზო, აბრუ და მრავალი სხვა, რათა მომავალ თაობას არ დაეკარგოს „ენა მდიდარი, მის ძალი, მადლი“.

ამირან არაბულის მხატვრული შემოქმედება ამ კუთხითაც არის საგულისხმო და უდავოდ ღირებული.

ამირან არაბულის ეს ნაშრომი მკითხველს ბინდისფერი სოფლის წარმავლობაზე ტკივილიან ფიქრს გაულრძავეებს და სახელიანი სიკვდილ-სიცოცხლის არსის მარადიულობაზე დააფიქრებს, რადგან, როგორც ავტორი ბრძანებს: „ადამიანის შორსმომავალ ფიქრს ხანმოკლე სამზეოს სამან-საზღვრები ეცოტავენ“.

პირი



წერილები



უადრესად საინტერესოა პოლ ვალერის (1871-1945) პირადი წერილები, გაგზავნილი საყვარელ ქალთან, ჟან ვუალიესთან. საკმაო ხანს გაგრძელდა მათი სიყვარული, მას შემდეგაც კი, რაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მთელი შვიდი წლის განმავლობაში იწერებოდა ეს წერილები, რომლებშიც

ეს უდიდესი მოაზროვნე სრულიად განსხვავებული ჩანს. ესაა უჩვეულო გრძნობით, გატაცებით, ზოგჯერ ვენებითა და ლტოლვით განმსჭვალული სტრიქონები. სიყვარული, სულთა და სხეულთა ურთიერთშერწყმა სხვა სიბრტყეშია გააზრებული.

* * *

ისე მსურხარ, ისე ცხადად მჭირდება შენი ნახვა, რომ წავალ, შენს კარს ვნახავ, დიდს.

ამ საღამოს ორი რამით ვიყავი შეპყრობილი, ორი რამ მახვევდა თავბრუს: ერთი რომ, ძალიან მტკიოდა თვალი, ცალკე შენ მიბნევიდი თავგზას, შენი სილამაზე. ჩემზე ასეთი გავლენა არავის მოუხდენია. არც კი იცი, რას ნიშნავს, შენ რომ ვერ გეფერები...

შენ ამაზე წარმოდგენაც არ გაქვს. ასე ამბობდი, ათი წლის მერე სიყვარული აღარ არსებობსო. ნეტავ როგორ გგონია, ახლა უფრო მეტად მიყვარხარ თუ ნაკლებად, ვიდრე ადრე, ან ცოტა ხნის წინ? მე გგონია, ვშიშობ, თანდათან უფრო მეტად. იფიქრე, რომ ესაა შენი განდიდება. უშრეტია შენი სათნოება, შინაგანად მიჰყრობ. ჩემთვის ეს იმას ნიშნავს, რომ იყო და არის ერთგვარი ჭეშმარიტება, რაღაც არსებითი ამ სიყვარულში. არც კი ვიცი, რა — ალბათ, თავისებური მისტერიაა, ერთგვარი უკიდურესობა, სინაზე, ოღონდ გაურკვეველობაც. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი პირველი ურთიერთმიზერა გახდა ყველაფრის მთქმელი და ყველაფრის შემძლე.

ხომ იცი, ჩემო სიყვარულო, როგორ გეტრფი. ზოგჯერ მიჭირავს შენი თავი, შუბლს გიკოცნი, ალტაცებული იმით, რაც მის შიგნითაა, რაც ხშირი თმის მიღმაა, იმ თვალებს მიღმა, მე რომ გიხუჭავ ტუჩებით.

განსაკუთრებული ხარ, რადგან სხვა ფორმა გაქვს, სხვა მომხიბვლელობა, გონება გიჭრის. ხომ ხვდები, ყოველდღე არ მოგწერდი, რომ სწორედ ყოველდღე არ ვფიქრობდე, თითქოს ჯერაც არაფერი მეთქვას... თუმცა ეს აბსოლუტურად ადასტურებს იმას, რომ რაც უფრო მეტად მიყვარხარ, მით უფრო მეტად მიყვარხარ, მით უფრო მეტად ალაგზნებ ჩემს მოაზროვნე, შმაგ არსებას. შენ ჩემთვის ის არ ხარ, რაც სხვა სხვისთვის. სხვას არავის შეუძლია სატრფოს ფიქრთა იღუმალ კუნჭულებში, სხვას არავის ჰქონია ცნობისწადილი, რა ხდებოდა ქალის თავში.

ახლა გვიანია. ბარათს შენს სახლში მოვიტან. ათასიდან ერთი შანსია, რომ კარებთან შეგხვდე. რა საამო და რა მტანჯველი იქნებოდა შენი ნახვა. ეს იქნებოდა არაფერი, მე კი მსურს ყველაფერი.

სამშაბათი

* * *

ნეტავ ახლა სად ხარ?

ამ საღამოს ისეთი დაღლილი ვარ, მკვდარივით ვარ. საშინელი კვირაა; დღევანდელი დღე კი — მომაკვდინებელი, თუმცა ერთგვარი აპოთეოზით მთავრდება. ლექცია არასდროს მომჩვენებია ასე ნერვიულად საშიში... არაფერი მქონდა სათქმელი. სხეული თითქოს ნაწილ-ნაწილ მეშლებაო. ჯერ მომქანცველი მგზავრობა კოლმარში, მერე — უკან ზედმეტად გადახურებულ ვაგონში მთელი შვიდი საათი; მანამდე კი ძალიან შემცივდა, გარეთ საშინელი ყინვა იყო; თან ლექცია და მოხსენება საფარში... მერე ეს ახალი ამბები. ყოველდღე ჩვენი ერისთვის პანჩურების რტყმა. ეს წყველი ერი, ყველაზე ბრიყვი ამ ქვეყნად, ყველაფერი რომ ჰქონდა და მხოლოდ ამ ყველაფრის დაკარგვა ისწავლა. როგორ მაცოფებს ეს ყოველივე.

ახლა ეს თაიგული... ამ სულელ ინგლისელებთან ერთად ყოფნა...

მაპატიე... შეშლილი ვარ, გადაღლილი, გაბრაზებული და თან დარცხვენილი.

ჩემო ძვირფასო, ამ საღამოს როგორ ძალიან მჭირდება. „მჭირდება“, ეს ხომ სურვილზე გაცხილებით მეტია. სულ სხვა რამაა. ვგრძნობ, რომ შენზე ფიქრი მხოლოდ უზარმაზარი ტანჯვაა. მინდა დავივიწყო ვინ ხარ, ვინ იყავი და რა იყავი ჩემთვის. მიჭირს შენი ყოფნა-არყოფნის გადატანა.

ისაც კი არ ვიცი, ეს ბარათი სად გამოვაგზავნო, ან რამდენ ხანში მოაღწევს შენამდე.

თუ გინდა, დაარქვი ამას „სიყვარული“. თუმცა მე უფრო სხვა სიტყვა გგონია შესაფერი.

შენ კი არხეინად მიჰყვები შენს გზას. ვერც ჰიტლერი, ვერც ვინმე სხვა ვერაფერს გააწყობს ტარუდანტის წინააღმდეგ. მშვენიერია, იმის იმედი მაინც მაქვს, რომ ეგ ძვირფასი თვალები მეტისმეტად აგეგნება რაღაც-რაღაცებით. ჯანმრთელობას განსაკუთრებით გაუფრთხილდი. წყალი ძალიან მაშინებს. აუცილებლად აადლე ხოლმე და ერიდე სასტუმროების მინერალურ წყლებსაც.

ლამე მშვიდობისა... ვინ იცის, სად გძინავს ამაღამ, თავს სად დადებ, ან სად გაიწვდი ჩემს გრძელ ფეხებს, რომელთაც მოცალებობისას მხოლოდ ოცნებათუ დაეუფლება ხოლმე...

8 თებერვალი. 1939 წ.

* * *

ძვირფასო, უძვირფასესო.

როგორ მაგიჟებს შენზე ფიქრი. ვამბობ, „მაგიჟებს“-მეთქი, რადგან ეს სრულიად არაა ნორმალური, ეს უკვე აკვიატებაა.

ამ დილით ავადაც კი გამხდა; შენ გხედავდი, გეხებოდი, ოღონდ არა სექსუალურად. ისე ცხადად მჭირდებოდა შენი ხელები, მკლავები, მსურდა მოგხვეოდი, მომხვეოდი, შემესუნთქე, შენთან ერთად მესუნთქა.

ეს, უეჭველად, ნერვიული აშლილობის ბრალია. ასე მგონია, ჩემი არსების სიღრმეებს დაამშვიდებდა სინაზის მორევი, სახელად „შენ“, ეგ უფაქიზესი მშვენება დაუბრუნებდა მას ძველ სიმშვიდესა და გონების სიცხადეს.

მაპატიე ეს სულელური გულწრფელობა და გულის გადაშლა... მაპატიე, რომ გაწუხებ, რადგან ვგრძნობ, დაკავებული ხარ ახალი გასართობით, შენი საქმეებით, წვრილმანებით, თან წარმომიდგენია ამ სეზონის პარიზი მთელი თავისი სიამოვნებით. მეც ვლაგდები. მაგრამ, ვაგლახ, ჩემს მარტობას ვალაგებ, გადაქანცულობისას მოსულ ამაო აზრებს. როგორ მეშინია შენი დაბრუნებისა, თუმცა მაინც აქ ვდგავარ, შენს სურათთან.

ორშაბათს იქნებ რამე შეეცვალო, მარსელსა და კასიში წავალ რამდენიმე დღით. ჩემს მისამართს მოგცემ.

შენი წერილები უაღრესად გულთბილია, მაგრამ თითქოს ისე სწრაფად ნაწერი...

ვიცი, ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ წარმოიდგინე, როგორი შეგრძნებაა შენში განზავებული ამხელა სიყვარულის განცდა.

გაიგე, რომ არის ერთი დიდი გული და ის მაწერიანებს ამ ყველაფერს, განა მე ვწერ. ჩემს თავს ვუკრძალავ კიდევ წერას, მაგრამ ვერაფერს ვაწყო.

როგორ გუნდა გაგაგებინო ის, რაც თავადაც არ მესმის.

ანდა რა საჭიროა გაგებინება.

7 ივნისი. 1939 წ.

* * *

შენ მიძღვენი ჩემი ცხოვრების ყველაზე საამო, უმშვენიერესი საათები. ვფიქრობ, ჩვენ შორის

წარმოიშვა უაღრესად დახვეწილი, ჰარმონიული ურთიერთობა. ეს იყო უიშვიათესი რამ. ნელ-ნელა მტკიცდებოდა და მყარდებოდა მსგავსი სულების, სხეულებისა და გონების თრთოლა. მართლაც, იმ დღიდან, რაც ერთმანეთი ვნახეთ, მე შევიგრძენი ეს გამორჩეული და უჩვეულო შენმატკბილება თანდათან როგორ იპყრობდა ჩემი ცხოვრების სუბსტანციას.

1940 წ.

* * *

ტანჯვა-წამების სამი მეოთხედი განვლილია. დანარჩენი კი მასთან ერთად, ვინც...

თითქმის საათნახევარი დამჭირდა, რომ ის ორი წინასწარმეტყველება დამევიწყებინა. ეს დროც თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა. რა საშინელება ამ ხალხის არტისტობა. ჯერ ხელით გამსინჯა, მესაუბრა წყლულებზე და ამის შემდეგ პოეზიაზე და მხატვრობაზე მოისურვა საუბარი.

საშინელმა ტკივილებმა დამრია ხელი.

ეს შობს ლექსებს... ვაგლახ, ასე შთამაგონებს ტანჯვა. ორ სევას შუა ვარ მოქცეული, მოხდეს რაც მოსახდენია. შენ ამ ლექსებს არ გიგზავნი, ძალიან მწარეა, სასტიკი, ადგილ-ადგილ ძალიან რეალისტური, უღმობელი... უფრო ცუდი ის არის, რომ ფონად უდიდესი სინაზე გასდევს, ეს კი შხამის ამოუწურავი წყაროა. აი, რასაც ჩემში დაკვირვებდევარ: ესაა მეტისმეტად უცნაური გრძნობა. თუკი წარმოვიდგენ, ან შევეცდები, წარმოვიდგინო, რომ შენ ჩემთვის სულერთი გახდი, რომ შენ ჩემთვის უიარალო მოგონება ხარ, რომ შემიძლია შენზე საუბარი ჟრჟოლის გარეშე მოვისმინო, ან თავისუფლად ვიფიქრო რაღაცებზე ისე, რომ შენ აღარ შემიტოვო გული და აღარ გამომიშრო ყელი და ა. შ. უკვე სხვა ტკივილი წარმოიშვება – შენით აღარ ტანჯვისა. რა უჩვეულოა. ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო დიდზე დიდი მოუშუშებელი ჭრილობების შემდეგ. არის ამაში რაღაც. ამას მიანიშნებს სული.

შეგიძლია, ამით გაზომო, რამდენად ღრმია წუხილი. ან შეგიძლია იფიქრო, რომ ის არც არსებობს.


არ ვიცი, გჭირდება თუ არა ახსნა, რა სერიოზული დარტყმა მომადგა. ახლა ხომ ხედავ, ჩემი ცხოვრება რამდენად იყო განმსჭვალული შენით. მე მთლიანად, მთელი ჩემი გრძნობებით მიმართული ვიყავი სათაყვანო არსებისკენ. ზოგჯერ კითხვა მიჩნდება, თუ წარმოიდგენდი მაინც, რომ ასეთი შეპყრობილი ვიყავი. სწორედ ეს კითხვაა ჩემთვის უმთავრესი. და იცი, რატომ? უმთავრესი? აქეთკენ მივყავარ: ვინ ხარ შინაგანად? ამის შემდეგ კი ჩნდება კითხვა: თავად რას ფიქრობ შენზე?

ახლა კიდევ ერთი სატანჯველი გამიჩნდა, არ ვიცი, შევძლებ თუ არა ფოსტაში წასვლას.

27 მაისი. 1945 წ.

თარგმნა ქეთი კოკოზაშვილმა

მანქანა მოხანა ხაზი



მალექ რაჰიმი (რამიშ-ვილი) ათასვარამგამოვლილი ფერეიდნელი ქართველია, რომელსაც დღე და ღამე საქართველოზე ფიქრით და ნატვრით არ ეძინა. 85 წლის პოეტს და მწერალს ფერეიდნელი ქართველების მემკვიდრეობა მოიხსენიებენ.

ახლაზან იგი საქართველოში იმყოფებოდა მეუღლესთან ერთად და უცრემლოდ ვერ მოუსმენდით მის ნაამბობს ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაზე, მათ ძნელბედობით აღსავსე გზაზე...

სრულიად ფერეიდანის მხარის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა და ახალგაზრდობის წლები ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმში სიარულს მოანდომა, რათა როგორმე ყველა წყაროსთვის მიეკვლია, სადაც კი ქართველის გვარი და სახელი იყო ნახსენები... შემდეგ ერთმანეთს ადარებდა ზებრ-სიტყვიერ და ქართველ მემკვიდრეთა ჩანაწერებში გადმოცემულ ისტორიებს, რომ ქართველთა ცხოვრების რეალური სურათი დაეხატა.

მან ციხემთის სისხლიან და ტრავიკულ ისტორიას სპეციალური წიგნი მიუძღვნა და დიდი სურვილი აქვს, რომ ეს წიგნი ქართულად ითარგმნოს. ამბობს, რომ ამ ისტორიაზე ფილმის გადაღებაც შეიძლება და იქნებ ქართველი კინემატოგრაფისტები დაინტერესდნენო.

მალექ რაჰიმის მეორე წიგნი „ირანელი ქართველები“ ყველაზე რეალურად ასახავს ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებას, ადამ-წესებსა და ისტორიას. მოხსენიებულია თითქმის ყველა ქართველი მოღვაწე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ფერეიდნის და საქართველოს დაახლოებაში. მას ეკუთვნის ასევე წიგნი „ირანისა და ქართველების ურთიერთობა“.

საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს საზოგადოება „ფერეიდანის“ წარმომადგენლებმა შუამდგომლობის თხოვნით მიმართეს თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – ჯაბა სამუშიას, მალექ რაჰიმის ოთხი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით.

როგორც მათ განაცხადეს, აღნიშნული ლიტერატურა ირანში სპარსულ ენაზე გამოიცა და ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებასა და ისტორიას ასახავს.

მწერლის ოცნებაა, მისი ოთხივე წიგნი ქართულად ითარგმნოს და საქართველოში წაიკითხონ.

როდესაც ეს ამბავი ჩვენს შესანიშნავ პოეტს და მთარგმნელს ნომადი ბართაიას მოუყევი, მან ოპერატიულად თარგმნა მალექ რაჰიმის ერთი ლექსი „ხოტბა ფერეიდუნშაჰრისა“ სპეციალურად ჟურნალ „ანეულისთვის“, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ნომადს, მკითხველს კი ამ ლექსს ვთავაზობთ.

თამარ შაიშველაშვილი

ხოტბა ფერეიდუნშაჰრისა

(წიგნიდან – „გულის საიდუმლო“, ისფაჰანი, 2008)

აღმატება ყოველგვარ ძალას აღწერა შენი სილამაზისა,
ან ვინ აღწეროს ნიავი დილის და ბუღბუღების გალობა შენი.
ქალაქი კოხტა, საამო ჰავით, შინ არ გაჩერებს, გარეთ რომ გიწვევს,
ქალაქი წინსვლის, განვითარების, კულტურისა და კეთილდღეობის.
რა საამოა, ო, რა ტკბილია, გაზაფხული და ზაფხული შენი,
ხოლო ზამთარში, ყინვა და ქარში, ჩალულუნებულ სახლებში ყოფნა.
რა თაღწარმტაცად მოედინება სარაბის მთიდან ყინულის წყალი
და გაზაფხულზე მის შემოგარენს ო, რა საამოდ ელამუნება.
ან რა ლამაზად მიმოფანტულან ყაყაჩოები ლილოჭრელოზე.
ყვავილები კი როგორ ქარგავენ ნაირფერებად ფერდობებს მთისას.
ღვთის წყალობაა ფოშქუჰისა თუ, რუბარუსა თუ ნიზანის ტყენი,
მთა შაჰანისა, ათასნაირი ბალახითა და ყვავილით სავსე.
ანდა კაშხალი პიტნოვანისა და წყაროები დარბანდის ცივი,
ან სამალავი ციხე მეფისა – გამოქვაბული ეშქაფთ თელესი.
ან ჰაშთადის მთა ასე ლამაზი და ათეშქადე კიროს მეფისა,
ან მთა ფარდუნის თვალისმომჭრელი და თანგე ჰანა ყვავილოვანი.
ქოთანის მთები გასაოცარი, გულისწარმტაცი თავის გვირაბით,
ვამლოვანში კი არაფერი სჯობს კაშხალის პირას სიცხეში ყოფნას.
რა შეედრება ან ქარუნის წყალს ო, მიმდინარეს ისპაჰანისკენ,
და ანდა კიდევ თორეზის კაშხალს, ულამზესი თავისი ხედით.
სოკო, რევანდი და ნიახური რამდენიც გინდა, იმდენი არის,
დახატულია ო, მერე როგორ ხალიჩა მიწის ფერებით მისით.
გაზაფხულობით არეულია აქ ერთმანეთში ფერები როგორ
და ყველაფერი, თვალისმომჭრელად, გახვეულია ფერებში ცისა.
ხარ კურთხეული სამოთხე მართლა, მიმოქარგული ვარდ-ყვავილებით,
ისე კარგია აქ ყველაფერი, ლამის ზღაპარში მგონია თავი.

სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართაიამ

„ჩემი მუზა საქართველოში დარჩა“

თამარ შაიშველაშვილს ესაუბრა ელისო წიკლაური

4 წლისამ პირველი „სერიოზული“ ნამუშევარი დახატა. სკოლის პერიოდში, უინტერესო გაკვეთილზე, მერხში ცარცის ნატეხი აღმოაჩინა და თვითონაც არ იცის, რატომ, ქინძისთავით მასწავლებლის პორტრეტი დახატა. 17 წლის ასაკში უკვე სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა, სადაც არაჩვეულებრივი მეგობრები და პროფესორ-მასწავლებლები შეიძინა.

მერე ისე მოხდა, რომ სამშობლოს დატოვება მოუწია. უკვე 20 წელზე მეტია, ნიუ-იორკში მოღვაწეობს. ათასზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, რელიეფური ნამუშევრები და ქანდაკებები შექმნა.

ამბობს, რომ სიმორის მიუხედავად, წუთით არ უცხოვრია უსამშობლოოდ.

ემზადება სერიოზული გამოფენისთვის და საქართველოსთვის ორ დიდ პროექტს ამზადებს. – მხატვარი ელისო წიკლაური.



– დავიბადე „ზემელზე“ (ახლა იქ ფოსტის შენობა დგას), ეგრეთ წოდებულ იტალიურ, მრავალეროვან ეზოში, სადაც სითბო და კეთილგანწყობა სუფევდა. მე უფრო ოთახის ბავშვი ვიყავი და იშვიათად ჩავდიოდი ეზოში, მაგრამ ეზოს ბავშვებთან დღემდე ვმეგობრობ. 7 ნოემბერსა და 1 მაისს, მთელი ეზოს ბავშვები ჩვენს ავიანზე ვიღებდით აღლუმს.

დედა პროფესიით პედაგოგი იყო, მაგრამ შვილები რომ შეეძინა, აღარ უმუშავია. მამა – იურისტი იყო, ჩემზე ბევრად უფროსი დები მყავდა და ყოველთვის ზრუნავდნენ ჩემზე. განსაკუთრებით – უფროსი და თინა, რომელიც ჩემი მეორე დედა იყო. ძალიან განსხვავებულები ვიყავით და პროფესიებიც განსხვავებული ავირჩიეთ. თინა ჟურნალისტი იყო, ტელევიზიაში რედაქტორად მუშაობდა. დინარა კი ინჟინერი, უზომოდ შეყვარებული თავის საქმიანობაში. ალბათ, ამიტომაც გახდა დარგის საუკეთესო სპეციალისტი მთელ კავშირში.

– ბავშვობიდან ხატავდით...

– 3 წლისა უკვე დამოუკიდებლად ვკითხულობდი წიგნებს და პარალელურად ვხატავდი, მაგრამ პირველი „სერიოზული“ ნამუშევარი 4 წლის ასაკში დავხატე. ეს იყო კინოთეატრ „სპარტაკში“ ჩემი პირველი ვიზიტის შთაბეჭდილება. ფილმი არ მახსოვს, მაგრამ რომ დაებრუნდი, მთელი კინოდარბაზი, სცენა დავხატე, ეკრანზე ფილმი გადიოდა, დარბაზი რიგებით და სკამებზე მსხდომი ხალხით, იარუსი, შემოსავლელი კარები კაპელდინერით, გამო-

სავლელი გზით და ნაყინის გამყიდველით. ახლა რომ ვუყურებ ჩემს ნამუშევრებს, ვხვდები, რომ ხედავ და აღქმა თავიდანვე ადამიანში ჩადებული.

სკოლაში წასვლის შემდეგ, საერთოდ აღარ ვხატავდი. მეცხრე კლასში, უინტერესო გაკვეთილზე, მერხში ცარცის ნატეხი აღმოვაჩინე და მეც არ ვიცი, რატომ, ქინძისთავით მასწავლებლის პორტრეტი დავხატე. ბავშვებს ნამუშევარი მოეწონათ, მე – პროცესი და აქედან დაიწყო ყველაფერი.

მერე ხატვა დავიწყე, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორი წელი სხვა აღარაფერს ვაკეთებდი, მხატვრობაზე მაინც არ ვფიქრობდი. იმდენად მიუწვდომლად მიმაჩნდა, ვერც კი წარმომედგინა.

აღმოსავლურ ენებზე ვფიქრობდი ჩაბარებას. მაშინ რეპეტიტორები არ იყო და ჩემები სულ მეუბნებოდნენ, ნეტა, როგორ უნდა ჩააბარო, ხატვის მეტს არაფერს აკეთებო. სკოლას ვამთავრებდი, მაისის ბოლო იყო, რომ დედას ძმისშვილმა, რომელიც ჩემს დებზეც უფროსი იყო, ჩემი ნამუშევრებიანად გადამიყვანა „ნიანგის“ რედაქციაში (ჩვენი სახლის პირდაპირ), მეგობარ მხატვრებთან, დიმა ერისთავთან, პიკო ნიჟარაძესთან და ჯემალ ლოლუასთან (მაშინ იქ მუშაობდა ყველა, მერე კი ჩემი მეგობრები გახდნენ).

დაკვირვებით უყურეს ნამუშევრებს, მერე ბოდიში მომიხადეს, ცოტა ხნით გაგალთო. ხუთ წუთში დაბრუნდნენ და ანზორმა მითხრა, გადაწყვეტილია, აკადემიაში აბარებო. სულ ერთი თვე მქონდა

მოსამზადებლად. ბატონ გრიშა ჩირინაშვილთან მიმიყვანეს. ის ერთი თვე, დიდი დანი საღამომდე მის სახელოსნოში ვიჯექი, მერე კი სახლში ვაგრძელებდი გვიან ღამემდე მუშაობას. გამიმართლა და იმავე წელს ჩავაბარე.

– სტუდენტობა...

– 17 წლის ჯერ არ ვიყავი, აკადემიაში ჩავაბერე, რაც დიდი იშვიათობა იყო იმ პერიოდში (ხალხი, 5-10 წელი აბარებდა). არაჩვეულებრივი გარემო იყო, ახალი შენობა ჯერ არ იყო აშენებული და ყველა ერთად ვიყავით ძველ აკადემიაში. ვინმეს გამოყოფა მიჭირს, საოცარი თბილი და მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ოჯახივით ვიყავით. დამწყები სტუდენტები, მაღალი კურსელების ხატვასა და ფერწერას ვესწრებოდით, საუკეთესო პედაგოგებისგან და ერთმანეთისგან ვსწავლობდით. არ შემეძლია, არ გამოვეყო ჩემი პედაგოგები და შემდგომში, უახლოესი მეგობრები – ალდე კაკაბაძე და რეზო იაშვილი. არაჩვეულებრივი შემოქმედები და საოცარი ადამიანები! ოჯახებით ვმეგობრობდით და ახლა მათ ვაჟთან და მის ოჯახთან ვაგრძელებ მეგობრობას.

– რომელი მხატვრები გიყვართ?

– განსაკუთრებით მიყვარს მიქელანჯელო, მოდილიანი, ვან გოგი და პიკასო, რომელიც ცალკე ფენომენია.

– უკვე ოც წელზე მეტია, ნიუ-იორკში ხართ და ჩაკეტილ ცხოვრებას მისდევთ, რატომ?

– რა გითხრათ, აქტიურობით არც მანდ გამოვიჩნეოდი. ისე წამოვედი საქართველოდან, სახელოსნო არ მქონია (არც მომცეს, არც მომიცა და არც ამაშენებინეს), მაშინ როდესაც ბევრს რამდენიმე სახელოსნო აქვს და არც ერთი ნამუშევარი.

– ორიგინალური არქიტექტურული პროექტები გაქვთ, ასევე ფერწერული, გრაფიკული, რელიეფური ნამუშევრები და ქანდაკებები... ამ ნამუშევრების უმრავლესობა ალბათ უცხოეთში შეიქმნა...

– ძალიან ბევრი ნამუშევარი მაქვს და მათი უმრავლესობა საქართველოში შეიქმნა. აქაც ვმუშაობ, მაგრამ ისე ინტენსიურად ვერა. ჩემი მუშა საქართველოში დარჩა ჩემი ნამუშევრები, ძირითადად, მონუმენტურია და დიდ მასშტაბს მოითხოვს. ამის საშუალება კი, არც მანდ მქონდა და არც აქ. სიტყვა „მონუმენტურში“, ხშირად პროფესიონალებიც კი ზომას გულისხმობენ, რეალურად კი ეს, უპირველესად, ფორმას გულისხმობს. შეიძლება სულ რამდენიმე სანტიმეტრიანი ქანდაკება მონუმენტი იყოს თავისი ფორმებით, დიდი ზომის ძეგლი კი – დაზგური (რაც, სამწუხაროდ, ხშირი შემთხვევაა).

– ძალიან თბილი ენერგეტიკით დამუხტული ნამუშევრები ფილოსოფიური სიღრმით, აზროვნებით

და ორიგინალური ხედვით გამოირჩევა... ოთხთავი... ღვთისმშობელი, იესოს ჯვარცმა... მითოლოგიური გამოსახულებები... როგორ ქმნით ამ ნამუშევრებს? როგორ მოდის შთაგონება?

– როგორც ვითხარით, სამი წლიდან ვკითხულობდი და ამდენად, დიდი ინფორმაციის გარდა, დიდი სულიერი ზემოქმედებაც მივიღე. რა თქმა უნდა, წინასწარი მონაცემიც იყო და ყველაფერმა ერთად მოიტანა შთაგონება. გარდა ამისა, შემოქმედებითი ინსპირაცია და თავად პროცესი ისეთი ილუმინალი და ამოუცნობია, რომ მის სათავეებთან მისვლა, თითქმის შეუძლებელია.

– „ელისო წიკლაური ის ადამიანი და ხელოვანია, ვინც ჩემი ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა... სულ მინდოდა თქვენი ნამუშევარი მქონოდა. უკვე მაქვს და დავმეგობრდით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის!“ – ეს თქვენი მხატვრობის თაყვანისმცემლის ფეისბუქსტატუსია.

– ჩემთვის ასეთი შეფასება ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩინ-მედლები და დიდი, ხშირად არაფრისმთქმელი, შაბლონური სტატიები.

საბედნიეროდ, განებივრებული ვარ ასეთი შეფასებებით. ორი შემთხვევა იყო (რაც მე ვიცი), რომ ჩემმა ნამუშევრებმა უიმედოდ დაავადებულნი განკურნა, რაც ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა. ისიც ხშირად უთქვამთ, რომ ჩემმა ნამუშევარმა წარმატება და ბედნიერება მოუტანა ოჯახს.

– რამდენი ნამუშევარი შექმნით და თუ ყოფილა საქართველოდან დაინტერესება? როდის გქონდათ ბოლო გამოფენა?

– ნამუშევრების რაოდენობა არასდროს დამითვლია, მაგრამ ათასზე ბევრად მეტი იქნება. საქართველოდან რამდენჯერმე მქონდა პერსონალური გამოფენის გაკეთების შემოთავაზება. მეუბნებიან, რომ საჭიროა, ახალგაზრდა თაობამ არ იცის ჩემი შემოქმედება. მართლაც, დიდი დრო გავიდა, ბოლო პერსონალური გამოფენა მხატვრის სახლის პირველ სართულზე მქონდა, რომელიც 9 აპრილამდე ორი კვირით ადრე დაიხურა. გამოფენამ დიდი წარმატე-



ბით ჩაიარა და გაგრძელება შემომთავაზეს. კიდევ კარგი, არ დავხარბდი, ერთი თვე საკმარისია, ხალხს ნუ შევაწუხებთ-მეთქი, ვუთხარი. ასე რომ არ მოექცეულიყავი, 9 აპრილს ყველაფერი განადგურდებოდა. კი ვფიქრობ გამოფენაზე, მაგრამ ალბათ, ჯერ აქ გავაკეთებ და მერე თბილისში.



– გიორგი ოჩიაური ერთ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. იგი აღნიშნავს, რომ ფსევდომონუმენტურიდან (კომუნისტურ ეპოქას გულისხმობს) ჩვენი ხელოვნება პირდაპირ უსაგნო ხელოვნებაზე გადავიდა და მალე ქართული სახვითი ხელოვნება წაიშლება, განსაკუთრებით ფერწერაში... იქვე იმასაც დასძენდა, დასავლეთში ფიგურატიული ქანდაკებების სპეციალისტები აღარ არიან. ჩემი მოწაფეები ახლა გადიან დასავლეთში, მონაწილეობენ სიმპოზიუმებში და ირკვევა, რომ მათ ადამიანური ქანდაკების ძერწვა აღარ იციან... თქვენი აზრი?

– სამწუხაროდ, ასეა. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს, ერთი ის, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის ამოიწურა ყველა მიმდინარეობა და მომდევნო თაობებმა ვეღარ შეძლეს მათი გზის გაგრძელება. არ ვიცი, ნიჭი არ ეყოთ, შემოქმედებითი მუხტი, სულიერი თუ წარმოსახვითი ძალა, თუ ძიებითა და შრომით დიდად არც შეუწუხებიათ თავი და იოლი გამოსავალი ნახეს. რამე რომ უთხრა, ან ჰკითხო, პასუხი მზადა აქვთ – მე ასე ვხედავ, თქვენ უბრალოდ არ გესმითო. ეს ძალიან კარგი მიგნებაა, რომელიც პირდაპირ ურტყამს ადამიანების თავმოყვარეობას. არავის უნდა ჩამორჩენილისა და გაუგებარის პოზიციაში ყოფნა. ამდენად, ყველა აღფრთოვანებულია და გიჟდებიან თანამედროვე ხელოვნებაზე!...

მეორე მიზეზი კი, ხელოვნების კომერციალ ქცევა გახდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ხელოვნების დაკნინებას. ახლა, იმისთვის, რომ მხატვარი იყო, საერთოდ არ არის საჭირო რაიმე აკადემიური, ან თუნდაც ელემენტარული პროფესიული ცოდნა.

სანაგვიდან ამოღებული ნებისმიერი ნივთი, თუ მას საგამოფენო სივრცეში მოათავსებ, უკვე ხელოვნების ნიმუშია. ასე მსჯელობენ დღევანდელი ხელოვნებათმცოდნეები. ამის საპასუხოდ, ერთ აქციას ვაპირებ და ვნახოთ, რა გამოვა?...

– რევაზ ინანიშვილი თქვენი უახლოესი ადამიანი იყო და ოჯახებით მეგობრობდით...

– რეზოსთან და მის ოჯახთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა. გასახსენებელი ბევრია, მაგრამ ერთს მოგიყვებით.

იტალიიდან რომ დავბრუნდი, რეზო საავადმყოფოში დამხვდა. რა თქმა უნდა, მაშინვე გავიქეცი მის სანახავად. შთაბეჭდილებებს მეკითხებოდა, მერე მკითხა – ამბობენ, იტალიელები და ქართველები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და მართალიაო? ვუთხარი, რომ შორიდან, იერთ ვგავდით, მაგრამ ახლოდან ძალიან განვსხვავდებოდით. დაინტერესდა, რა სხვაობააო? თვალები-მეთქი, ვუთხარი, რაც ყველაფერს ცვლის.

გაოცდა და მერე ერთი ამბავი გაიხსენა: გავრაში, მწერალთა სახლში ვისვენებდით, ისრაელიდან იყვნენ ცოლ-ქმარიო, იმათაც ეს კითხვა ჰქონდათ, რითი განსხვავდებოდნენ ქართველები თუნდაც იტალიელების, ესპანელების თუ ებრაელებისგანო და მიხვდნენ, რომ ეს თვალები იყო. მერე დასდევდნენ ხალხს ქუჩაში, თვალებში უყურებდნენ და ეკითხებოდნენ, ქართველი ხარო და ბოლოს, უშეცდომოდ არჩევდნენო. მაშინ ძალიან გამიკვირდა, მაგრამ არ დავფიქრებულვარ და ახლა შენ მითხარიო.

– დიდი სამეგობრო გაქვთ...

– საბედნიეროდ, საუკეთესო მეგობრები მყავდა და მათი უმრავლესობა ჩემზე ბევრად უფროსი იყო. სამწუხაროდ, რამდენიმეა შემომრჩა და სანთელივით შევცქერი. ჩვენი სახლი ძველი სალონივით იყო და ყველა ჩვენთან იკრიბებოდა. არაჩვეულებრივი საღამოები გვქონდა, ხან თითქმის დილაამდე ვისხედით. იყო საუბრები საქართველოზე, მის წარსულსა თუ მომავალზე, ზოგადად, ისტორიაზე, ხელოვნებასა თუ ფილოსოფიაზე და ეს ყოველივე შეზავებული იყო პოეზიითა და ტკბილხმიანი სიმღერით.

რეზოს გარდა, ვმეგობროდით ძმებ, ბეჟან და ჯონდო ბარდაველიძეებთან, მარლენ კიტიასთან და ვახტანგ გოგოლაშვილთან, მარლენისა და ვახტანგის პოეტური პაექრობა დილაამდე გასტანდა ხოლმე, ერთმანეთს ენაცვლებოდა ფოლკლორი, ქართული თუ რუსული კლასიკა, ახლო მეგობრობა ინოლა გურგულიასთან, ქეთი ჯაფარიძე ჩემი კლასელი იყო, ნუნუ დულაშვილთან და მანანა მენაბდესთან (დმერთმა დიდხანს მიცოცხლოს).

მხატვრებიდან განსაკუთრებულად ვმეგობრობდი ალდე კაკაბაძესთან და რეზო იაშვილთან, დიმა ერისთავი და პიკო ნიჟარაძე, საბედნიეროდ, ისევ მყვანან,

ვმეგობრობდი მერაბ კოსტავასთან და ზვიად გამსახ-
ურდიასთან, დიდი მეგობრობა მაკავშირებდა მერაბ
მამარდაშვილთან. ასევე, დიდი ხნის მეგობრობა
მაკავშირებდა სალომე ზურაბიშვილთან და ჯანი
კამიასთან. ყველას ჩამოთვლა ძნელია.

მყავდნენ და მყვანან არაჩვეულებრივი მეგობრები,
რომელთაც ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს,
მაგრამ უკეთილშობილესი, მაღალი ინტელექტისა და
კულტურის ადამიანები არიან. რაც მთავარია, ეს
მეგობრობა არასდროს ყოფილა მხოლოდ პირადი,
ვმეგობრობდით ოჯახებით, ეს მეგობრობა დღემდე
გრძელდება და გადადის თაობებზე. მაშინაც კი,
როცა მეგობრები აღარ არიან, ვმეგობრობთ მათ
შვილებთან, შვილიშვილებთან და ისინიც მეგობრო-
ბენ ერთმანეთში.

**– თქვენს ნამუშევრებში საქართველოს დიდი
მონატრება იკითხება... როგორია შორიდან დან-
ახული თქვენეული საქართველო?**

– ვერ გეტყვით, რომ ნამუშევრებში საქართველოს
მონატრება ჩანდეს, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას
საქართველოსადმი მონატრებასაც ვერ დავარქმევ,
რადგან, ფიზიკური სიშორის მიუხედავად, წუთითაც
არ მიცხოვრია უმისოდ.

გათენდება თუ არა, კომპიუტერთან ვვხდები, რომ
გავიგო, რა ხდება საქართველოში. ყველაფრის საქ-
მის კურსში ვარ, ყველაფერს მტკივნეულად გან-
ვიცდი და პატარა სიკეთის გამოც ვხარობ. ერთი რამ
დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის ერთად-
ერთი პატრონი ჩვენ ვართ, მისი მოვლა-პატრონობა
მხოლოდ ჩვენი ვალა და ჩვენს გასაკეთებელს, სხვა
არავინ გაგვიკეთებს, არც ამერიკა და არც რუსეთი.

– გვიამბეთ ოჯახზე...

– გათხოვილი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ
ძალიან თბილი და მეგობრული ოჯახი მაქვს.
მყვანან ძალიან კარგი დისშვილი და სიძე, ორი
შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. საბედნი-
ეროდ, სავსე ვარ მათგან სიყვარულით, სითბოთი
და ყურადღებით, მიუხედავად იმისა, რომ ეკონო-
მიურად ჩემზე დამოკიდებულნი არ არიან. ამას
იმიტომ აღვნიშნავ, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრ
ქალბატონთან, რომელნიც წლებია გადმოხვეწილნი
არიან ოჯახების შესანახად, ჩემგან განსხვავებით,
ელემენტარული ადამიანური დამოკიდებულებაც კი
არ აქვთ საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებთან
და არავინ ეხვეწება უკან დაბრუნებას.

– სამომავლო გეგმები...

– ვემზადები სერიოზული გამოფენისთვის და
ვმუშაობ დიდი ფორმატის ნამუშევრებზე. მაქვს ორი
დიდი, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროექტი,
რომელიც დაფინანსებას თითქმის არ საჭიროებს.
იმედი მაქვს, ეს ჩამოსვლა შედეგიანი იქნება.

პოეზია

ანა ნიხაიაძე

თბილისის 83-ე სკოლის X კლასის მოსწავლე,
14 წლის



ცამ იცვალა ფერი

ცამ იცვალა ფერი, ცამ ფერი იცვალა...
ყველა აქ, ამქვეყნად, ყველა შეიცვალა,
ფოთლის ნაზი ჩრდილიც, ესეც შეინაცვლა,
გზაც კი წავიდა და შორს გადაინაცვლა.
ცამ ფერი იცვალა, ცამ იცვალა ფერი,
ასეთ ამინდებში მე ველარც კი ვმღერი.
ღრუბლის თეთრი ცვარი განდა ერთი მტკერი,
ასეთ სინისლეში არავის არ ველი.

ცამ იცვალა ფერი, ცამ იცვალა ფერი,
ნეტავ, ეს რა მოხდა, ვინ შეცვალა ერი?!
ასეთ ამინდებში მე ველარც კი ვმღერი,
ყველა შეიცვალა, ყველგან, ყველაფერი.
ცა ლურჯია კვლავაც, ცამ ფერი იცვალა,
ყველა ფიქრის კუთხე თითქოს შეიცვალა,
ლექსის გამიკვირდა, რომ გვერდი იცვალა,
ყველა აქ, ამ ქვეყნად, ყველა შეიცვალა.

* * *

რატომ დაფრინავენ ცაში თოლიები,
საით... ეს ღრუბლებიც, ვისთვის განიცდიან?
რისთვის შემიყვარდა ასე ლილიები,
ალბათ დედამიწაც სულში ჩაიჭია.

ნეტავ ღრუბლებს იქით, გაცვეთილი ცისკენ...
ცხელი ვარსკვლავები წამებს დაითვლიან.
ლექსის წერა მინდა, მაგრამ სულ შენ გიცქერ,
როგორც ფიქრები ფერს, ისე რომ იცვლიან...

ვხატავ მხოლოდ ცისთვის, ალბათ დამიცდიან,
ალბათ გამიგებენ არაუხსნელ ტკივილს.
მთები სიმარტოვეს წვიმად განიცდიან,
გაზაფხული მოაქვს მოულოდნელ ღიმილს.

თეთრ ნაკვალევზეც კი შავი ჩრდილებია,
ვიწრო ქუჩის ფილებს ჩუმად ავეყვები.
რადგან ძველ კუთხეში კვლავ ლილიებია,
ალბათ მეყვარება ისიც გამუდმებით.



თენდება... 13 ივნისი*

შესაძლოა, როგორ არა, ძალიან მნიშვნელოვანი მარტივად დაიწყო. მიაბიჯებდე ქუჩაში შენთვის, ნელა, ანდა ტრანსპორტით ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მიემგზავრებოდე... და ამ დროს, იქვე, მახლობლად იყოს „ის“.

გეგონოს, ეს დღე არაფრით განსხვავდება წინა დღეებისგან, თუმცა სინამდვილეში სულ სხვანაირად მოხდეს: გგონია, ჩვეულებრივად წვიმს და შენს გაცრეცილ პიჯაკსაც უბრალოდ აწვიმს. ფიქრობ, რომ ყველაფერი ისევე იქნება, როგორც იყო გუშინ ან რამდენიმე კვირის წინათ. ქვეყნად კი არაფერი ხდება „უბრალოდ“. ისე არ თენდება და არც ისე შემოდამდება, როგორც ადრე. ყველაფერი განსხვავებულია, გარდა იმ წვიმის წვეთებისა, მთლად რომ დაგისველა ძველი პიჯაკი. მთავარი კი აქ „ის“ არის: ქუჩის გადაღმა კაფეში გოგონა, რომელიც ღიმილნარევიად რაღაცას მშვიდად წერს თავის უბნის წიგნაკში და გარშემომყოფნი მისთვის შეუმჩნეველნი არიან.

„ხედავ მას?“ „კი“ „მაშინ რაღას ელოდები“ (ეს ფიქრებად ჩემში)

ყველაფერი სწორედ მაშინ დაიწყო: ქუჩა სწრაფად გადავირბინე და პირდაპირ ნაცნობი კაფეს წინ აღმოვჩნდი. არც კი მასსოვს, რამდენ ხანს ვიდექი მინის მიღმა სრულიად სველი, თუმცა ძალა მოვიკრიბე და შეგნით შევაბიჯე. გოგონა ფინჯანი ყავით ხელში იჯდა და მაგიდაზე მიმოფანტულ ფურცლებს დაჰყურებდა. თვალს გადაავლებდა ხოლმე და რამდენიმე წამის შემდგომ კვლავ განაგრძობდა წერას. ისევე შევჩერდი მის მახლობლად. გარშემო მიმოვიხედე და ფრთხილად მიუყახლოვდი. ახლაც კი მასსოვს ის ნაზი სურნელი, რაც მასთან მიახლოებისას ვიგრძენი. თითქოს მსგავსი სურნელი არც არასდროს მიგრძენია. ყველაფერი ძალიან ამაღელვებელი იყო, ახლაც კი ჟრუანტელი მივლის ამის განსენებაზე. მშვენიერი იყო. სქელი წაბლისფერი თმითა და ულამაზესი ლურჯი თვალებით, შორიდანაც რომ შეამჩნევდით... შეუძლებელი მისი ერთი ნახვით არ

შეგვარება იქნებოდა. იმ წუთებში ვიგრძენი ის, რაც მინდოდა მთელ თბილისს ეგრძნო. მსურდა მთელი ქალაქის გასაგონად მეყვირა, რომ „მე ის ვიპოვე“. ხომ შეიძლება ჩვენს თბილისშიც იხადებოდეს ისეთი სიყვარული, რომელიც ერთი შეხედვით გასულ საუკუნეებში გადაღებულ კარგ მელიორამულ ფილმს ჰგავს?! სწორედაც, რომ ასე იყო...

ვიგრძენი ის, რაც აფორიაქებს ადამიანის სულსა და გულს...

აღბათ გაგიჭირდებათ ამისი გაცნობიერებაც კი... თუმცა სწორედ მაშინ შეცდებით, როდესაც წარმოიდგენთ სიყვარულს, რომელსაც აღქმა საერთოდ არ სჭირდება. ის უბრალოდ უნდა იგრძნო და მორჩა. ამ ყოველივეს მისახვედრად კი სულ რამდენიმე წუთი გახდა საკმარისი, როგორც გრძნობა, რომლის მხოლოდ ცქერაც კი არ მყოფნიდა საკმარისად. არა და რამდენიმე მეტრის სიშორე, სიცარიელეს იწვევდა ჩემში და ეს სიცარიელეც დავძლიე.

– გამარჯობა.

– გაგიმარჯოს! – გოგონამ მშვიდი მზერით ამომხედა და კითხვის მოლოდინში რამდენიმე წამს მიყურებდა.

– შეიძლება? – მაგიდისკენ ხელით ვანიშნე და მანაც იმავე უესტით მის პირდაპირ დაჯდომის უფლება მომცა. თითქოს არც არაფერი. წამითაც არ გამოუხედავს ჩემკენ და საუბარი ისევე თავად განვაგრძე. – მე, ვიო ვარ...

– იცოდით, რომ... – გამიღიმა და... – ქალს შეუძლია მამაკაცის დაჟინებული მზერა მინის იქითაც იგრძნოს, მოუხედავად ან თუნდაც ქუჩის გადაღმა.

გამეღიმა და მივხვდი, ვისაც გულისხმობდა, თუმცა შეუმჩნეველად განვაგრძე:

– პირველად მესმის.

– სასიამოვნოა, ვიო. მე სალომე ვარ.

* * *

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ...

დღე: 13 ივნისი

დრო: 23:56

ყველგან წყალია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცა ჩამომემხოება თავზე. მგონი, მდინარე აღიღდა, არ ვიცი. გარშემო არაფერი ჩანს, გარდა ძლიერად მოვარდნილი ნაკადისა. ყველაფერი წყალს მიაქვს, მთლად ყველაფერი. ადგილზე სახლებიც კი არ დატოვა, დამიჯერებ?! ადამიანებიც არსად ჩანან. მხოლოდ მოგლეჯილ ხეებსა და მდინარეში მოტივტივე სახლებს ვხედავ. იქ, სადაც შორს კი, შენობის ფანჯარაში პატარა მოციმციმე სინათლეს გაჰყურებს და ისლავ იმედის ნაპერწკალი და ისიც ციმციმებს. თუმცა ბევრად შორს.

პანიკა არ არის, რადგან ადამიანები ჯერ არსად ჩანან, თუმცა საშინლად დამაყრუებელი ხმაურია. საკუთარი ხმა თავად არ მესმის, არამცთუ სხვას მივაწვდინო საშველად ხმა. ნამდვილად ცაც ჩამ-

ემსობა თავზე და მდინარეც ნელ-ნელა მაშორებს გარე სამყაროს. დავიკარგე, რადგან სიბნელეა. მეგონა, ძლიერი ვიყავ, თუმცა ვცდებოდი...

მეშინია, როგორც ერთ დროს მეშინოდა სიბნელის. სიცარიელის. ხმაურის. მარტოდ დარჩენის.

მეშინია...

* * *

13 ივნისამდე ცოტა ხნით ადრე.

- ეს ფოტოები რა არის?
- ფოტოს უკან სამახსოვროდ პატარა ციტატებს ვაწერ მეგობრებისთვის.
- ფოტოგრაფი ხარ? - ვკითხე მას.
- არცთუ ისე დიდი ხანია. უმეტესად მეგობრებს ვუღებ ხოლმე ფოტოებს და შემდეგ ასე ვაწერ...
- საინტერესოა.
- მიყვარს ეს საქმე.
- და შემდეგ ჩუქნი მათ?!
- კი, ისევ მეგობრებს.
- რატომ აქამდე ვერ შეგამჩნიე?
- ალბათ იმიტომ, რომ აქამდე ეს დღე არ გათენებულა. - წამით ამოხვედა და კვლავ გაძლიძა.
- ვფიქრობ ჩემთვის, ხედმეტად კარგი ხარ, იცი?!
- მგონი, აჯობებს ისევ გარეთ, მინის მიღმა დავდგე წვიმაში, როგორც უწინ - რაზედაც გაელიძა და...
- არა, იყავი. წვიმა მიყვარს, მაგრამ მანაც მენანები მისთვის.

ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ განსხვავებულ ადამიანს შევხვდი. იმდენად უშუალო და კარგი იყო, რომ წამითაც არ მინანია აქ შემოსვლა და მისი გაცნობა. სიძარითლე ვითხრათ, არც სხვა შემთხვევაში ვინანებდი ამ საქციელს. თვალები საოცრად უბრწყინავდა, როდესაც მის შემოქმედებაზე მელაპარაკებოდა, თან ისეთი ემოციებით ყვებოდა ამ ყველაფერს, რომ გენახათ, ალბათ, მაშინვე მიხვდებოდით, რატომ შეიძლება უყვარდებოდეთ ადამიანებს ერთი ნახვით. მისი ანთებული თვალები და ხელების ჟესტური საუბრით მოყოლილი ისტორიები კიდევ ერთხელ მარწმუნებდა კეთილი ადამიანების არსებობაში. თვალები... ეს ის თვალები იყო, რომელსაც შეეძლო სამყაროს გარდაქმნა ყოველივე მშვენიერისკენ. მასში ყველაფერი იმდენად წრფელი იყო, რომ წუთით ვიფიქრე, თითქოს, ის არც იყო ჩვენი სამყაროდან.

- შეიძლება, მეც რომ ვცადო?
- რას გულისხმობ?
- ეს ციტატები შენს ფოტოებზე...
- გინდა მათზე დაწერო?
- კი.
- კარგი, მაშინ ამოარჩიე, რომელიც გინდა, - მითხრა და ხელით ფოტოები ახლოს მომიწია. - და დაწერე ის, რაც გინდა.

- შენს ფოტოზე?

- თუ გინდა, იყოს ჩემს ფოტოზეც.

კალამი გამოვართვი და ბევრი არც მიფიქრია. გაკრული ხელით ფოტოს უკან სწრაფად მივაწერე: „მე შენ მიყვარხარ“ და კალამი დავდე.

- ესე იგი, გიყვარვარ? - გაელიძა.

- იმიტომ, რომ ეს დღეც გათენდა! - ვუთხარი მას.

- შემდეგ?

- შემდეგ ის, რომ თუ ოდესმე ამ უცხო მამაკაცის მიმართ რამეს იგრძნობ, პასუხი ისევ ფოტოზე მიაწერე.

- კარგი, - მოკლედ მიპასუხა და ფოტოები გვერდით დადებულ ჩანთაში ჩააწყო, - იქნებ ეს დღეც გათენდეს?! - ფეხზე წამოდგა და ფურცლებით ხელში, ღიმილნარევიად დამემშვიდობა.

* * *

კადრებად.

დრო: 00:37

მაცხოვრებლები სახლში არიან ჩარჩენილები და უკუნით წყვილია მხოლოდ მათი განწერილი ხმა მესმის. შეშინებული ბავშვის ტირილი მესმის... წუთით, როდესაც ფიქრობ, ღმერთი არ არსებობს, თუმცა გწამს სასოწარკვეთილი დედის ლოცვის ჩურჩული, რომელიც ცას ანგრევს და წყვილია მიღმა გადის, ხოლო საკუთარი ფანჯრის მიღმა უცხო ადამიანის მიერ ძლიერად ჩაჭიდებული ხელი, ეს ის იმედია, რომელიც უსაზღვრო რწმენამ მოიყვანა იმ ღამით შენამდე. ხალხის ხმა მესმის. მესმის ხმაური და ყვირილი, რომელიც კი არ მთრგუნავს, არამედ მახარებს მათი აქ ყოფნა. „მე აქ ვარ“ - ფრაზა, რომელსაც წუთის რამდენ მეათედ წამებში მოისმენდით, ვერც კი გეტყვით.

„აქ ბავშვია“. ყველანი ერთ მუშტად შეკრულნი ჯაჭვად ერთმანეთს სახლს და ასე ერთმანეთის თანადგომით ნელ-ნელა გამოჰყავდათ დატბორილი სახლებიდან ადამიანები. ისინი ყველაზე ადრე მოვიდნენ აქ. გადარჩენის თითქმის აღარც გვჯეროდა, როდესაც მოულოდნელად ქუჩის ბოლოდან ფანრების კაშკაშა სინათლემ მოგვჭრა თვალი. სინათლეს მალე სიცოცხლისა და გადარჩენის მომასწავებელი ხმაურიც მოჰყვა, რომელმაც ჩაახშო ხმაური ბობოქარი მდინარისა და მისი მოვარდნილი ნაკადის. ხალხის გარკვეული ნაწილი უკვე სამშვიდობოს იყო, თუმცა ბევრნი კედლებს მიღმა იყვნენ გამომწყვედულნი. წყალი სწრაფად იწვედა ზევით, რაც უფრო ნაკლებ დროს ტოვებდა მათ დასასხნელად. რთული აღმოჩნდა ასეთ ქაოსში სწორედ ისე გემოქმედა, რომ არავინ დაზარალებულიყო. არ ჩანდა დედა, კარის მეზობელი, მოხუცი ბაბუა, რომელსაც მეორე სართულის ოთახში ეძინა და ასე შემდეგ. ეს ადამიანები ისევ იქ, შეგნით იყვნენ.

...რა შემიძლია ვითხრათ?! ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ გამოჰყავდათ ხელში აყვანილი

ბავშვი გაყინულ წყალში მდგომ ახალგაზრდებს. ვხედავდი მათ თვალებში ანთებულ ცეცხლს, რომელშიც აშკარად იგნობოდა ქართული სულისკვეთება. სულ რამდენიმე საათში კი მე მივხვდი, რომ გმირებს შორის ვიდექი. ეკიპაჟის ბიჭები ზემო სართულის ფანჯრებიდან შეუპოვრად ცდილობდნენ, შეეღწიათ შიგნით და შემდგომ იქიდან გამოეყვანათ დარჩენილები. მღელვარებისა და შიშის გრძნობა პიკს აღწევდა. შიში არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლის ვერ გადარჩენის. თუმცა გმირებს ხომ არ ეშინიათ! ისინი წყვილადს აპობენ. ისინი არიან: სინათლე უკუნითში, ძალა, იმედი, და რწმენა. რწმენა სიცოცხლის. მისი არსებობისა და გახანგრძლივების.

* * *

13 ივნისამდე ცოტა ხნით ადრე.

მისი ასეთი პასუხი არც გამიკვირებია, მაგრამ, როდესაც ვხედავდი, თუ როგორ სულ უფრო და უფრო შორდებოდა კაფეს, მივხვდი, რომ უმოქმედოდ ჯდომა არ ივარგებდა და სწრაფად დავტოვე იქაურობა. ხიდთან დავეწვიე, ჩემკენ მოვატრიალე. სალომე წუთით შეკრთა, თუმცა არაფრის თქმა არ დაეცა. ვუთხარი, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი სიგიჟედ ეჩვენებოდა, მაგრამ არ შემეძლო მისი ასე უბრალოდ გაშვება. ზუსტად ვიცოდი, რას ვგრძნობდი და რომ ეს დღე ნამდვილად განსხვავდებოდა წინასგან. ის, რაც ერთი შეხედვით შესაძლოა არადაამაჯერებლად ითქმოდეს, რეალურად შეიძლება სწორედ ის იყოს გულისთქმა. არ ვიცი, იმ წუთებში რა იგრძნო, ან რა დაინახა ჩემს თვალებში, თუმცა ნახად გამიღიმა და უთქმელად ერთმანეთის გვერდი-გვერდ მშვიდად გავეყვით ვზას.

უკეთესის ძიებაში არ უნდა კარგავდე ყველაზე ძვირფასს. არ უნდა მოექცე რაღაცის საზღვრებში, თითქოს ამა თუ იმის გაკეთება მიუღებელია და მორჩა. სიყვარულს – სიძლიერე და გამბედაობა უყვარს საზღვრებს გარეშე და არა ლოდინი იმ ერთადერთის. შემიძლია თამამდაც ვთქვა, რომ ჩემმა თბილისმა იგრძნო ეს სიყვარული. ჩვენ თითქოს ვგავდით ერთმანეთს და თან – არც.

ერთ დღეს მეორე დღე მოჰყვა, მეორეს – მესამე და ასე შემდეგ. მან დამანახა სამყარო, სადაც ვერასდროს ვერავინ და ვერაფერი გაგიფუჭებდა გუნებას. რომლის ქუჩებშიც კი არ დადიხარ, არამედ მიწასაც კი არ ახებ ფეხს. სადაც მხოლოდ ჩვენთვის – ორისთვის თენდება დღე და რომ არა ჩვენ, სამყაროს თითქოს აღარც სწამდა სიყვარულისა და მზეც კი ჩაქრობის სურვილით მიილეოდა მოსალამოებულს, უსიყვარულოდ. ყოველ საღამოს ჩვენ თვალწინ ბინდებოდა და შემდგომ ასევე თენდებოდა, რადგან არაფერს გარშემო არ ვტოვებდით უსიყვარულოდ. დილის ნიავის გრილ ჰაერსა და ფოთლების ჩურჩულით შრიალსაც კი არაფერი სჯობდა ამ ქვეყნად. თურმე რამდენი წვრილმანით შეიძლება შეიგრძნო

სიცოცხლე და არსებობა საკუთარი თავის. თუ როგორი მშვენიერია ყველაფერი გარშემო და თუ როგორ ქრება უკვალოდ ბოროტება უსაზღვრო სიყვარულთან მარცხის შემდგომ. ხომ ვამბობდი, რომ გოგონას ქუჩის გადაღმა უბრალო კაფედან ჰქონდა „ის“, რაც შეცვლიდა სამყაროს ყოველივე მშვენიერისკენ. სულიერი სიდიადე და შინაგანი ბრწყინვალეობა. ხომ ვამბობდი, რომ შესაძლოა, რაღაც მნიშვნელოვანი სრულიად მარტივად დაიწყო.

კი არ ვცხოვრობდით სამყაროში, არამედ თავად ვქმნიდით სამყაროს ჩვენით.

ხოლო ერთ დილას...

– იმ დღეს რა მოხდა? – ჩემკენ მოტრიალდა სალომე თავისი ჩვეული ღიმილითა და პასუხის მოლოდინში თვალი წუთითაც არ მოუშორებია.

– როდის?

– როდესაც იმ დღეს კაფეში შემოხვედი?!

– უბრალოდ შეგამჩნიე და არ ვიცი... – (დავიბენი)

– აუცილებლად უნდა გამეცანი.

– ყოველთვის ასე „უბრალოდ“ იქცევი?

– არა.

– დილით ყოველთვის უყურებდი აისს?

– არა, მხოლოდ ახლა. – თავისდაუნებურად გამეცინა მის ცნობისმოყვარე კითხვებზე.

– და ალბათ არც არასდროს გეყვარებია?!

– და შენ?

– ?..

– ფოტო, რომელიც დაგიტოვე...

– ვფიქრობ ამ ფოტოზე.

– კიდევ რას მეტყვი?

– იმას, რომ ძალიან ცივა და თენდება, 13 ივნისი.

მცირე ხნის პასუხის შემდეგ კი... – და არასდროს მეყვარებია ასე.

მკერდზედ ძლიერად მივიკარი და ასე ვიყავით კიდევ დიდხანს.

* * *

„აქ ცხედარია!“ – ამ სიტყვებზე ხალხი ადგილს მოსწყდა და უცნობი გოგონას უსულო სხეულს დააცქერა...

14 ივნისის დილას სრული მობილიზაცია მოხდა ქალაქში. ახალგაზრდების უზღვაო ნაკადი მოედინებოდა ტრაგედიის ადგილისკენ. იმ დღესა და იმ წუთებში მთელი საქართველო მხოლოდ ერთ ადგილას იყო შეკრებილი.

14 ივლისის დღეს ქალაქს უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს. წინა ღამით გადაუღებელი წვიმისა და ადიდებული მდინარის სტიქიას 19 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის გამთენიისას ნაპოვნი ეს უცნობი გოგონაც. კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე მტკვარიც, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე ჩარჩენილი ხალხის ევაკუაცია სრულ ქაოსში და ექსტრემალურ პირობებში ხდებოდა. სტიქიური უბედურების ცხელ წერტილებში სამაშველო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახალგაზრდებიც. ჩამოშლილი მიწები, მოგლეჯილი ხეები და დატბორილი სახლები. სწორედ

ეს კადრები დახვდათ დილით მოსულ ადამიანებს გარშემო. უსახლკაროდ დარჩენილი მაცხოვრებლები კვალავ ცდილობდნენ, გადაერჩინათ მათთვის ძვირფასი ნივთები. თუმცა ყველაფერს სწორედ მაშინ დაეკარგა აზრი, როდესაც ახლობლები საკუთარ ნათესავებს ვერ პოულობდნენ. მშობლები – შვილებს, ცოლები – მეუღლეებს და ა.შ. განადგურებული სახლები არაერთ ცხედარს მალავდა. რთულია სიტყვებად გადმოსცე ის, რაც საკუთარი თვალით ვნახე იმ დღეს. გამოფიქრული და შეშლილი სახეები, ცრემლით გამოშრალ თვალის უბებზე დარჩენილი სიშავე და სტიქიისგან ტრამვირებული ადამიანების ის უემოციო მდგომარეობა, რომელიც სტიქიამ ერთ ღამეში გაანადგურა.

დინებამ არა მხოლოდ სახლები, არამედ 19 ადამიანის ნათელი სიცოცხლე წაიყოლა თან. ჟურნალისტი, ბანკირი, მასწავლებელი თუ სტუდენტი – ერთ დღეს ისინი ერთნი იყვნენ. ერთმანეთის გვერდიგვერდ შეუპოვრად ცდილობდნენ დაკარგული ადამიანების პოვნას. არა მხოლოდ ერთ მუშტად შეკრული ერი ვნახე... დავინახე საქართველო. ყველა მამულიშვილი საერთო საქმეს უძღვებოდა ერთსულოვნად. ნამდვილად ასე იყო. 13 ივნისის ღამით თუ მომდევნო დღეებში, დაღუპული და დაკარგული ადამიანების ძიებამ და საერთო მიზანმა შექმნა ახალი ისტორია, სახელად საქართველო. მაგრამ დაბრუნებით ის აღარ დაბრუნდება, რაც დინებამ ხელებიდან გამოგვეღვიჯა ღამით. ცხოველები, რომლებიც დინებაში დაიხრჩვენ. განადგურდა ზოოპარკის ტერიტორია მის მოზინადრებთან ერთად, ხოლო იმ ცხოველებმა, რომლებმაც მოახერხეს და შეძლეს გაღწევა, სულ რამდენიმე საათში მათი ნაწილიც ტყვიას ემსხვერპლა. გადარჩენილი ცხოველები კი მშვიდობიანად დაუბრუნეს ნაცნობ ტერიტორიას. დანაკლისი სავალალო იყო. მდინარე ვერეს ადიდების შედეგად გამოწვეული წყალდიდობა და მსხვერპლი თბილისში პირველი არ იყო, თუმცა არც ამდენად მძიმე. რა გინდა, რომ უთხრა ადამიანებს, რომელთა ცხოვრებაც არ შეიცვლება იმდენად, რამდენადაც დიდი სიცარიელე დარჩათ სულში. ადამიანები, რომლებიც ამ დღემდე ვერ პოულობენ საკუთარ ახლობლებს, ან მათ, ვინც იპოვა ისინი, თუმცა გარდაცვლილნი.

კიდევ ბევრი რამ ითქმება და დაიწერება 13 ივნისის შესახებ. დღე ტრაგედიისა და დღე გმირობის. ასეც უნდა იყოს, გვახსოვდეს დღე 19 ადამიანის ნათელი ხსოვნის უკვდავ საყოფად, ამინ!

* * *

და ბოლოს...
– ეპილოგი –

13 ივნისის დილას ჩვენ ერთად შეგვხვდით განთიადს. დღე, რომლის გათენებასაც ასე სულმოუთმენლად ველოდი. დღემ, რომელმაც მშვენიერი დილა მაჩუქა მასთან ერთად. კიდევ 1 დღე, და კიდევ 1 დღით წინგადადგმული ნაბიჯი სიყვარულისკენ. სიყვარული, რომელიც პასუხს ელოდა პატარა ციტატით ფოტოს უკანა მხარეს – „მე შენ მიყვარხარ“. მეშინოდა, რომ ცალმხრივად პასუხგაუცემელი დარჩებოდა. არ ვიცი, როგორ ვთქვა, ჩემდა სამწუხაროდ, თუ... სასიხარულოდ, თუმცა ის არ დარჩა პასუხგაუცემელი: 13 ივნისის ტრაგიკულ ღამეს სალომესაგან წერილი მომივიდა, სადაც ეწერა, რომ მას ეშინოდა. მახსოვს, ფეხქვეშ საშინელი სიცარიელე ვიგრძენი, გულიც დამიძიმდა. სასწრაფოდ სტიქიის ადგილისკენ დავიძარი. სტიქიის შესახებაც მისგან გავიგე. გზა როგორ გავიარე, ან როგორ აღმოვჩნდი წელამდე წყალში, საერთოდ არ მახსოვს. ეს დღე გათენდა და არც უნდა დასრულებულიყო. ვცდილობდი, ყველანაირად ვცდილობდი მის პოვნას უკუნით წყვილადში და მოვარდნილ დინებაში, თუმცა ამაოდ. აღარსად იყო. რაც უფრო მეტ დროს ვკარგავდი, თითქოს მით უფრო დიდ სიშორეს ვგრძნობდი მისდამი. გარშემო ყველა შეველას ითხოვდა, თან ეს მოვარდნილი ტალღების ხმაური...

წყევლიმც იყოს ხმაური!

ის არსადაა. ნუთუ განგება ამას დაუშვებდა?! ცოტა ხნის წინ შევნიშნე ქუჩის გადაღმა კაფეში. მისი ღიმილი, ლურჯი თვალები და ეს თმა, საოცრად ლამაზი წაბლისფერი სქელი თმა. თუმცა უაზროა ყოველი ოცნება, როდესაც განგებას სულ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული. 14 ივნისის დილას უცნობი გოგონა, სალომე აღმოჩნდა. ვიპოვე, მაგრამ ის, „ის“ აღარ იყო. აღარ სუნთქავდა, არც თვალებში იგრძნობოდა ადრინდელი ცეცხლი. ასე არ უნდა გათენებულიყო და არც ასე უნდა გამქრალიყო ის გრძნობა, რომელიც ქალაქმაც იგრძნო. მის წინ ჩავიპოვე და თითქოს ჩემი სულიც მდინარემ შთანთქა. მდინარე, რომელმაც წამებში მოგლიჯა გარშემო ყოველივე, თუმცა ვერაფერი დააკლო ფოტოს, რომელიც ხელში ძლიერად ეჭირა. მისი ფოტო, უკან მხარეს მშვენიერი, ლამაზი ხელწერით მცირედი სიტყვა პასუხად: – „მეც“.

დასასრული

* ნაწარმოები დაფუძნებულია: 2015 წლის 13 ივნისის ისტორიაზე.

ნაწარმოებში ნახსენები პერსონაჟები (გიორგი და სალომე) რეალურად არ არსებობენ.

შედეგები: დაიღუპა: 19 ადამიანი. დაკარგულია: 6 ადამიანი. მატერიალურმა ზარალმა შეადგინა: 50 მილიონი ლარი.. 200-ზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ლიკვიდირებული იქნა ზოოპარკის მოზინადრების ნაწილიც.

„ქართველი ასულის შურისძიება“ – მოგზაურის თვალთ დანახული საქართველო



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში საზოგადოებას წარედგინა აჰმეთ მითქათა ეფენდის (1844-1912) შესანიშნავი წიგნის – „ქართველი ასულის შურისძიება“ – ქართული თარგმანი. წიგნი ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნა აბდულლაჰ თათაროლლუმ, გამოცემა განხორციელდა 2015 წელს ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის მხარდაჭერით.

აბდულლაჰ თათაროლლუსაგან მიღებული საავტორო უფლების საფუძველზე წიგნი ქართულად თარგმნა თამარ თევდორაძემ. ქართული თარგმანი საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა.

წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი.

წარდგენას ესწრებოდნენ: საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მეცნიერები, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები, სტუდენტები და სხვ.

ლონისძიება გახსნა ქართული გამოცემის რედაქტორმა, ბატონმა მირიან ხოსიტაშვილმა. აჰმეთ მითქათა ეფენდის მოღვაწეობისა და ამ წიგნის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა როზეტა გუჯეჯიანმა.

თურქული და ქართული გამოცემები წარმოადგინეს მთარგმნელებმა: აბდულლაჰმა თათაროლლუმ და თამარ თევდორაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ შოშიტაშვილი, პროფესორი კახა კვაშილავა, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, პროფესორი ოლივერ რაისნერი.

ინეგოლის ქართული საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ასპექტების შესახებ მოგვითხრო ასოციაციის თავმჯდომარემ ომერ ფარუქ დემირთაშმა. თურქულ ქართველთა სახელით საზოგადოებას მიესალმა ორჰან იავუზი. აღსანიშნავია, რომ წარდგენას თურქეთიდან ესწრებოდნენ ტაოელი, მაჭახლელი, შურდულელი და ინეგოლელი ქართველები.

დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადა ბატონმა მირიან ხოსიტაშვილმა.

„ეფექტობ, ამ მნიშვნელოვანი წიგნის ქართულად გამოცემას და ლონისძიებას საკმაოდ სერიოზული ეროვნულ-კულტურული დატვირთვა ჰქონდა. წარმატება ვუსურვოთ მთარგმნელებს, მათ მხარში მდგომებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც პატიოსნად და წრფელი გულით ემსახურება თავის სამშობლოს!“ – აღნიშნა როზეტა გუჯეჯიანმა.

აჰმეთ მითქათა ეფენდის (1844-1912) დიდი წვლილი მიუძღვის თურქული მხატვრული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა დასავლური ელემენტები თურქულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის 36 რომანი და 200-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები.

„ქართველი ასულის შურისძიება“ გამოქვეყნებულია 1889 წელს. ნაწარმოები მიეკუთვნება სამოგზაურო ჟანრს და მოგზაურის თვალთ დანახული საქართველო აღწერილი. მასში წარმოჩენილია რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოს ყოფა და კულტურა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 20-იან წლებამდე. რეალური ისტორიები შერწყმულია მხატვრულ გამონაგონთან.

რომანში უარესად დადებითად არის ასახული ქართული კულტურა, ტრადიციები, თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველთა სულისკვეთება. ნაწარმოებში აღწერილია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა, მათ შორის, გერმანელთა დასახლებები და სხვ. რომანი მნიშვნელოვანია ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით.



ბუნიჩო ზემბაძე



ჩემს დაბადების დღეს

ერთი ხნულიც გავიტანე საზვრეთში,
შემდეგ ხნულში ჩაუდექი ჟამთა სვლას,
არა მკითხო, საბოლოოდ რას ველი,
ისეც იცი – სიკვდილსა და დამარხვას

მაგრამ არა! ჯერ შორსაა ნაპირი,
ჯერ შენამდე მინდა ბევრი ვიარო,
გაფხიზლებას დავასწრებდე ალიონს,
მიმწუხრის ჟამს რომ არ დავაგვიანო...

10 მაისი, 2017 წელი

თბილისს

თბილისში სიყვარულს არ უნდა, მგონია,
თილისმა ანდა გათვლა,
თუ ვინმე გიყვარს და გულით გინდა,
მასთან შეხვედრა, მართლა...

ჩაუყევ ჭადრებს, ზემელზე აშლილს,
გადაფოთილებს უხვად,
ერთგან სავალზე თუ შეგხვდა სადმე,
სუნთქვაშეკრული მუხა...

ტოტებახრილი, წარბშეუხრელი,
ამაყად მდგომი მუდამ,
არ დაიჯერო, რომ ის არაა,
ვისი დანახვაც გსურდა!

მთვარე დასცქერის ლამაზ აივნებს,
ჰანგები მოაქვს ნიავს,
და თანაც ნაზად ჩაგიურჩულებს:
„მეც სიყვარული მქვია“!..

დაე, იქროლონ ლაღად მუხებმა
თეთრი ღრუბლების რაშით,
„ჩემო თბილისო, ისეც მიყვარხარ,
როგორც მიყვარდი მაშინ“!..

ცა მაინც შორია

დრო-ჟამი მიქრის და არ ვნებდებით,
ქარიშხლებს ბევრი გაუყოლია,
თუმცა დედამიწის დასალიერზე,
ისევ მიწა და ისევ მოლია.

წაებლაუჭე თუ გინდა ტატნობს,
მწვერვალს შეჰბედე თუნდაც ქორიანს,
შენ რომ გეწადა, ის – ცა, ძვირფასო,
მაინცდამაინც, ძალზე შორია!..

* * *

სიმები აირია – მაისი მიიღია,
კალმის წვერს ჩავცქერი ეჭვად...
აისმა აიარა, დაისიც ჩავლიღია,
და ისევ... შემოვრჩი კენტად...

* * *

ვიცი, ყველა გზას აქვს დასასრული,
ასე ყოფილა, თურმე, ოდითგან...
შენ მოხვალ ჩემთან გვირილობისას
და გაზაფხულის სითბოს მომიტან!

ღია ჭილჩაძე



ლიახვის მთები

აქ დგანან მხარგაშლილები,
 როგორც ნაბადში ბიჭები –
 ჩემი ლიახვის მთები
 შემოჯარვიან ფერხულად
 ასე პატარა ბერულას –
 ფიცკერცხლნაჭამი ძმები!
 თამარაშნიდან – კეხვამდე,
 შვინდის ტოტიდან – ვერხვამდე,
 გამცემნი ექო-ეჟვანთა
 ყელყელობენ ერმანთან!
 არა სჩვევიათ ღალატი,
 დედ-მამა ცხონდეს ამათი –
 მათი სიმღერით ვტკებები...
 სიდარბაისლით ქართულით,
 თმენით და ლოცვით განთქმულნი,
 ფიცხელ ბრძოლაში დაღლილნი,
 ზურგში – დამბაჩადახლილნი,
 შეუღეწავი ბჭენი...
 ასე ამაყნი, ძლიერნი,
 ასე – მეფური იერით,
 უცხონი შურის, იჭვების,
 ვით გორგასალის ბიჭები –
 კავკასიონის მთები!..

იასამანი

როგორ ავმღერდი,
 როგორ ავფეთქდი,
 გადამსკდა მკერდზე ღილი – კაბანი,
 ამ გაზაფხულის ღორთქო კვირტებით
 გავბრუებულვარ იასამანი!
 ძარღვებში დამდის რძე და მირონი
 სისხლად, რომ უფრო უნდა ვიყო,
 რომ ლურჯი ზეცის სანაპირონი
 ჩემი სურნელით დავატრიალო.
 ფოთლები კრთიან დამენათევი,
 მაქვს აიაზმით შუბლი ნაბანი
 და მზის სხივივით ვარ ბედნათელი
 სიცოცხლით სავსე იასამანი!
 ქარი მაქანებს აღმა და დაღმა,
 სულ დამაწყვიტა ღილი – კაბანი...
 ღიმი მაჩუქე, ცავ, ერთი ღიმი,
 შენთვის ავფეთქდი იასამანი!

მისალმება

ალალ შენ, ქართლის ციხეც ნაშალო,
 გოდორას წყარო კენჭებს გილოკავს,
 უკვე დაგარქვი, მტერო, სახელი
 და სადიდგორე ძარღვი მიტოკავს!
 სამაჩაბლოდან მიწის სურნელი
 ჩამომიტანა ალუბლის ფიფქმა,
 მონატრებათ ციხის ქონგურებს
 მუსიკის რიტმი და ლექსის რითმა.
 გველოდებიან ნასახლარები,
 იმედის ყვავილს ფურცლებს აცლიან.
 გველოდებიან, რომ დავბრუნდებით
 და ცრემლით სავსე დოქებს დაცლიან...



* * *

დღე არ გასულა, უფლის წინაშე,
რომ შენზე ლოცვით არ დავმდგარიყავ,
ჩემო ნაფტიტავ, გიყვარს წვიმა შენ,
გუშინ კი წვიმდა, მაგრამ არ იყავ...
სუფთა ფურცელი ხელით დავკაშქე,
ნეტავ გარეთ რას განიცდის ქარიც,
სახლის ეზოებს, ბაღებს და ქუჩებს
აცვიათ თოვლის თეთრი სტიქარი.
შენ წევხარ, შიში, ღრმა შიში გაკრთობს,
საწოლზე გიდევეს გამხდარი მაჯა,
აქ წელან თოვდა და უკვე არ თოვს,
მე უშენობის ტკივილი მტანჯავს.
შენს ხმას და სახეს რა დამავიწყებს?!
სულზე მედება მწუხრის ხავერდი,
შესაძლოა, რომ ბევრჯერ გავფიცხდე,
მაგრამ არასდროს ავხარხარდები.
იმ ტკივილს, რასაც შენ გრძნობ ამჟამად,
დაუძინებელ მტერს არ ვუსურვებ,
ჭრიალებს ფანჯრის ძველი ანჯამა.
ეს ტანჯვა ძლიის და მაუსუსურებს.
მე თავს მოვიკლავ ამაღამ, დღესვე,
თუ ბედი დარჩა გულქვა და ხისტი,
ვერ შეგეღევი სიკეთის მთესველს,
ამ განცდის აღქმა ძნელია სხვისთვის.
ისევ გათოვდა, გზას გაჰყვებიან
ვიდაც ქალები თბილი ქურქებით,
მე ნათლად ვხედავ, თავს გახვევია
შენ ფერშალები და ქირურგები.
დამბუგე, მძიმე ტკივილის ცეცხლო,
კედელზე ცეკვავს ნათურის ლანდი,
არ შემიძლია და რომ შემეძლოს,
ავ სიკვდილს შენ თავს დავუმაღავდი.

უპოეზიოდ

ქარის სიმძლავრე ვუპოვე სიოს,
ღრუბლიდან თქემის მომასკლა ჭავლი,
ცხოვრებად ვერ ვთვლი უპოეზიოდ
გაცვეთილ დღეებს, უღექსოდ ჩავლილს.
ზმირად ვმასპინძლობ მაჟორს და მინორს,
შევხარი ზუსტი რითმების ვარვარს,
სტრიქონი უკრავს მზის ვიოლინოს,
ღექსებს ვწერ, მაგრამ პოეტი არ ვარ.
შევდივარ წლებში ბრმა ღროის ეტლით,
მთრგუნავს ცხოვრება კუშტი და მკაცრი,
მე ყველა ღექსში სიწორფელეს ველტვი,
მგოსნებს ღროის ღრმა საცერი გაცრის.
თავს წერით დაღლილს ვგრძნობ ქაოსურად,
ვიხადე ღექსთა ძვირფასი ხარკი,
გუშინერ დღენაკლულ ცხოვრების სურათს,
რომ მჭყლეტს მტევნისებრ ბედის ჭახრაკი.
ვაფრქვით ბნელში შუქი მზის ჭაღმა,
ცივ მიწას შეხვდა სხივები მზიდან,
სიკვდილი თუკი მომართავს ჩახმასს,
მე პოეზიის საუნჯე მზიდავს.

ჩაგრურჩულე

ჩაგრურჩულე –
„შემო, გვაწვიმს”,
და გაკოცე
ყელთან, მხართან,
მერე ლტოლვა შემოგაცვი,
წამოწითლდი, გაგიხარდა.
ჩვენ ვიდექით გრილ წვიმაში,
სულ სველები,
ცის ქვეშ ერთხანს,
გვირილები გქონდა თმაში,
წელზე ჩემი მკლავი გერთყა.
ქარმა ირგვლივ მიმოშალა,
ხის ფოთლები, როგორც კარტი,
ჩვენ ვისხედით სახლში მშრალად,
მერე თურმე შეგიყვარდი.

ისტორიიდან ვერ
 ვივიწყებ, რაც ადრე იყო,
 ჩემო სამშობლოვ,
 მტრებისათვის იყავი ლუკმა
 გემრიელი და დღესაც
 სულში ცოდვილ ხელს გიყოფს
 ვერაგთა რაზმი,
 ნუ ვისხდებით, ქართველნო, უქმად
 ცოტა ხნით მაინც
 გადაგველო გვერდზე მახათი,
 და საქართველოს
 გულისცემის ჩქამი გვესმინა,
 გვესმინა მისი ძარღვის
 ფეთქვა, სულის ღაღადი
 ჩვენს დიდ წინაპრებს
 ბლაგვი ხმალი ააღესვინა
 სამშობლოს ტრფობამ,
 შემოსევამ თეთრი ვირთხებს,
 იყო ცრემლი და სიხარული,
 ზღვა სისხლის ჭავლიც,
 ნუ დამიფრთხებით, ქართველებო,
 ნუ დამიფრთხებით,
 და ჯვარზე გაკრულ
 საქართველოს ტანჯვის სამსჭვალ
 ამოვაცალოთ ტერფებიდან,
 და მაჯებიდან,
 დავდგეთ იქ, სადაც
 საქართველოს ფრიალებს დროშა,
 ჩვენი საზღვრების
 ყველა გოჯთან, ყველა ჯებირთან,
 არ გავიკვიროთ ძველმა
 დრომ, რომ ახალი დრო შვას.
 მაგრამ სიფრთხილედ
 საჭიროა, რადგან მხეცები,
 ამტვრევენ ქართულ ღირსების
 და ზნეობის ყალიბს,
 დადიან ფსევდო ღმერთები
 და თვალისცეცებით
 ჰიპნოზს აფრქვევენ,
 ეროვნულ სახლს შეერყა ლიბო.
 დავდგეთ იქ, სადაც
 საქართველოს ფრიალებს დროშა,
 სადაც სამშობლოს სიყვარული
 გვათბობს და გვთოშავს.



დ ღ ე ს

იცო? ვით მკერდზე ნახმლევი,
 ისე ამტკივდი ამ წამს.
 ვიდრე ხორხს შენი სახელის
 ხსენება ამოკაწრავს,
 არ ჩანს სხვა გზა და საშველი,
 ვსვამ აღუღებულ იორს...
 მხრებადგლეჯილი და სველი
 დღეს უნდა ჩაგეხვიო.
 სხვა გაშმაგებით მიგვივი
 გულ-ღვიძლჩაკბენილ მორევს.
 დღეს ჩემი დღეა – სიკვდილი
 თვალს თვალში ვერ მისწორებს.
 რწმენა, რომ უნდა მიყვარდეს,
 დროსაც ბუსუსებს აყრის.
 ვაცლი დაყვლეფილ იდაყვებს,
 მუხლებით გახნულ ნაპირს.
 ცა დამშვიდებას არ ელის,
 მიწას ღერძამდე რეცხავს.
 დღეს შენი მკერდის ზარების
 რეკვით შევაკრობ ზეცას.
 მოვდივარ! გესმის?! – მოვდივარ!
 ვერ ვგრძნობ დაღლას და სივრცეს.
 ქცეულო ხანგრძლივ ლოდინად,
 ეს შენ დგახარ და მიცქერ,
 სველ თმაზე ხელის შევლებით,
 უცნობ კივილის თმენით,
 ვერშეკავებულ ცრემლებით,
 ბუმბულდაცვენილ ფრთებით,
 უკვე ჩემ მკლავში ღონდები,
 კბილით საკინძეს გიხსნი.
 მკერდზე ნაწოლი ლოდებით,
 სულში ჩაწურულ სისხლით
 გაშენებ, როგორც მონასტერს,
 ჩემი გაჩენის დღიდან.
 მე სიკვდილს ხვალაც მოვასწრებ,
 დღეს შენთან ყოფნა მინდა!



ელისო წიკლაურის ნამუშევრები



„ანეულის“ ეს ნომერი გამოდის ქალბატონ გულიკო ზუმბაძის შემოწირულობით

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

შირზე გელწიანი - 100:
„ამ სიყვარულზე მდიდარი
ყოფილა შეაქმნა...“
(ინტერვიუ სიმონო გაბიდაურთან)

გია გაბრიჭიძის
ახალი მოთხრობა —
„მე მოვკვდი“

მანანა გელაძის ლექსები

ედუარდ უგულავას
ერთი ლექსი —
„ღღას“

გულიყო ზუგუაძის ახალი ლექსები

ივანე ჯაფარიძე —
„კეთილშობილ გემოქანებულის
ადმონივის ისტორია“

„ტარიელ ხარხელაურის
მემორიტი კოეზია“

ლადო ურდუღაშვილი —
„ახსენიანი სიკვდილის არსი“

მელქი მოწამად კაპიში —
„ხობა შერეიდუნეპარისა“
(სპარსულიდან თარგმან
ნოზალი გაბიაიანი)



ახეულა — გაბიჭიულის ხეულა